WWW.SAERTOGAZETI.ORG

# საერთო გაზეთი

№01 (236) ● 16-22.I.2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



## 20 იანვარს,

## 13 საათზე, ყველანი ავლაბარში, პრეზიდენტის სასახლესთან და საჯაროდ გამოვაცხადოთ სააკაშვილის პრეზიდენტობის საკონსტიტუციო ვადის დასრულება!

ISSN 2233-3983



# საშობაო წერილი

## მის უწმიდესობასა და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს პატრიარქს ილია II-ს

„თქვენო უწმინდესობავ! გართხმული ვარ მე თქვენს წინაშე და თქვენზე ლოცვით მითბება გული! ქართველთ პატრონო, გვირგვინო და სიბრძნის ნათებავ, სხივო სახიერო, ერთადერთო მხსნელო ქართვლისა! გადაეფარე, ვით ყოველთვის, შენს ერს და სამწყსოს და იხსენ იგი, გარდაუვალი განსაცდელისგან!". მე ამას გწერდი რვა წლის წინათ. ახლაც ამას გწერ, რადგან დამღალა ხანჯლის ქნევამ, ომმა ნიადაგ, ამ გარეწართან, ვინც ვერ გაძლა ქართველთა სისხლით, თქვლეფით, სიშლეგით, ტაშ-ფანდურით, სიძვით, მრუშობით!

უკვე ღელე ვარ, დამშრალი ღელე და მიტოვებული. მოწითალო ჟანგიან ქვებითა და აწ წვიმასაც აღარ ველი, რადგან ღელე ვარ უსახელო, მზით გამოხრული!. . იმის მაგიერ, მოლოცვებით ვიწყებდე წერილს, ისევ ვწუწუნებ მე არჯალი, მე უხიაკი!

**— რა ვჰქნა, არა ჰგავს საშობაოს ჩემი წერილი!.**

. . ეკრანებიდან ისევ ისმის მავანთ გნიასი, ავიფოფრები, ყველაფერი უკუღმა დება, რადგან ვიცი: — ამათ ისევ სისხლი სწყურიათ! გამახსენდება მოედანზე გონჯი ფიცრული, საწნახელი რომ დაარქვეს ამ მანქურთებმა, როგორ ჭყლიტეს ბუქნით ყურძენი, გალანძღეს ვაზი, შეაურაცხყვეს უფლის მტევანი!. . და იდგა ღართან ჭურჭლით ხელში, არას მქონე, მათხოვარი ჩემი თბილისი!

**— რა ვჰქნა, არა ჰგავს საშობაოს ჩემი უსტარი!**

—შენ, შენ აგკიდეთ მთელი ერის ცოდვის ხურჯინი! შენ, შენ დაგადგეს მხრებზე ჯვარი ჩვენივ საზიდი! და მიგაქვს, მიგაქვს მოთმინებით, თავგანწირვით, მიხვალ, მიაპობ ცოდვის მორევს, მეწყერს მტრობისას, როგორც მნათობი ბნელ ღამეში, მწყემსი მართალი, რომ კვლავ გადარჩეს ბაღ-ვენახი მარიამისა!. . . მაგრამ ვაი, რომ ამათ ისევ სისხლი სწყურიათ, რომ აირიოს ეს ქვეყანა ბაბილონივით!

**— ემანოელ, ემანოელ! ჩვენთან არს ღმერთი!... მთელი მსოფლიო ადიარებს სიწმინდეს შენსას, ძლიერნი ამა სოფლისანი თავებს გიხრიან!**

მე ვერ გავუძლებ იმ ცდუნებას, რომ არ ამოვთქვა, რომ არ წამომცდეს ის ნუგეში, ის უფლის ჯილდო. რაიც მიბრძანე: - „ჩვენ ძმები ვართო!", ჩემი ხელი გულთან მიიდე და კვლავ დასძინე: — " შენ როცა გიჭირს, ჩემთან მოდი, მე მითხარი სატკივარიო!". მოძღვართ-მოძღვარო, მიჭირს ისე, როგორც არსადროს! — რა ვჰქნათ, სულმნათო?! დავითმინო, არვინ განვსაჯოთ? ისევ ვუყუროთ ამათ ხორხოცს, ყელყელაობას?! იქნება დასცდეს რომელიმეს: — შემეშალაო! ან ვინმე მაინც მოითხოვოს ცრემლით შენდობა!..

მაინც ვიკითხავ, თუნდაც ხატზე გადამცე დღესვე და ბებერ თავზე კვერთხი რისხვით გადამამსხვრიო: — რითი მჯობია მე, ლოთს, ავყიას, ანაფორაში გახვეული, ძველი თაღლითი? ან მოძველბიჭო ღვთისმსახური, ძველი მკრეხელი, ვერცხლში და სკივრში თავწარგული ხარბი თვალებით?

**—ემანოელ! ემანოელ! გვიხსენ უფალო!**

. . . დასიცხული საფეთქელი კვლავ იმეორებს, კვლავ იმეორებს იმ ძველ ტკივილს, იმ ძველ სტრიქონებს: — „ვის, ვის დასცდება, ვინ იტყვის, რომ მოინანია? სხვის დასანახად მორწმუნენო, ქრისტიანენო! უფალს მაშინ თუ გაიხსენებთ, როდესაც გიჭირთ, მუხლზე დადგებით პირჯვრის წერით:

— ღმერთო მიშველე, მიშველე და დამიფარეო! ხოლო, როდესაც მიუსხდებით შემწვარ ერკემალს, ან ძუძუს ლოშნით ნაღვინევ და დორბლიან ბაგით, სად არის ღმერთი, რად არ გახსოვთ მაშინ უფალი?!

მეც თქვენნაირი ღორი ვარ და მიტომაც ვტირი, ჩემს თავს ვტირი მარად მშიშარი!

**რა მოკლე გზაა გოლგოთამდე, რა მოკლე გზაა!**

ან რა გაიგო, რა შეიგნო ადამის მოდგმამ? პირიქით, უფრო გამხეცდა და უფრო გაავდა! ტაბუდადებულ სკივრებიდან ამოყარა, გაამზეურა, ამაზრზენი მღვრიე სიზმრები!... ო, რაბი, რაბი! ბარაბაა ყველა ჩვენგანი, ჩაჩერებული პირდაღებულ საფლავის მიწას!..

ემანოელ! ემანოელ! ჩვენთან არს ღმერთი!

**როგორ მიყვარხარ, მენატრები, როგორც ჰაერი!**

ვერ დაგიხატე გერგეთისკენ გზა მიმავალი, მთის ყვავილებით მოღაღანე ფერადი ტბები! მე ვარ მარგილი წაწვეტილი, შუბი მშიერი, დაუნდობელი, შენი მტრების მარად მდევარი!.. ქართველთ პატრონო! სახიერო, სიბრძნის ნათებავ! გადაეფარე, ვით ყოველთვის, შენს ერს და სამწყსოს! ეს მანქურთები შეაბრუნე ღორების კოლტში და ნუ შეუნდობ დანაშაულს, უპატიებელს! საჯენ, დაგმე და შეაჩვენე ეშმაკეული, **დასვი წერტილი, უფლის ნებით დასვი წერტილი!**



ცრემლის გუბეში თავწარგული,
ცოდვილი ცოდვილთა შორის,
**რეზო ამაშუკელი.**
2013 წლის 10 იანვარი.

## არჩილ კბილაშვილი: არც ისე შორსაა ის დრო, როდესაც გახმაურებული საქმეები დასრულებულად გამოცხადდება



საქართველოს მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის განცხადებით, არც ისე შორსაა ის დრო, როდესაც გახმაურებული საქმეები დასრულებულად გამოცხადდება.

როგორც დღეს ჟურნალისტებთან შეხვედრისას კბილაშვილმა განაცხადა, გახმაურებული საქმეები, მაგალითად ისეთები, როგორიცაა გირგვლიანისა და რობაქიძის საქმეები, ობიექტურ რეალობაზეა დამოკიდებული.

„თავისი მასშტაბებით გამოძიებამ აჩვენა, რომ საქმეში არის ბევრი ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელი და საჭირო იყო მათი დაკითხვა. ეს სიძნელეებს უკავშირდება იქიდან გამომდინარე, რომ ზოგიერთი მათგანი საქართველოში არ იმყოფება", — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა და დასძინა, რომ საქმეებში მტკიცებულებების მოპოვება რთულია, რადგან მოხდა მტკიცებულებების მასობრივი ფალსიფიკაცია, რადგან საქმეებში თანამდებობის პირები ფიგურირებდნენ.

## 50-ზე მეტი ორგანიზაცია პრეზიდენტის იმპიჩმენტის იდეას მხარს უჭერს



პრეზიდენტის გადადგომის მემორანდუმით გაერთიანებული 50-ზე მეტი ორგანიზაცია - „ერთსულოვნება" მხარს უჭერს პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მქონე პირების მოთხოვნებს: პრეზიდენტის იმპიჩმენტის დაწყებას, ოკუპაციის მუზეუმისთვის მას საქართველოს ოკუპაციისა და პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა მუზეუმის დარქმევას და 13 იანვარის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა დღედ გამოცხადებას.

„20 იანვარს, 13:00 საათზე „ერთსულოვნების" ინიციატივით იწყება "ღირსების შეკრება"! - პრეზიდენტის სასახლესთან, ავლაბარში საჯაროდ გამოვაცხადოთ სააკაშვილის პრეზიდენტობის საკონსტიტუციო ვადის დასრულება.

ამ ეტაპზე პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით შეგროვილია 900 000-ზე მეტი ხელმოწერა, რომელიც დღემდე გრძელდება", — ნათქვამია ამ ორგანიზაციების მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებაში.

`medianiusi~

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.















„საერთო გაზეთის“ რედაქცია გულითადად ულოცავს გათავისუფლებას ყველა პატიმარს, ყველა პოლიტპატიმარს.

190 ადამიანმა დატოვა ციხე გასულ შაბათს პოლიტპატიმრის სტატუსით.

190 პლიტპატიმარი ჰყავდა საქართველოს, ეს იმ დროს, როცა ერთ-ერთი ცნობილი უფლებათა დამცველის აზრით, ევროპისთვის ერთი პოლიტპატიმარიც კი ბევრია.

ეტყობა, საქართველო ამ ცხრა წლის განმავლობაში ევროპას არ მიეკუთვნებოდა და ის სადღაც „ჯოჯოხეთის კონტინენტზე“ იყო გადატანილი, სადაც გაუგონარი სისასტიკე, ძალადობა და კაცთმოძულეობა სუფევდა.

მიუხედავად იმისა, რომ შველას ვითხოვდით, ვერც ევროპამ, ვერც აშშ-მა, ვეც სხვა დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა ამ ცხრა წლის განმავლობაში ვერა და ვერ დაინახეს ჩვენი უბედურება და ცეცხლი, რომელსაც ეს ჯოჯოხეთი ასხივებდა და დემოკრატიის შუქურის ნათებად მოგვითარგმნეს.

ეს ცინიზმი დღემდე არ დამთავრებულა და ქართველ ხალხს ახლა ამ ჯოჯოხეთის მოციქულებთან კოაბიტაციისკენ მოუწოდებენ, ხოლო ის, ვისაც 190 პოლიტპატიმარი ჰყავდა ციხეებში გამოკეტილი, დამატებით 10 თვით პრეზიდენტად უნდა გყავდეთო, გვაძალებენ.

ქართველმა ხალხმა, ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით, 1 ოქტომბერს შეუძლებელი შეძლო და უთანასწორო ბრძოლაში ჯოჯოხეთის მოციქულებს სძლია, თუმცა ჯერ არაფერი არ დამთავრებულა და ეს ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდეა მისაყვანი.

„საერთო გაზეთი“ კიდევ ერთხელ ულოცავს მთელ საქართველოს ყველა პატიმრის და, უპირველეს ყოვლისა, პოლიტპატიმრების გათავისუფლებას.

მათ საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება და თანადგომა სჭირდება დღეს.

ისინი ჩვენს გამო, ჩვენს ნაცვლად, ჩვენი გამოსარჩლების გამო ისხდნენ სააკაშვილის გეტოებში.

ისინი ჩვენს გამო, ჩვენს ნაცვლად ტანჯეს და აწამეს სააკაშვილის ჯალათებმა.

დიდი მადლობა მათ გმირობისვთის, შეუპოვრობისთვის, თავგანწირვისთვის.

**„საერთო გაზეთი“**

**P.S. პატიმრების გათავისუფლების პროცესს თუ ყურადღებით დააკვირდებოდით, ერთ დეტალს აუცილებლად შეამჩნევდით: რჩეული, ახოვანი, ჯიშიანი ვაჟკაცები ტოვებდნენ ციხეებს.**

**თითქოს ვიღაცამ სწორედ მათი რჩეულობის და ჯიშიანობის გამო შეარჩია ისინი საგანგებოდ და ციხეებში ჩაყარა.**

**თითქოსო, კი ვთქვით, მაგრამ სიტყვა „თითქოს“ არაფერ შუაშია: საკაშვილი და მისი რეჟიმი ნამდვილად მიზანმიმართულად ებრძოდა ქართულ გენსა და ჯიშს, ებრძოდა ნიჭიერებით, გარეგნობით, სულიერებით გამორჩეულ ადამიანებს და მათ გატეხვას და „დაჩმორებას“ ცდილობდა.**

**თუნდაც ამიტომ სააკაშვილს რეჟიმთან კოაბიტაციაზე საუბარი კატეგორიულად მიუღებელია.**

**„ს.გ.“**











# saxi faTo TamaSi, saxe l ad koabi tacia

## სააკაშვილისთვის პრეზიდენტობის დატოვება, ეს იგივეა დაუტოვო ბომბი ტერორისტს, რომელმაც ეს-ესაა რომელიღაც ობიექტი ააფეთქა და ახლა მეორეს აფეთქებას აპირებს

დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა – ოქტომბრის ბოლომდე მიხეილ სააკაშვილის დატოვება პრეზიდენტის პოსტზე საქართველოს დიდ საფრთხეს უქადის.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს ორი ვადით ირჩევენ. მიხეილ სააკაშვილის „კონსტიტუციის“ მიხედვით, სამი ვადით.

სწორედ მესამე ვადაა ის პერიოდი, რომელიც 2013 წლის 5 იანვრიდან ოქტომბრამდე უნდა დაჰყოს სააკაშვილმა პრეზიდენტის პოსტზე, რაც, რა თქმა უნდა, გაუგონარი ძალადობა და თვითნებობაა, თუმცა არა საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, რომელიც დაჟინებით მოითხოვს, რომ სააკაშვილს პოსტი მაინცდამაინც შემოდგომამდე უნდა შეუნარჩუნდეს.



ძნელი სათქმელია, რა მოტივით ითხოვს და რა დაინტერესება აქვს საერთაშორისო თანამეგობრობას საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე ისეთი სახელგატეხილი და მრავალ ცოდვაში ეჭვმიტანილი პოლიტიკური ფიგურა შეინარჩუნოს, როგორიც სააკაშვილია, თუმცა ის კი ადვილი გამოსაცნობია, რატომ ებღაუჭება სააკაშვილი ასე თავგამოდებით ამ ათ თვეს?

რატომ ებღაუჭება და, გამალებული ემზადება რევანშისთვის, თუმცა ამის განხორციელება თითქმის შეუძლებელი იქნება მისთვის, თუ არ ექნება ძალაუფლების სერიოზული ბერკეტები.

პრეზიდენტის პოსტი ნამდვილად არის ის თანამდებობა, რომელიც საშუალებას იძლევა ზემოქმედება მოახდინო და აკონტროლო პროცესები, ორგანიზება გაუწიო მხარდამჭერთა მობილიზებას, შეინარჩუნო გავლენები საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილზე ოპოზიციონერის პოზიციიდან! დაუპირისპირდე ახალ ხელისუფლებას, და, რაც მთავარია, პრეზიდენტის პოსტი ეს არის შეუზღუდავი ტრიბუნა, საიდანაც შეგიძლია ნებისმიერ დროს მიმართო როგორც საკუთარ მოსახლეობას, ისე საერთაშორისო თანამეგობრობას, ისარგებლო პრეზიდენტის სტატუსით და აქტიური მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო მნიშვნელობის კონფერენციებზე, შეხვედრებზე, სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე და ა.შ.

მიხეილ სააკაშვილი უკვე სარგებლობს ამ პრიორიტეტებით და როგორც შინ, ასევე გარეთ აქტიურად ეწევა ახალი ხელისუფლების და მისი ლიდერის დისკრედიტაციას.

თავის მრავალრიცხოვან გამოსვლებსა და განცხადებებში სააკაშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს წარმოაჩენს, როგორც დიქტატორული მიდრეკილებების მქონე მმართველს, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს წინა ხელისუფლების წევრთა დევნას პოლიტიკური ნიშნით, ქვეყანას აბრუნებს უკან, წარსულში. ცდილობს შეცვალოს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის ალტერნატივა, ფარულად თამაშობს რუსულ თამაშს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

**ოქტომბრის არჩევნებში დამარცხებით დაბოღმილი და შურსძიებით შეპყრობილი სააკაშვილი უკვე ვეღარ აკონტროლებს საკუთარ თავს და ვერ გრძნობს, რომ ის იმ ქვეყნის გაცხადებულ მტრად იქცა, რომლის პრეზიდენტიც ჯერჯერობით თავად არის.**

ის ვერ ხვდება, რომ არ შეიძლება ერთდროულად იყო პრეზიდენტიც და ოპოზიციის ლიდერიც, რადგან ეს პოლიტიკური შეფერილობის შავ იუმორს უფრო ჰგავს, ვიდრე სერიოზული პოლიტიკის სფეროს.

თუ სააკაშვილი ნამდვილად ოპოზიციონერია, მაშინ ის, არა მარტო ივანიშვილის, არამედ, პრეზიდენტ სააკაშვილის ოპოზიციაშიც უნდა იყოს, რომელმაც პრემიერ-მინისტრად ივანიშვილი წარადგინა და გადააბარა რა მას საკუთარი უფლება-მოვალეობანი, საშუალება მისცა დაეკომპლექტებინა მთავრობა.

აბსურდის თეატრს ჰგავს ეს ყველაფერი, სადაც რეალური და ირეალური ერთმანეთშია არეული და ყველაფერი პირობითი და ბუტაფორულია.

ასეთ სიტუაციაში სახელმწიფოს ეფექტური მართვა ძალზე ძნელი და ფაქტობრივად, შეუძლებელია.

სააკაშვილი ზუსტად ამ სიტუაციის შექმნას ცდილობს — ალოგიკური, აბსურდული, უაზრო, უსისტემო, ამორფული, ქაოსური სიტუაციის შექმნას, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი გაღიზიანდეს ამ ქაოსით და წესრიგის და კანონიერების აღდგენა მოითხოვოს.

**სააკაშვილის გამოსვლებს ყურადღებით რომ დააკვირდე, იქ აშკარად იკითხება არსებული ხელისუფლების შეცვლისკენ მოწოდება. მართალია, მას ავიწყდება, რომ, უნდა ეს მას თუ არა, თვითონაც შედის ამ ხელისუფლებაში და პასუხისმგებლობა მასაც აკისრია, მაგრამ ის ამ გარემოებას არაფრად აგდებს და ჩვეული რიხით და პათეტიკით აგრძელებს ანტისახელმწიფოებრივი, დესტრუქციული ხასიათის განცხადებების კეთებას, რომლებშიც ზოგჯერ სისხლის სამართლის დანაშაულის შემცველი ელემენტებიც ჩანს.**

ასე, მაგალითად, როცა სააკაშვილი პოლიციას მოუწოდებს არ დაემორჩილოს ბრძანებებს, ადვილი წარმოსადგენია, რა შეიძლება მოხდეს ქვეყანაში, პოლიცია მართლაც რომ აჰყვეს მის მოწოდებას.

— ლეონიდ კრავჩუკმა მითხრა, სიბერე არ გამიმწარო, მალე დაბრუნდი ხელისუფლებაშიო, — ამბობს სააკაშვილი და იქვე მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით მიანიშნებს, რომ მზად არის თხოვნა შეუსრულოს უკრაინის კომპარტიის თავკაცს და დარდი საფლავში არ ჩააყოლოს.

სააკაშვილი ხელისუფლებაში სასწრაფოდ დაბრუნებაზე სხვა დროსაც ბევრს ლაპარაკობს, ხოლო მისი გუნდის წევრები ზოგჯერ დაბრუნების ვადებსაც კი ასახელებენ — ეს არის აპრილის თვე, ანუ ექვსი თვის თავი ოქტომბრის არჩევნებიდან, როცა პრეზიდენტ სააკაშვილს კონსტიტუციის მიხედვით უფლება აქვს დაითხოვოს პარლამენტი და ახალი არჩევნები დანიშნოს.

— რაღა ექვსი თვე ვიცადოთ, ახლავე, სამი თვის თავზე გაძლევთ იმის საშუალებას, რომ პარლამენტი დაითხოვოთ და ახალი არჩევნები დანიშნოთ — წინადადებას იძლევა პრემიერი ივანიშვილი,



თუმცა ამ მაცდურ წინადადებაზე სააკაშვილი ჯერჯერობით არ რეაგირებს.

მიხეილმა იცის, რომ ახალი არჩევნები ნაციონალური მოძრაობისთვის კატასტროფით დამთავრდება და მათ, შეიძლება, საარჩევნო ბარიერიც კი ვერ გადალახონ.

მაშ, როგორ აპირებს ბატონი სააკაშვილი უახლოეს ხანებში ხელისუფლებაში დაბრუნებას და მოხუცი კრავჩუკის გულის გახარებას?

როგორ და, როგორც ზემოთ ვთქვით, ქვეყნის შიგნით დესტაბილიზაციის, პროვოცირების გზით, რომლის პარალელურად აქტიურად გაგრძელდება ახალი ხელისუფლების, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაციის კამპანია საერთაშორისო არენაზე, მისთვის დიქტატორის იარლიყის მიკერება, დემოკრატიული ღირებულებების უგულებელყოფის ბრალდება, ქვეყნის განვითარების დასავლური კურსისადმი ღალატი, ადამიანების დევნა პოლიტიკური ნიშნით. აი, არასრული ჩამონათვალი იმ ბრალდებებისა, რომლებსაც ადრე თუ ახლა მოქრთამული უცხოური პრესის, ე.წ. ლობისტური კომპანიების მეშვეობით უკვე აჟღერებს სააკაშვილი სხვადასხვა საერთაშორისო ტრიბუნებიდან.

მას იმედი აქვს, რომ მის ამ დემაგოგიურ, ცილისმწამებლურ რიტორიკას ბევრი უცხოელი პოლიტიკოსი, ბევრი ავტორიტეტული ორგანიზაცია ირწმუნებს — ის ხომ წლების განმავლობაში დემოკრატიის შუქურა იყო მათთვის და, აი, მოვიდა ბნელი ძალა, რომელიც ამ შუქურის „ჩაქრობას“ ცდილობს.

აქედან ერთი ნაბიჯია იმ დასკვნამდე, რომ მსოფლიოს დემოკრატიული თანამეგობრობა ვალდებულია საქართველოშიც ხელყოფისგან დაიცვას წმინდათაწმინდა ფასეულობა — დემოკრატია. ვერ გავიზიარებ იმ გულარხეინ, ზედმეტად თავდაჯერებულ მოსაზრებას, რომ სააკაშვილს, რომელსაც ძალზე დაბალი რეიტინგი აქვს, არანაირი რესურსი არ გააჩნია რევანშის განსახორციელებლად.

ეს მცდარი და სახიფათო აზრია, რომელმაც, შეიძლება, ხელისუფლებისა და საზოგადოების სიფხიზლე მოადუნოს, რაც სააკაშვილსა და მის თანამოაზრეებს საქმეს გაუადვილებს.

საქმე ის არის, რომ მოსახელობის დიდი ნაწილის მხარდაჭერა სულაც არ არის საჭირო არეულობის და დაპირისპირების პროვოცირებისთვის.

ამისთვის სრულიად საკმარისია, ადამიანთა შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფი, კარგად გაწვრთნილი, კარგად ორგანიზებული და მოტივირებული ჯგუფი.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ამის რესურსი კი ქვეყანაში, სადაც ყოველი მეოთხე ადამიანი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, ყოველი მეათე თუ არა ყოველი მეთხუთმეტე მაინც ნარკომანია, ქვეყნაში, სადაც საკმაოდ მაღალია კრიმინალური მაჩვენებელი, და, რაც უმთავრესია, ქვეყანაში, რომელსაც ორი სეპარატისტული რეჟიმი აკრავს გარშემო, ქვეყანაში, რომლის ტერიტორიის ერთ ნაწილში აგრესიულად განწყობილი უცხო ქვეყნის ჯარი დგას, ქვეყანაში, სადაც ოცი წელია ომია მცირედი პაუზებით, რის გამოც მოსახლეობაში საკმაოდ დიდძალი იარაღია დაგროვილი, ადამიანთა იმ კონტინგენტის გამოძებნა, რომელიც ყველაფერზე წავა, სულაც არ არის რთული საქმე.

**„ქართული ოცნების“ მესვეურებო! თქვენ რეიტინგებს კი ნუ უყურებთ, მხოლოდ თქვენი მხარდამჭერების მრავალრიცხოვნობით კი ნუ შეაფასებთ ძალთა ბალანსს, მოსალოდნელი საფრთხეები გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ.**

უსიამოვნო პარალელია, მაგრამ მაინც უნდა გავავლოთ გასული საუკუნის 90-იან წლებსა და დღეს შექმნილ მდგომარეობას შორის, რადგან ძალიან ჰგავს დროით დაშორებული ეს ორი ისტორიული მომენტი ერთმანეთს.

ჰგავს იმითაც კი თუ როგორ იოლად დათმო ძალაუფლება მაშინდელმა კომუნისტურმა პარტიამ და დღევანდელმა მიშისტურმა პარტიამ — ნაცმოძრაობამ.

**მოსახლეობის 86 პროცენტი უჭერდა მხარს ზვიად გამსახურდიას, მაგრამ მსეც არ აღმოჩნდა საკმარისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად, რადგან როცა ერთ მხარეს დგება ავტომატმომარჯვებული ორი ავაზაკი, მეორე მხარეს კი თუნდაც ორი ათასი უიარაღო კაცი, უპირატესობა იმ ორი ავაზაკის მხარესაა.**

მახსოვს, როგორ დაშალა ათმა ავტომატიანმა „მხედრიონელმა“ ორასიათასკაციანი მიტინგი ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე.

იგივე მოხდა „დელისთან“, „დიდუბესთან“, სხვაგან და სხვაგან.

**ნაციონალურმა მოძრაობამ შესანიშნავად იცის, როგორ კეთდება ეს, რადგან ნაციონალური მოძრაობა თვითონ იყო და არის მოდერნიზებული „მხედრიონი“, რომელმაც ამ ათი წლის განმავლობაში მოსახლეობის დაწიოკების, დარბევის, დაშინების, „დაჩმორების“ უზარმაზარი გამოცდილება შეიძინა.**

მას ასევე აქვს ხელისუფლების ძალადობრივი გზით ხელში ჩაგდების გამოცდილებაც, რის დასტურადაც ე.წ. „ვარდების რევოლუციაც“ იკმარებს, რომელიც სულაც არ გახლდათ ვარდების და ყვავილების რევოლუცია...

როგორც ზემოთ ვთქვით, უსიამოვნო პარალელებია ეს, უსიამოვნო ფაქტებია, მაგრამ, ჯობს ამ უსიამოვნო ფაქტებზე ახლა ვილაპარაკოთ, ვიდრე მაშინ, როცა უკვე გვიანი იქნება...

**ნაციონალურ მოძრაობას ჯერ არ აუმოქმედებია თავისი მთავარი იარაღი — ფული, რომელიც მან ძალიან დიდი რაოდენობით დააგროვა ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში.**

**თუ ეს ფული ამოიყრება საიდუმლო „სკივრებიდან“, მაშინ მისი ამღებიც, ბიძინა ივანიშვილისთვის ჩაუშესკუ-ჩაუშესკუს დამძახებელიც ბევრი გამოჩნდება, როგორც ეს გამსახურდიას დროს მოხდა.**

ჩაუშესკუს დაძახებიდან ერთი ნაბიჯია ჩაუშესკუს დამხობის მოწოდებამდე, რასაც, შეიძლება, პირდაპირ თუ ირიბად მხარი საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის ბევრმა იმ წარმომადგენელმაც დაუჭიროს, რომლებსაც ბიძინა ივანიშვილი თავისი ხაზგასმული ეროვნული პოზიციის გამო მაინცადამაინც დიდად არ მოსდის თვალში და ბოლომდე არ ენდობა.

მოკლედ, მიზეზი და მოტივი, თუ მოიდომეს, შინ და გარეთ, ბევრი მოიძებნება...



ყოველ შემთხვევაში, ის, რასაც ახლა ნაცმოძრაობა და მისი ლიდერი აკეთებს, არის კარგად გათვლილი და აწონილ-დაწონილი მოსამზადებელი ეტაპი დიდი შეტევის წინ, რომლის განხორციელებას ნაცმოძრაობა ოქტომბრის არჩევნებზე კი არა, არჩევნებამდე გაცილებით ადრე აპირებს.

ნაცმოძრაობამ ძალიან კარგად იცის, რომ ის ვერც თვითმმართველობის, ვერც საპარლამენტო და ვერც საპრეზიდენტო არჩევნებში წარმატებას ვერ მიაღწევს, ამიტომ არჩევნებისთვის კი არ ემზადება, არამედ ემზადება ექსტრემალური, კრიზისული პოლიტიკური სიტუაციის შესაქმნელად, რაც მას შანსს მისცემს ხელისუფლებაში დასაბრუნებლად.

**სააკაშვილისთვის პრეზიდენტობის დატოვება, ეს იგივეა დაუტოვო ბომბი ტერორისტს, რომელმაც ეს-ესაა რომელიღაც ობიექტი ააფეთქა და ახლა მეორის აფეთქებას აპირებს.**

არა გვგონია, ეფექტური აღმოჩნდეს ის კონსტიტუციური ცვლილებები, რომლითაც ახალი ხელისუფლება სააკაშვილის „შებოჭვას“ ცდილობს.



თუ ასე ადვილად და იოლად შეუძლია ამჟამინდელ საპარლამენტო უმრავლესობას კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, მაშინ ჯობდა ის სამართლებრივი ლაფსუსი გაესწორებინა, რომლის გამოც ქვეყანა ორხელისუფლებიანობის ზღვარზე დგას.

ლაფსუსია, აბა, სხვა რა არის, როცა არსებული კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს 5 წლის ვადით ირჩევენ, მაგრამ იმავე კონსტიტუციით მას შეუძლია მთელი ათი თვე დაიმატოს.

რა არის ეს, თუ არა ელემენტარული თაღლითობა, ელემენტარული აფიორა?

**სააკაშვილია თუ სტეპკა რაზინი, საკუთარი ხელით რომ იდგამს „სამეფო“ გვირგვინს?!**

* * *

ღმერთმა ქნას, რომ ყველაფერი კარგად წარიმართოს და ოქტომბრამდე მშვიდობიანად მივაღწიოთ, თუმცა ძნელია ამის დაჯერება, როცა ზურგზე ბომბი გკიდია და ღილაკზე ისეთ არაორდინალურ პერსონას უდევს ხელი, როგორიც ბატონი სააკაშვილია.

**გაუგებარია, ბომბის მოშორებას და განეიტრალებას ბომბთან კოაბიტაცია რატომ ვარჩიეთ?**

რამდენად უხიფათო იქნება ეს არჩევანი, დრო გვაჩვენებს...

**ვახტანგ ხარჩილავა**

**P.S. წერილი უკვე დაწერილი იყო, როცა გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილი საცხოვრებლად ზუგდიდში გადადის, რაც კიდევ ერთი დასტურია ამ წერილში გამოთქმული ვარაუდისა, რომ სააკაშვილი დესტაბილიზაციის პროვოცირებას და წყლის ამღვრევას აპირებს, ამის განსახორციელებლად კი ყველზე ეფექტურ ადგილად, ჩანს, სამეგრელოს მიიჩნევს.**

**— რატომ მაინცდამაინც სამეგრელო? — ისმის კითხვა.**

**ჩვენი აზრით, არა იმიტომ, რომ სააკაშვილს ჰგონია, სამეგრელოში ყველზე მეტი მხარდამჭერი მყავსო, არამედ უფრო იმიტომ, რომ სამეგრელო ფრონტისპირა რეგიონია და პროვოკაციების პროვოცირება აქ უფრო ადვილია.**

**როგორც გახსოვთ, სწორედ აქ, სამეგრელო-აფხაზეთის საზღვართან „ნაცმოძრაობას“ პროვოკაციების მოწყობის და დადგმის დიდი გამოცდილება აქვს.**

**რაც შეეხება იმ ამბავს, თითქოსდა ნაცმოძრაობას სამეგრელოში ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა და ამიტომ მიაღწია წარმატებებს არჩევნებში, ეს სრული დეზინფორმაციაა.**

**სამეგრელოს რეგიონში „ქართული ოცნების“ მარცხის მიზეზი სულ სხვა რამ იყო და ამის შესახებ დაწვრილებით სხვა დროს ვილაპარაკებთ.**

**სამეგრელოს მოსახელეობამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში იმდენი უბედურება გადაიტანა და იმდენად დიდი გამოცდილება დააგროვა, მერწმუნეთ, ის არავის მისცემს უფლებას, ეს მრავალტანჯული კუთხე ვიღაცვიღაცების ავადმყოფური პოლიტიკური ამბიციების ასპარეზად აქციოს.**

**ვ.ხ.**

***რამდენიმე დღის წინ მედიაში გაჩნდა ვერსია, რომ მიხეილ სააკაშვილი სამუშაოდ გადასვლას სამეგრელოში აპირებს. ამ წინადადებას პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არც უარყოფენ და არც ადასტურებენ. რეალურად, რა მიზანს ემსახურემა პრეზიდენტის ინიციტივა, რამდენად მომგებიანი იქნება იგი ქვეყნისა და ხალხისთვის? „საერთო გაზეთმა“ ამ შეკითხვით პოლიტოლოგებსა და ექსპერტებს მიმართა.***

**ხათუნა ლაგაზიძე, ექსპერტი პოლიტიკის საკითხებში:** ცხადია, რომ ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის კოჰაბიტაცია არ შედგა და ამას, პრინციპში, არც ბიძინა ივანიშვილი უარყოფს. პრემიერმა „ობიექტივისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპელებსა და ამერიკელებს უარი განუცხადა კოჰაბიტაციის იმ მოდელზე, რომელსაც სთავაზობდნენ, სადაც გადამწყვეტი იყო „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების ხელშეუხებლობა და იმ დანაშაულზე თვალის დახუჭვა, რომელსაც ცხრა წლის მანძილზე ჩადიოდნენ. ფორმალურადაც კი არც ერთი მხარე თანამშრომლობის სურვილსაც აღარ გამოთქვამს.



პრეზიდენტის განცხადებებს, რაც შეეხება, სააკაშვილი სახიფათო საკითხს ეთამაშება — სამეგრელოს თემას. აფხაზეთის საზღვართან ახლოს საპრეზიდენტო რეზიდენციის გადატანით, ფაქტობრივად, პრეზიდენტმა სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობას მოიხსნის. პრეზიდენტის რანგში მყოფი პირი როცა პასუხისმგებლობას იხსნის საკუთარი ქვეყნის წინაშე და მხოლოდ საკუთარი ამბიციებიდან გამომდინარე მოქმედებს, შეიძლება დადგეს მისი თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი. პრეზიდენტის მხრიდან სამეგრელოს საკითხით მანიპულირებამ, შესაძლოა, ქვეყანაში ვითარება უფრო დაძაბოს. პრეზიდენტი მართლაც თუ წავა ამ ნაბიჯზე და სამეგრელოში დაიწყო ეთნიკურ ფესვებით მანიპულირება, ასეთ პირობებში გარკვეული სეპარატისტული მოძრაობის ინსპირირების საფრთხე არსებობს.

**ვუშვებ შესაძლებლობას, რომ მიხეილ სააკაშვილს სამეგრელოში საპრეზიდენტო რეზიდენციის გადატანით სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე რუსეთის საოკუპაციო ჯარების შემოტყუება სურდეს.**

**რამაზ საყვარელიძე, პოლიტოლოგი:** ბოლო პერიოდში პრეზიდენტის ყველა ინიციატივა საფრთხის შემცველია სწორედ იმ მიმართულებით, რასაც დასავლელი პოლიტიკოსები ეძახიან კოჰაბიტაციას. კერძოდ, პრეზიდენტი დგამს ისეთ ნაბიჯებს, რომლითაც ცდილობს, სირთულეები შეუქმნას საქართველოს ერთიან სახელმწიფოებრიობასა და მის მართვას.



**პრეზიდენტის სამეგრელოში გადასვლის პოზიტიური ფუნქცია გაუგებარია, მაგრამ ნეგატიური პოტენციალი იგივეა, რაც ხშირად მომხდარა და რუსულ პოლიტიკაშიც ჩადებული იყო, რომ დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო ერთმანეთისგან გამიჯნულიყო.**

გახსოვთ, ზვიადის პერიოდში გაივლო ანალოგიური სადემარკაციო ხაზი. სააკაშვილმა თუ იგივე მიმართულებით მოისურვა მოქმედება და თუ ასეთი ჩანაფიქრი აქვს, სამწუხაროა. იმ რიტორიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რასაც სააკაშვილი იყენებს მმართველი პოლიტიკური ძალის „ქართული ოცნების“ მიმართ გასაკვირი არაა, პრეზიდენტის მხრიდან ანტიოცნებისტური ნაბიჯები მიზანმიმართულად ხორციელდებოდეს. საქართველოში ბევრი დასავლელი პოლიტიკოსი დიქტატურის ნიშნებს კითხულობდა, უბრალოდ, ამ მიმართულებით პოლიტიკური შეფასების გაფორმება არ აწყობდათ, რადგან თვითონ უკრავდნენ ტაშს ქართულ დემოკრატიას. ასე, რომ, საქართველო თუ სიმართლეს დაუბრუნდება — კარგია, რადგან სიმართლის თქმას პატივს ყოველთვის სცემენ, ამიტომ სამართლიანობა საქართველოს იმიჯს ყოველთვის წაადგება.

**მირანდა ნაბახტეველი**

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია პარტია „თეთრების“ თავმჯდომარე ბატონი* ***თემურ შაშიაშვილი.***

**— ბატონო თემურ, ნამდვილად არ მჯერა, და ვფიქრობ, არც თქვენ გაქვთ იმედი, რომ 21 იანვარს მიხეილ სააკაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ საპრეზიდენტო ვადა ამოეწურება, აღარ იქნება საქართველოს პრეზიდენტი, ამდენად, თქვენი ულტიმატუმი, ალბათ, სხვა „გამგონესთვის“ უფროა განკუთვნილი...**

— მიხეილ სააკაშვილი რომ ისეთი პრეზიდენტი იყოს, როგორიც ჰყავს, ვთქვათ, გერმანიას, იტალიას, ისრაელს და ა.შ ანუ, პრეზიდენტი, რომელიც არ ერევა სამთავრობო საქმეებში, ასეთი პრობლემა არ იქნებოდა. ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეს, რეალურად, განიარაღებაა იმ თვალსაზრისით, როცა 1 მლნ ადამიანი ხელს მოაწერს, როდესაც დიდი შეკრება დაიწყება, თუნდაც, გარკვეული კანონ-პროექტი, რომელიც პარლამენტს აქვს მომზადებული და მშვიდობა შედის კონსტიტუციაში. არსებულ კონსტიტუციაში მშვიდობა არ არის, ის არეულობის საყრდენია — პრეზიდენტს შეუძლია მიიღოს ერთპიროვნული გადაწყვეტილება, დაითხოვოს პარლამენტი და თავისი დანიშნული მთავრობით ჩაატაროს არჩევნები. არაერთი საშიშროება რომ არ იდოს საქართველოს კონსტიტუციაში, იჯდეს, ვის აინტერესებს მიხეილ სააკაშვილის სკამი!... დღეს ის გახდა დაპირისპირების ცენტრი, პრეზიდენტის სასახლე აქცია იმ ადამიანების შეკრების ადგილად, რომლებიც მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ ჩაუსაფრდნენ იმ პროგრამას, რომელსაც 1 ოქტომბერს დაუჭირა ხალხმა მხარი.

მთავარი ვინმე სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლაზე ფიქრი კი არ არის — მიხეილ სააკაშვილი არ ყოფილა, არ არის და არც იქნება ის ფიგურა, რომელსაც უნდა დაუპირისპირდეს საქართველოს მოსახლეობა, მიხეილ სააკაშვილი საშიშია იმ ძალებით, რომლებიც, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, მის უკან დგანან...

**მიხეილ სააკაშვილი არასდროს არ ყოფილა ისეთი საინტერესო არც ამერიკისთვის და არც რუსეთისთვის, როგორც დღეს. ამერიკას არ აწყობს მოლაპარაკე მიხეილ სააკაშვილი იმიტომ, რომ მან შეიძლება ისაუბროს იმაზე, როგორ დაიწყო ომი, ხოლო რუსეთს, პირიქით, აწყობს, ილაპარაკოს სააკაშვილმა, თუ როგორ დაიწყო ომი. ამიტომ, ეს ვაჭრობს ორივესთან და რომელიც უკეთესს შესთავაზებს, რა თქმა უნდა, იმის მხარეს დადგება, მაგრამ აშშ ყველაფერზე წამსვლელია და შეიძლება, თვალი დახუჭოს...**

**— დავაზუსტოთ, რას გულისხმობთ...**

— ამას რატომ გეუბნებით, მოახდინა რევოლუცია — თვალი დახუჭა; შენ გითხრეს, რევოლუცია არ მოახდინო, ეწინააღმდეგება დემოკრატიის ფუძემდებლურ პრინციპებსო; „ვარდების რევოლუცია“ — ეს იყო „მოქალაქეთა კავშირის“ დარჩენა ხელისუფლებაში, ანუ ვინც მას დაუჭირა მხარი (ამერიკა იყო თუ ევროპა, პრაქტიკულად, ეს რუსეთმა გააკეთა) თავზე დაგვასვა „მოქკავშირ-აღორძინების“ ნაერთი.

ნახეთ, რისი დევალვაცია მოხდა!

ჩვენ, ყველამ, ძალიან კარგად ვიცით, რომ თუ გინდა საქართველოს ებრძოლო, ისეთ სიტყვებს უნდა დაუკარგო ძალა და მნიშვნელობა, როგორიც არის „ეროვნული“, „სამშობლო“, „პატრიოტი“, „ავტორიტეტი“... შეხედეთ, რა მოხდა, ნაციონალური და ეროვნული ჰქვია ყველაზე არაეროვნულ პარტიას; „ავტორიტეტი“ დაარქვეს ქურდს; ქართველი პატრიოტები ვართო, დაირქვეს ადამიანებმა, რომლებიც ამბობენ, სააკაშვილმა უნდა გაიხანგრძლივოს საპრეზიდენტო ვადაო...

**— მაზმანიანისა და პანფილოვის ე.წ პეტიციას გულისხმობთ?**

— ჯერ ერთი, კონსტიტუცია ამის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ რომც იძლეოდეს, პატრიოტები იმაზე ილაპარაკებდნენ, რომ მიწაზე მფორთხავი პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს პრეზიდენტი!... უნდა მიესალმო, როდესაც, ვთქვათ, სომეხი, აზერბაიჯანელი თუ რუსი იტყვის, მე ქართველი პატრიოტი ვარო, მაგრამ ქართველი, რომელიც იტყვის, მიწაზე მფორთხავ პრეზიდენტს უნდა გავუხანგრძლივოთ საპრეზიდენტო ვადაო, ის არანაირი საქართველოს პატრიოტი არ არის!

კონსტიტუციაში წერია, რომ პრეზიდენტის არჩევა ხდება ხუთი წლით, რა არის აქ საკამათო? რომ ამბობენ, ოქტომბერშია პრეზიდენტის არჩევის ვადაო, რა პრობლემაა, ჩატარდეს ოქტომბერში, ელემენტარული საკონსტიტუციო ცვლილებაა საჭირო და სააკაშვილი 21 იანვრიდან აღარ იქნება საქართველოს პრეზიდენტი. კონსტიტუცია არის აბსოლუტური აბსურდი, ერთი მუხლი ამბობს, საპრეზიდენტო ვადა ხუთი წელიაო, მეორე მუხლი — საპრეზიდენტო არჩევნები ოქტომბერში უნდა ჩატარდესო და 10 თვით უხანგრძლივებს საპრეზიდენტო ვადას. ყველა კონსტიტუციონალისტი, ვისაც ამ საკითხზე დაელაპარაკები, ერთხმად ამბობს, რომ საპრეზიდენტო ვადა მთავრდება, მაგრამ პირად საუბრებში აუცილებლად მოსდევს — „იცი, რა, ამერიკა მოითხოვს...“

იცით, რა, ამერიკა ჩვენ გვაყენებს შეურაცხყოფას!

ისინი გვეუბნებიან, ამერიკაში არ შეიძლება, რომ წერია 4 წელი, უნდა იყოს 4 წელი, აი, საქართველოში, შეიძლება, თქვენ არ ხართ იმ დონის, რა დონისაც ჩვენ ვართ!... აშშ-ში გენერალი, საკმაოდ მაღალი ფიგურა გადააყენეს იმის გამო, რომ ვიღაცას სასიყვარულო წერილი გაუგზავნა — ცოლს რომ ულალატებს, ამერიკასაც ულალატებსო. ამერიკის საელჩომ არ იცის, რა გარყვნილ ცხოვრებას ეწევა სააკაშვილი?

უკადრებელის კადრება არის ეს, რაც არ შეიძლება აშშ-ში, ის უპრობლემოდ შეიძლება საქართველოში — მე ეს მკლავს!

ჩვენ როდესაც ვაცხადებთ, რომ 20 იანვარს 13 საათზე ვიკრიბებით, რაიმე აქცია და ვინმეს ჩამოგდება კი არ არის, ამას ვუწოდებთ ღირსების შეკრებას, ეს არის მთელი მსოფლიოსთვის განკუთვნილი ღირსების განაცხადი თბილისიდან, პრეზიდენტის სასახლიდან, რომ ჩვენ ვართ ღირსეული ქვეყანა, ღირსეული ერი და ვამბობთ, რაც წერია კონსტიტუციაში, უნდა შესრულდეს!

ნურავინ ნუ გვასწავლის გარედან და ნურავინ გაიხადა საქართველო თავის საბურთაო ქვეყნად ნურც რუსეთმა, ნურც აშშ-მა და ნურც ევროპაში ცდილობენ ამას!

საქართველოს უნდა ჰყავდეს ღირსეული ხელისუფლება, რომელიც იტყვის, რომ გარედან არ იმართება!

ბატონი ბიძინა იყო ძლიერი, როდესაც თქვა, რომ სააკაშვილს იანვარში გასდის საპრეზიდენტო ვადა...

სააკაშვილი ერთად მოგვიყვანა რუსეთმა და ამერიკამ. ნახეთ ფოტო, ერთ მხარეს სხედან ჟვანია, ბურჯანაძე და სააკაშვილი, მეორე მხარეს არის ივანოვი, რომელსაც არჩევანი ჰქონდა და დაჯდა სააკაშვილის წინ, არადა, უნდა დამჯდარიყო ბურჯანაძის წინ, რადგან ის ასრულებდა იმ დროს პრეზიდენტის მოვალეობას — ივანოვმა დიპლომატიური ჟესტით გვითხრა, რომ მათ უნდოდათ სააკაშვილი. ამერიკა და რუსეთი შეთანხმდნენ — ჩვენ საბურთაო ვართ?! პატარა ქვეყანა ვართ, მაგრამ ღირსების მქონე, ვინც კეთილად მოგვეკიდება, მის მიმართ უნდა ვიყოთ კეთილად განწყობილი...

**სააკაშვილი რომ გადადგა 2007-ში, მას არ ჰქონდა უფლება კენჭი ეყარა პრეზიდენტობაზე – კენჭი იყარა; წააგო არჩევნები, შედეგები მოიპარა და ხმა არ ამოიღო არავინ, ეს შეურაცხოფა არ არის? ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი?!**

— ამიტომ ჰქვია 20 იანვრის შეკრებას ღირსების შეხვედრა. ჩვენ 20-ში ხმამაღლა უნდა ვთქვათ, რომ არ ვართ ის ქვეყანა, რომელსაც ასეთი ტონით და ენით უნდა ელაპარაკონ. უნდა ვუთხრათ მთელ მსოფლიოს, რომ საქართველოს სიმაღლე არის მისი კულტურა, მისი რელიგია, მისი ტრადიციები, ტვინით გატენილი ადამიანები და პატივი სცენ მათ და არა იმას, ვისაც აფინანსებენ, რომ დაანგრიოს ეს ქვეყანა. მსოფლიო იკვებებოდა ქართული კულტურით და უკადრებელი გვაკადრა სააკაშვილმა ბელგიაში, საქართველო ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა იყოო. გამოვიდეს, აბა, ერთი, ვინმე აშშ-ში და თქვას მსგავსი რამ აშშ-ზე, იმპიჩმენტს მოუწყობენ. ამერიკაზე არ შეიძლება!

საპატივცემულო და ხაზგასასმელია, რომ აშშ-ის ამ ელჩს ძალიან მოზომილი ენა აქვს, ძალიან ტაქტიანად და კულტურულად იქცევა, მაგრამ წინა ელჩები რას კადრულობდნენ? — 26 მაისის დარბევის უფლება, პრაქტიკულად, ბასმა გასცა! ნაცვლად იმისა, რომ ეს სირცხვილი ჩამოირეცხონ, ქართველ ხალხთან იმეგობრონ... — ვინაა სააკაშვილი (არ მინდა ვთქვა: „ვინ მიგდია“), რომ მას გადააყოლონ ჩვენი კულტურა და ტრადიციები!... თქვენ გინახავთ? — ერთხელ მაჩვენონ, რომ აშშ-იდან ვიღაც ჩამოვიდა და ან მერაბ ბერძენიშვილს ეწვია სახელოსნოში, ან რომელიმე მწერალს, ან მეცნიერებთან ჰქონდა შეხვედრა — ჩამოდიან და ხვდებიან თეა თუთბერიძეს. ეს ხომ არის შეურაცხყოფა!

20 იანვრის შეკრებაზე მოვლენ ის ადამიანები, რომლებსაც ღირსება აქვთ!

მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ამგვარი საუბრით ვაღიზიანებ ყველას და ჩემი სახელის გაგონება არ უნდათ, მაგრამ ჩემთვის მთავარია, არ გადავიდე იმ ხაზიდან, რომელიც ჰქვია საქართველოს და ქართველი ხალხის მსახურება. ჩემთვის ეს არის ღირსება და არა ის, აშშ რომელიმე თანამდებობაზე მხარს დამიჭერს თუ არ დამიჭერს. ბევრმა

**საქართველოს მოსახლეობის 1 მლნ-მა უკვე ხელი მოაწერა, იუსტიციის მინისტრმა თქვა, პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, კონსტიტუციონალისტებმა თქვეს, რომ 20 იანვარს გასდის საპრეზიდენტო ვადა სააკაშვილს, ვის ჰუსმენთ ჩვენ, მაკკეინს რას იტყვის?**

მაკკეინი საქართველოზე კი არა, ამერიკაზე ფიქრობს და ასეც უნდა იყოს, მაგრამ თუ დღეს საქართველო ფეხქვეშ გაეგება აშშ-ს, ის საქართველო აღარ იქნება! პატივს ვცემ აშშ-ს, ვთვლი, რომ მასთან ურთიერთობის გარეშე დიდი მომავალი არ გვაქვს, მაგრამ ამის გამო აშშ-ს თავზე ვერ დავისვამთ, ვერც რუსეთს და კიდევ ვინმე სხვას, მოდით, ვიმოქმედოთ ისე, როგორც დღეს უკეთესი იქნება საქართველოსთვის!

**— მაგრამ ხომ განმარტა კიდეც, დასავლეთი ვერ გაიგებსო...**

— ხომ თქვა — ვერ გავიგე... დასავლეთმა კი არა, ქართველმა ხალხმა უნდა გაგიგოს და თუ ბატონ ბიძინას უნდა, ასიამოვნოს ვიღაც სხვას და არა ქართველ ხალხს, დაუშვებს დიდ შეცდომას — გულწრფელად გეუბნებით, არ მინდა ეს გააკეთოს! თუ ბატონი ბიძინა ძლიერად დადგება, პარლამენტი ძლიერად დადგება... პარლამენტში არის 15 ადამიანი, რომელმაც ჩვენთან ერთად „სახალხო კრების“ ყრილობაზე რუსთაველის პროსპექტზე ხელი აუწია პრეზიდენტისადმი უნდობლობას, იმ დღის შემდეგ სააკაშვილი არ არის ჩვენთვის. ახლა, იმ პარლამენტში რომ შეხვედი, უკან იხევ? — ეგ არ ვარგა!... მე ვარ პრინციპული პიროვნება...



# 20 იანვარს, 13 საათზე, საჯაროდ გამოვაცხადოთ სააკაშვილის პრეზიდენტობის საკონსტიტუციო ვადის დასრულება!



იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მითხრა, რაღაც-რაღაცებზე კენჭი რომ გინდა იყარო, ამიტომ მაინც დაანებეო თავი აშშ-ს. მე ვამბობ, კი, ბატონო, პატივს გცემთ, ყველა მიყვარხართ, მაგრამ თავზე ნუ გვაჯდებით! არ შეიძლება, აშშ-ისა და რუსეთის ხელისუფლება ასე ექცეოდეს პატარა ქვეყნებს...

ვინ არის სააკაშვილი, რომ მის წინააღმდეგ ვიბრძოლოთ, ჩვენ ვაკეთებთ სერიოზულ განაცხადს ღირსებაზე.

**20 იანვარს, 13 საათზე ღირსების შეკრება ავლაბარში, პრეზიდენტის სასახლესთან. საჯაროდ გამოვაცხადოთ სააკაშვილის პრეზიდენტობის საკონსტიტუციო ვადის დასრულება და გავაცილოთ იგი პრეზიდენტობიდან!**

სააკაშვილს ღირსება რომ ჰქონდეს, ეს შეკრებაც არ დაგვჭირდებოდა, მაგრამ რადგან თვლის, რომ ჩვენ ის ხალხი ვართ, რომელსაც უღირსად უნდა მოექცეს, ჩვენ ვატარებთ მსოფლიოს გასაგონ ღირსების შეკრებას, რომ თავისი უღირსობით ვერავინ დაგვაჯდება თავზე, ამოიწურა საკონსტიტუციო ვადა და ვაცილებთ პრეზიდენტს.

ვისაც ღირსება აქვს, შეწუხებული ხომ უნდა იყოს სააკაშვილის საქციელის შემხედვარე, ვინ მართავდა საქართველოს თითქმის ათი წელი!

მე ვიცი, ბატონი ბიძინა ძალზე მძიმედ განეწყობა ჩემს მიმართ, მაგრამ იმაზე მძიმედ როგორღა უნდა განეწყოს, როგორც არის, მაგრამ ნაკლებად მაწუხებს — კონსტიტუცია ამბობს, რომ პრეზიდენტს არ აქვს უფლება თანამდებობაზე დანიშნოს კაცი, რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ვინ დაინიშნა? — გუნავა. ხომ არ ვამბობ, რომ დამნაშავეა, მაგრამ არ შეიძლება, თვით სააკაშვილის მიღებული კანონია ეს. წერია, რომ გუბერნატორი არის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი და ინიშნება მთავრობის თავმჯდომარესთან შეთანხმებით. დანიშნა ორი გუბერნატორი და არაფერი შეუთანხმებია. ადამიანი აცხადებს, რომ ის არის კანონიც, კონსტიტუციაც და ეს უნდა მოვითმინოთ, ეს არის ღირსების ქონა?

ღირსებაზე მაქვს საუბარი, თორემ, დღეს ვისაც საქართველოში მაღალი თანამდებობა უნდა, იმან არ იცის, რა მდგომარეობაა ქვეყანაში — კატასტროფაა, ბატონ ბიძინას ჯერ კიდევ არ ჩაუხედავს ღრმად...

1 ოქტომბერს არა მხოლოდ მოწინააღმდეგეებმა, იმანაც კი უარი უთხრა სააკაშვილს, ვინც მასთან იდგა, ეს გადავხაზოთ, ვაქირქილოთ და ძველებურად ვაპარპაშოთ?

ჭკვიანური არც მანამდე მინახავს, მაგრამ სააკაშვილის ბოლოდროინდელი გამოსვლები არის ნიშანი იმისა, რომ სრულად დაკარგა ქვეყნის მართვის უნარი — ამას არ მოითმენდა მსოფლიოს არც ერთი თავმოყვარე ერი. რასაც სააკაშვილი აკეთებდა და ვითმენდით, შეურაცხყოფას ვაყენებდით საკუთარ თავს, მაგრამ უსაზღვროებასაც აქვს საზღვარი. ერთი ფილოსოფოსის სიტყვები გამახსენდა უსაზღვროებაზე, ორ რამეს არ აქვს საზღვარიო, პირველი — სამყაროს და მეორე — ადამიანის სისულელეს, მაგრამ პირველი, საეჭვოა, შეიძლება, სამყაროს ჰქონდეს საზღვარი, მაგრამ ადამიანის სისულელეს ნამდვილად არ აქვს საზღვარიო — ეს დაემართა სააკაშვილს, დაადასტურა, რომ ნამდვილად არ აქვს საზღვარი ადამიანის სულელურ ქმედებებს. რომ უთხრან, შენ მხოლოდ სკამის პრეზიდენტი ხარო, ოღონდ პრეზიდენტი ერქვას და სკამზე მიკერებული იქნება...

გერმანიაში პრეზიდენტი იმის გამო გადააყენეს, რომ გარკვეულ პირს რაღაც ფორმით დაეხმარა შეღავათიანი სესხის მიღებაში. ჩვენ ვინ ვართ, კაცო?! ქალბატონ მერკელს ვეკითხები, რაც არ შეიძლება გერმანიაში, რატომ შეიძლება საქართველოში? თქვენ რისთვისაც ბოლო ხუთი მინისტრი და პრეზიდენტი გადააყენეთ, იმ კრიტერიუმების მიხედვით, სააკაშვილის მთელი ხელისუფლება ციხეში უნდა იჯდეს; საფრანგეთის დიდი პრეზიდენტების მაგალითით, სააკაშვილს დღეს სამუდამო პატიმრობა უნდა ჰქონდეს მისჯილი;

**ასჯერ გავიმეორებ, ბატონებო, თუ მართლა ჩვენი მეგობრები ხართ, რატომ აძლევთ თავს უფლებას, რომ რაც არ შეიძლება აშშ-ში, გერმანიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში და ა.შ შესაძლებელი გახადოთ საქართველოში?**

**— ბატონო თემურ, როცა იქნება, დამთავრდება პრეზიდენტი სააკაშვილი, მაინტერესებს, დამთავრდება და ყველაფერი ჩაივლის, ვითომ არც ყოფილა?**

— დღევანდელი კანონმდებლობით მოქმედი პრეზიდენტის მიმართ საქმე ვერ აღიძრება, მაგრამ როცა პრეზიდენტი აღარ იქნება... ახლა, ოქრუაშვილი რომ გამოვიდა (მის მიმართ მძიმედ განწყობილი ვარ), მიმაჩნია, რომ სწორს ამბობენ, არ არის ის პიროვნება, რომ პატიოსნად მუშაობდა თანამდებობაზე, მაგრამ, რასაც აკეთებდა ოქრუაშვილი, აკეთებდა სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს; ყველა უბედურება, რაც გააკეთა, გააკეთა სააკაშვილის დროს, ამიტომ ამ ნაწილში ან ორივე ერთად უნდა იჯდეს ციხეში, ან ორივე უნდა იყოს გარეთ, ანუ სააკაშ-



ვილი რომ პრეზიდენტი აღარ იქნება, ორივე უნდა წავიდეს ციხეში. ეს იმის გამო კი არა, რომ მე მინდა ასე, არა, იმის გამო, რაც მათ აქვთ ნაკეთები — მარტო იმის გამო, რომ ზესტაფონში 110 მლნ დოლარის სილიკონ-მანგანუმზე იუსტიციის მინისტრმა და მისმა მოადგილემ (სააკაშვილმა და ოქრუაშვილმა) ხელი მოაწერეს, ეს არის სანაგვეზე გადაყრილი რაღაცო და მერაბ სამადაშვილს აჩუქეს ზესტაფონი. მოვა ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ ამისთვის აგებინებს პასუხს ერთსაც და მეორესაც.

მხოლოდ სააკაშვილი კი არა, უნდა გასამართლდეს მთელი „ნაცმოძრაობა", რაც იქნება „მოქკავშირისა" და „აღორძინების" სასამართლო, რათა მომავალში ვეღარავინ გაბედოს ხალხის მსახურად ქცევა და ხალხის თავზე ჯდომა. რომელ პოლიტიკურ დევნაზეა ლაპარაკი! — გირგვლიანის საქმე ცნობილია; რობაქიძის საქმე ცნობილია; ვაზაგაშვილის საქმე ცნობილია... რა ბიჭები არიან ჩაცხრილულები მხოლოდ იმის გამო, რომ ეჩვენებინათ ძალა. საბერძნეთში ასხლეტილი ტყვია შემთხვევით მოხვდა ბიჭს და მთელი საბერძნეთი ფეხზე დადგა — იმიტომ, რომ მათ აქვთ ღირსება!

„ნაციონალური მოძრაობა" პარტია არ არის, ეს არის გარედან მართული სექტა და ამიტომ ძნელდება მასთან ბრძოლა. ნებისმიერ პარტიასთან შეიძლება საუბარი და ჯანსაღი კამათი, მაგრამ სექტასთან — მიუღებელია.

რეიგანის სიტყვებია გუბერნატორობის დროს: „დადგა აშშ-ის ცხოვრებაში დრო, როდესაც, ან კუჭი იმარჯვებს გონებაზე, ან გონება იმარჯვებს კუჭზე. თუ კუჭმა გაიმარჯვა გონებაზე, დამთავრდება ამერიკა. თუ გონებამ გაიმარჯვა კუჭზე, ამერიკა იქნება მსოფლიო მრძანებელი." გაიმარჯვა გონებამ და ხედავთ, რა სიძლიერისაც არის, იგივე პრობლემის წინაშე დგას საქართველო — ჩვენ უნდა ვთქვათ ჩვენი სიტყვა, რომ საქართველო არის გონების ქვეყანა, ნიჭის და ზნეობის ქვეყანა, რომლითაც უნდა იმართებოდეს!

**— ბატონო თემურ, პრეზიდენტის ზუგდიდის რეზიდენციაში გადასვლას შესაძლო პროვოკაციის მოწყობის ელფერი დაჰკრავსო, თქვენ როგორ თვლით, რა შეიძლება იყოს ამ მორიგი ახირების საფუძველი.**

— ჯერ ვთქვათ ის, რომ ამაზე დიდი შეურაცხყოფა რა უნდა მიაყენო რეგიონს — აქ გადმოვიტან რეზიდენციას, იმიტომ რომ თბილისში ჯდომა მეშინიაო... მოსინჯა ახლა, რეაქციას ელოდება — ეს ღირსების საქმეა.

ერთხელ ვთქვი, ადრე, ძლიერი ქუთაისის გარეშე, ძლიერი თბილისი არ არსებობს და ძლიერი თბილისისა და ძლიერი ქუთაისის გარეშე, ძლიერი საქართველო-მეთქი. ბონდო ჯიქიამ, სულით ხორცამდე სამშობლოზე შეყვარებულმა კაცმა დამირეკა და მითხრა, ძლიერი ზუგდიდისა და ძლიერი სამეგრელოს გარეშე, ძლიერი ქუთაისი არ არსებობსო — ესაა საქართველო!

შეურაცხყოფებს, რაც სააკაშვილმა საქართველოს მიაყენა, ყველას უცბად რა ჩამოთვლის, მაგრამ იმერეთსა და სამეგრელოზე ვიტყვი ერთ-ერთს, იმერეთს თავზე დაასვა მეგრული მაფია და სამეგრელოს დაასვა იმერული მაფია — ნახეთ, რა მაოხრებელი გვყავს!

თემურ შაშიაშვილი რომ არ მოგწონს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სააკაშვილი არ არის მაოხრებელი — მე არავის არ ვასწავლი ჭკუას, ღიად და გულწრფელად ვამბობ იმას, რაც არის. როდესაც ქვეყანას დასჭირდა, ტანკები არ გამოვუშვი თბილისისკენ და მე ამ პასუხისმგებლობას ვგრძნობ დღეს — თუ სააკაშვილი უნდა მოსულიყო ხელისუფლების სათავეში, მაშინ, მე ის ტანკები უნდა გამომეშვა...

ჟიული შარტავას თაობას მინდა ვუთხრა, ნუ იმალებიან ბუჩქებში!

სააკაშვილი დაიწყო „ÊÃÁ-თი", სწავლობდა „ÊÃÁ-ის" უმაღლეს სასწავლებელში, „ÊÃÁ" იყო მისი მფარველი უკრაინაში და ბორისპოლის აეროპორტში „ÊÃÁ-ის" ეფრეიტორი გახლდათ სააკაშვილი. ყოფილი „კაგებეშნიკი" არ არსებობს, ან არის, ან არ არის. სააკაშვილი თავისი თანამდებობისთვის, პუტინმა რომ უთხრას, გარანტი მე ვიქნებიო — გაერთხმება ფეხქვეშ, სამეგრელოს პრეზიდენტად დარჩება, ოღონდ სამეგრელო მოაცილოს საქართველოს — რუსეთი ამაზე ოცნებობს. რაზეც რუსეთი ოცნებობდა, ყველაფერი შეუსრულა ამან, ვხედავთ, აფხაზეთი როგორ არის და სამაჩაბლო. ძალიან კარგად ვიცით, რომ დღეს მას აქვს აჭარასთან, სამცხე-ჯავახეთთან და სამეგრელოსთან დაკავშირებული „გეგმები", ამიტომ გეუბნებით, თუ დროზე არ მოვიცილეთ ეს კაცი, ძალიან დიდი უბედურებები გადაგვეშლება წინ.

**მაია ჭელიძე**

# კოაბიტაციონისტი

კაცი იყო ყაჩაღი და
კაცი იყო ტაცია.
დღეს მოუნდა მეგობრობა
და კოაბიტაცია.

მოვარდა და მოშლიგინდა,
ყველა განზე გასწია.
დღეს მოუნდა სიყვარული
და კოაბიტაცია.

მოაოხრა ქვეყანა და
შეურაცხყო ნაცია.
დღეს მოუნდა თანადგომა
და კოაბიტაცია.

რაც დატოვა სამახსოვროდ,
ძეძვია და ქაცვია.
მონსტრია და სატანაა,
განა მართლა კაცია?!

## ირაკლი ღარიბაშვილი: თანამშრომელთა უმრავლესობა სამინისტროდან საკუთარი სურვილით წავიდა



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, შსს თანამშრომელთა უმრავლესობამ საკუთარი სურვილის და საკუთარი პატაკის საფუძველზე დატოვა.

მან ამის შესახებ დღეს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილის იმ განცხადების კომენტარებისას აღნიშნა, რომლის თანახმადაც, უწყებაში თანამშრომლების მიღება კონკურსის გარეშე ხდება.

„თანამშრომელთა უმრავლესობა სამინისტროდან საკუთარი პატაკის საფუძველზე წავიდა. არასწორია ინფორმაციაა, თითქოს ისინი ჩვენ გავათავისუფლეთ.რაც შეეხება მიღებას, მე მიღების ახალი წესი დავამტკიცე. სახელმწიფო პროგრამის განხორციელება გუშინ დავიწყეთ — ოპონენტების გაუგებარი კრიტიკის მიუხედავად. გაუგებარია, რატომ უყურებენ სკეპტიკურად ამ სიახლეს. რეფორმები დაიწყო და აუცილებლად დასრულდება. ამ რეფორმებს იმ დონეზე განვახორციელებთ, რა დონეზეც საჭიროა", — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## სოზარ სუბარი პოლიტპატიმრების საქმეებისთვის გრიფი „საიდუმლოს" მოხსნის მოთხოვნას ეთანხმება



საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი სოზარ სუბარი ეთანხმება პოლიტპატიმრების მოთხოვნას, რომ მათ საქმეებს გრიფი „საიდუმლო" მოეხსნას.

მან ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

სუბარის თქმით, ეს ადამიანები პარლამენტმა პოლიტპატიმრებმად აღიარა ეს იგი ისინი უკანონოდ იყვნენ დაპატიმრებულნი .მათ რეაბილიტაციის უფლება აქვთ.

სოზარ სუბარი მიიჩნევს, რომ საპარლამენტო უმცირესობა უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მისი წევრები ამტკიცებდნენ, რომ საქმეებს შეიძლება გრიფი „საიდუმლო" მოეხსნას. ამის პარალელურად აცხადებდნენ, რომ ეს ადამიანები საპატიმრობიდან არ უნდა გაეშვათ.

„მაგრამ მათ ძალიან კარგად იციან, რომ ამ ადამიანებს დანაშაული არ აქვთ ჩადენილი და საქმეები შეთითხნილია. უმცირესობას კი ამის გამოაშკარავება არ უნდა", — აღნიშნა სოზარ სუბარმა.

# qarTvelma erma biZina ivaniSvils es tvirTi unda Camoxsnas da saakaSvili aiZulos, rom wavides!

***ლუკა კურტანიძეს** პატიმრების პირველი ფართომასშტაბიანი ამნისტიის დღეს შევხვდით. იგი ჩვენთან შესახვედრად პირდაპირ რუსთავის კოლონიიდან გამოემართა, საიდანაც 11 პოლიტ. პატიმარი გათავისუფლდა. ისევე, როგორც ნებისმიერმა ჭეშმარიტმა ქართველმა, ვერც მან დამალა აღშფოთება ქვეყნის პრეზიდენტის ამ საკითხისადმი უჩვეულო დამოკიდებულების გამო. საუბარი ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტთან სწორედ ამ თემით დავიწყეთ:*

— დღეს პოლიტ. პატიმრების გათავისუფლებას ვესწრებოდი. რუსთავის კოლონიაში დავხვდი პატიმრებს და ეს ძალიან ამაღელვებელი



იყო, იქედან გამოსულს ემოციებისგან ყველაფერი ამემღვრა. ყველა ბედნიერი იყო პრეზიდენტის გარდა. ნაძირალა სააკაშვილმა ხალხს ქვეყნის მოღალატეები უწოდა, ეს ხომ დანაშაულია. ამ ე.წ.-ს ხომ მაინც პრეზიდენტი ჰქვია, მაგრამ ისე ეზიზღება ქართველი ერი, რომ მათ მოღალატეობაში ადანაშაულებს.

**ლუკა კურტანიძეს უდანაშაულობის პრეზუმციაზე როგორ უნდა ელაპარაკო, როცა ქვეყნის პრეზიდენტი გქვია და ამნისტირებულ ადამიანებს, რომლებიც უდანაშაულოდ ისხდნენ ციხეში, ქვეყნის მოღალატეებს უწოდებ. ერთ-ერთმა პოლიტ. პატიმარმა თქვა, არა მარტო საპატიმროებში, არამედ მთელს ქვეყანას სამართლიანობის სიომ დაჰბერაო.**

სააკაშვილი საქართველოს პრობლემაა და ამას დროზე სჭირდება მოგვარება. მას არ მივცემთ ამ სიბინძურეების ფრქვევის უფლებას. სადაც არ უნდა ვიყო, სიცოცხლის ბოლომდე, ქვეყნისთვის ვიბრძოლებ და სამართლიანად, ვალმოხდილი წავალ ამ ქვეყნიდან. ერთხელ სოსო ჯაჭვლიანს ვუთხარი — ჩვენ ქვეყნისთვის და ერისთვის შეწირულები ვართ და ეს ღირსეულად ვატაროთ-მეთქი. ამ სიტყვას სიცოცხლის ფასად შევასრულებთ.

**— ბატონო ლუკა, სააკაშვილს 5 იანვარს პრეზიდენტობის ვადა ამოეწურა, თუმცა არსად წასვლას არ აპირებს. როგორ ფიქრობთ, რაც მან ქვეყანას ბოროტება გაუკეთა ქართველმა ხალხმა კიდევ 10 თვე უნდა დაელოდოს მისგან მორიგ სიურპრიზებს?**

— კითხვაზე — უნდა წარმოადგენდეს თუ არა სახელმწიფოს ე.წ. პრეზიდენტი სააკაშვილი, პასუხი ცალსახაა — მან საკუთარი უფლებამოსილებანი მაშინ ამოწურა, როცა 7 ნოემბერი, 26 მაისი და სხვა ათასი უბედურება დაატრიალა, რამაც საზოგადოებაში დიდი აგრესია გამოიწვია. დღემდე პროკურატურაში მის მიერვე გამწარებული ხალხის რიგები არ წყდება. როცა ათასობით ადამიანი უსამართლოდ ციხეში ჩაყარა, ქუჩებში დახვრიტა, სწორედ მაშინ ამოწურა მან საკუთარი უფლებამოსილებანი. იგი პირადად ჩემთვის და ხალხის დიდი ნაწილისთვის დიდი ხანია პრეზიდენტი აღარაა. საზოგადოებამ მას, როგორც პრეზიდენტს უარი უთხრა. პირადად ჩემთვის და ჩემი თანამებრძოლებისთვის იგი ე.წ. პრეზიდენტი, ვინმე სააკაშვილია. ეს ის ადამიანია, რომელიც ყველა ასპექტში ქვეყნისთვის ხელშემშლელი ფაქტორია. საერთაშორისო არენაზე საკუთარ შეცდომებს იმით ამართლებს, თითქოს იგი და მისი გუნდი დღეს რეპრესირებულია. ჩვენს გუნდს მუშაობა უწევს, რათა საერთაშორისო ორგანიზაციებს რეალობა მივაწვდინოთ — სამართლებრივ ჩარჩოებში იმ უკანონობის გამოსწორება გვიწევს, რაც ამ წლების მანძილზე საქართველოში ხდებოდა. ამ პროცესებში ყველაზე ნაკლები როლი ბიძინა ივანიშვილმა უნდა შეასრულოს.

**— რას გულისხმობთ, ივანიშვილმა სააკაშვილის ნამოქმედარზე თვალი უნდა დახუჭოს?**

— არა, გეტყვით რას ვგულისხმობ.

**მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა ივანიშვილის თითოეულ ნაბიჯს აკვირდება, მის თითოეულ მოძრაობას მსოფლიო გამადიდებელი შუშით უყურებს, ამიტომ საზოგადოებამ მას ეს ტვირთი უნდა ჩამოხსნათ. ამიტომ თავად ერმა უნდა აიძულოს სააკაშვილი წავიდეს.**

მინდა გითხრათ, რომ ერმა უკვე ხმა ამოიღო და არ აპირებს სააკაშვილს ის უბედურებები შეარჩინოს, რაც მან ქვეყანას დამართა. ამხელა დანაშაულის დაუსჯელად დატოვების დაშვება არაფრით არ შეიძლება. ეს კიდევ უფრო დიდ შეცდომებს და მათი მხრიდან დიდ აგრესიას გამოიწვევს. როდესაც ჩვენ მზად ვართ, თანაარსებობისთვის მათ ხელი გავუწოდოთ, საპირისპირო მხრიდან აგრესია, შეურაცხყოფა გვხვდება. პირიქით გრძელდება, ჩვენს მიმართ ფსიქოლოგიური ზეწოლები, რეპრესიები, რაც მათ კარგ შედეგებამდე არ მიიყვანს. თანაარსებობა ორმხრივი უნდა იყოს. ამიტომ ამ თანაარსებობისთვის საჭიროა სააკაშვილის და მისნაირი ელემენტების საზოგადოებიდან მოკვეთა, მათთვის თავისუფლების შეზღუდვა, რაც აუცილებლად უნდა განხორციელდეს.

**— რაც შეეხება თანაარსებობას, ეს სიტყვა ჩვენთან კოაბიტაციის სახით შემოვიდა და არც მეტი არც ნაკლები სააკაშვილის რეჟიმთან თანაარსებობას ნიშნავს. ეს როგორ წარმოგიდგენიათ?**

— პირველ რიგში, გამოკვეთილად გეტყვით, თავად საზოგადოებამ, რომლის ერთ-ერთი წევრი მეც ვარ, მთელმა საქართველომ სააკაშვილის რეჟიმი კანონგარეშედ უნდა გამოვაცხადოთ იმ განწყობების გათვალისწინებით, რაც მან და მისმა მთავრობამ თავისი მოქმედებებით გამოიწვია. ის ჩვენთვის არ არსებობს, არარაობაა, რომელმაც ამოწურა თავისი თავი და ქვეყნის განვითარებისთვის ხელშემშლელ ფაქტორად იქცა. იმ თანაარსებობას, რისთვისაც ჩვენ მზად ვართ, სააკაშვილი ერისადმი თავისი შეურაცხმყოფელი განცხადებებით, ხელს უშლის. ამ შეურაცხყოფას ჩვენ — ქართველი ხალხი ნამდვილად ვერ ავიტანთ. უბრალოდ ბატონი ბიძინას დიდსულოვნება, წინდახედულობა, მოთმინების უნარი ძალას გვაძლევს თანაარსებობა შევძლოთ. მაგრამ თანაარსებობა ხომ არ არის მხოლოდ ვიგინდარა სააკაშვილთან, ეს ნიშნავს თანაარსებობას ვიგინდარა უგულავასთან და სხვებთან, რომლებიც იბრძვიან იმისთვის, რომ სადავეები კვლავ მათ ხელში გადავიდეს. ვერ ხვდებიან, რომ ხალხში ეს აგრესიას იწვევს, საზოგადოება მათგან არაერთი ჩადენილი სიბინძურის გამო სინანულს ითხოვს, თხოვნით. ეს ხალხი სააკაშვილს, როგორც პოლიტიკურ ნაგავს ისე მოიაზრებს. ასე, რომ სააკაშვილს არსად არ მიესვლება.

**— თუმცა თუ ამ ხელმოწერებს არ ჩავთვლით. მიუხედავად ამისა იგი არსად მიდის და არც არავინ ეუბნება წადიო. თანაც, როგორც ჩანს, სადღაც მაინც მიესვლება, კერძოდ სამეგრელოში. როგორ ფიქრობთ, ხომ არ გეგმავს იგი სამეგრელოში გადასვლით სამოქალაქო ომის დაწყების პროვოცირებას?**

**— მის დამქაშებს ვაფრთხილებ კარგად დაფიქრდნენ. სააკაშვილი მეგრელ ხალხს არ იცნობს. მეგრელები ძალიან პატივმოყვარე, დარბაისელი, ბრძენი ხალხია. ადრე მას სამეგრელოს მოსახლეობასთან ახლო შეხება არ ჰქონია. თუ იქ გადაბრძანდება, მეგრელი ხალხი თითოეულ მის დანაშაულს შეისწავლის და მას საკადრის პასუხს გასცემს. ასე, რომ მას არც თბილისში დაედგომება, არც ბათუმში, არც სამეგრელოში და არც არსად. როცა პრეზიდენტი გქვია და საკუთარ ქვეყანაში არ დაგედგომება, უნდა წახვიდე.**

სხვათა შორის, ასეთი ადამიანი, რომელიც უკვე კუთხეშია მიმწყვდეული, ძალიან საშიშია. ამასაც ვითოკვისკენ მოვუწოდოთ. კი ეს ძალიან რთულია და მითუმეტეს, პირადად ლუკა კურტანიძისთვის, მაგრამ ჩვენი მეგობარი ქვეყნები უნდა დავარწმუნოთ, რომ კონკრეტული დანაშაულობების ჩამდენი ადამიანები საზოგადოებას უნდა მოვაშოროთ. პირდაპირი გაგებით ვამბობ, მათ ყველა სახის მკურნალობა სჭირდებათ, რათა შეძლონ და ოდესმე მაინც საზოგადოებას ნორმალურები დაუბრუნდნენ. სააკაშვილი იქნება ეს, უგულავა, ბოკერია თუ სხვა, რომლებიც უამრავ სიბინძურეს სჩადიან, ხალხს დროზე უნდა მოვაშოროთ და ამას ხელი საზოგადოებამ უნდა შეუწყოს. მისი აქტივობა ხელს შეუწყობს ამ ადამიანების განეიტრალებას.

**— მაგრამ ხომ არ ვცდებით იმაში, რომ სააკაშვილს ლეგიტიმაციას ვაძლევთ და სულაც არ ვცდილობთ მის ჩამოშორებას. ეს საფრთხეებს არ შეიცავს? რამდენად ლოგიკურია თუნდაც 26 მაისის შემქმნელს ეს „შეცდომა“ ვაპატიოთ და მასთან თანაარსებობაზე ვიფიქროთ?**

— ღიად ვამბობ, სააკაშვილმა და სხვა დამნაშავეებმაც თავიანთ დანაშაულზე პასუხი უნდა აგონ, რათა შემდეგ ამ დანაშაულის ტყვეები არ გახდნენ. ეს ავადმყოფი სააკაშვილი ახლა გადარბენებზეა, თბილისში აღარ დაედგომება და ახალ კუთხეს ეძებს, რათა იქედან მთელ საქართველოს თავისი ღვარძლიანი მტრობა მოსდოს. ესაა ავადმყოფი ადამიანი, რომელიც



რაც მათ პატრიარქმაც მოუწოდა. ვფიქრობ, დაბალ ეშელონებში პატრიარქის ეს მოწოდება ბევრმა შეისმინა და იმ რეჟიმს ძალა გამოაცალა. ზედაპირზე დარჩნენ ისინი, ვინც ბოროტების სათავეებთან იდგნენ. შეუვალი ვარ იმაში, რომ სააკაშვილმა თავისი ვადა მარტო ჩადენილი დანაშაულობების გამო კი არა, არამედ უკვე ფურცელზეც ამოწურა. მინდა „საერთო გაზეთს“ ექსკლუზიურად გითხრათ, რომ ხელთ მაქვს ლაგოდეხის რაიონიდან 12 568 ხელმოწერა, სააკაშვილის გადადგომის მოაზრებთ. მის ყოველ აგრესიულ ნაბიჯს, აუცილებლად მომზადებული დავხვდებით, არ დავუშვებთ დესტაბილიზაციას, რისი სურვილიც სააკაშვილს აქვს. რაც შეეხება იმას, რომ „ქართული ოცნების“ კოალიციაში შემავალი პარტიები, მას წასვლისკენ არ მიუთითებენ, ეს ბატონი ბიძინას დიდსულოვნების შედეგია. შეიძლება შინაგანად ადამიანს ვერ ეგუებოდე, მაგრამ ჩვენ პატარა ერი ვართ და უნდა გავითვალისწინოთ მეგობარი ქვეყნების მოწოდება და ძველი ხელისუფლების აგრესიას რადიკალურად არ ვუპასუხოთ. რა თქმა უნდა, მათთვის ვინც რეპრესიები საკუთარ თავზე გადაიტანა, ძნელია რადიკალურნი არ იყვნენ, მაგრამ მათ დიდსულოვნება უნდა გამოიჩინონ, რათა მომავალ თაობას ეს რადიკალურობა არ გადაჰყვეს. ჩვენ ამ რადიკალურობის გამო, 20 წელია ვერ დავმშვიდდით. მართალია სასტიკი რეჟიმი გამოვიარეთ, მაგრამ საკუთარ თავში ძალა უნდა ვიპოვოთ და მომავალ თაობასაც რადიკალიზმის მოშეცდომას შეცდომაზე უშვებს, მაგრამ ამას ჯანმრთელი, დიდსულოვანი ადამიანი — ბიძინა ივანიშვილი უპირისპირდება. სწორედ ეს გვაძლევს ძალას, რწმენას, მოთმინებას, რაც გამარჯვებაში დაგვეხმარება. მისი გონივრული ბრძოლა ამ რეჟიმის მოცილებაში ძალიან დაგვეხმარა. ის ელემენტები, რაც სააკაშვილის, უგულავას სახითაა დარჩენილი, იმ პოლიტიკური ნაგავის ნარჩენებია, რაც ამ რეჟიმისგან დარჩა. მათ საშუალება არ უნდა მივცეთ საკუთარ თავს რეპრესირებულები უწოდონ. საზოგადოებამ ამ დამნაშავე რეჟიმის ხელმძღვანელს უკვე უარი უთხრა. საქართველოში სააკაშვილის დრო დასრულდა, ამას წერტილი უნდა დაესვას. დღეს უამრავი ძახილის ნიშანია, რომელიც სააკაშვილის არსებობის, როგორც პოლიტიკური ფიგურის, დასასრულზე მიგვანიშნებს. ეს ერთგვარი გაფრთხილებაცაა და თან ამით

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# luka kurtaniZe gigi ugulavas teledebatebSi iwves

**მინდა მსოფლიოს ვუთხრა, რომ საქართველოში მცხოვრებნი ვერ ავიტანთ ამ ადამიანის ბოგინს. ისედაც მძიმე სოციალური პირობების ფონზე, გაჭირვებულ ქართველ ხალხს ამ ნაძირალას შენახვა 100 ათასობით დოლარი არ უნდა გვიჯდებოდეს. არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ სხვანაირად არ გამოდის. ლუკა კურტანიძე ამას ვერ შეეგუება. ის რომ მეც და სააკაშვილიც ერთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ეს ჩემი მხრიდან დიდსულოვნებაა. ის, რომ მის აქ ყოფნას ვიტანთ, ეს უკვე თანაარსებობას ნიშნავს. მეტი თანაარსებობა ამ ნაძირალასთან არ შემიძლია იმიტომ, რომ მან ყველა სფერო გააბინძურა, ყველგან უიმედობა, ერთმანეთის არგატანა, შუღლი, ბოღმა დათესა.**

ეს ავადმყოფი ადამიანია, რომელსაც მკურნალობა სჭირდება. ვიმეორებ, მასთან თანაარსებობა მხოლოდ იმით შემიძლია, რომ ერთ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ამაზე მეტს თავმოყვარე ადამიანი, ერი უბრალოდ ვერ აიტანს. მსოფლიოს, ვინც ამ დიდსულოვნებისკენ მოგვიწოდა, ვთხოვ, გვითანაგრძნონ და შექმნილ ვითარებას გაგებით მოეკიდონ. მათ მხარდაჭერას ვაფასებთ, მაგრამ ჩვენც უნდა გაგვიგონ. იცით რაშია საქმე? — ღირსება რომ არ შეგელახოს, ქვეყანას ღირსეული ხელმძღვანელი უნდა ჰყავდეს, ჩვენ კი სააკაშვილის ხელში მსოფლიოს თვალში სასაცილოდ ვიყავით აგდებული. როდესაც ქვეყნის პრეზიდენტის სიტყვა ფასს კარგავს, ქვეყანასაც იგივე ემართება. იმედი მაქვს, ისინი პოლიტიკური არენიდან მალე გაქრებიან. მალე ისინი საერთოდ უგულვებელყოფილნი იქნებიან საქართველოდან, ჩვენს მოთმინებასაც ზღვარი აქვს.

**— ჭიდაობის ფედერაციაში შექმნილ ვითარებაზეც მინდა გკითხოთ. თქვენ მწვრთნელები გაათავისუფლეთ, რითაც მათი უკმაყოფილება გამოიწვიეთ. ერთმა მწვრთნელმა თქვენს მოქმედებას მედლებისადმი რევანშიც უწოდა. რა ხდება რეალურად, რა იყო მათი გათავისუფლების მოტივი?**

— პირველ რიგში, მინდა ვთქვა, მე ქართველი საზოგადოებისგან დაკვეთა მაქვს, რომ ის სიბინძურე, რაც ძალოვანი სპორტის სახეობებში, კერძოდ ჭიდაობაში ტრიალებდა, აღმოვფხვრა. ეს ლუკა კურტანიძის მოფიქრებული არაა, სიბინძურე რეალურად იყო, რასაც ნებსით თუ უნებლიედ ბევრი თანამონაწილე ჰყავდა. საკუთარ წარსულში ყველამ კარგად ჩაიხედოს, გაიხსენონ როგორ მოქმედებდნენ ამ ხნის მანძილზე. მინდა გითხრათ, რომ მათი „ღვაწლი“ ამ რეჟიმმა კარგად დააფასა. დღეს კი ჩემი მიმართულებით ტალახის სროლა, გაუმართლებლად მიმაჩნია. ქვა, რომელსაც აქეთ ისვრიან, პირველ რიგში, თავად უნდა ჩაირტყან თავში იმიტომ, რომ ქვეყანაში დატრიალებული უბედურებების მონაწილე, შემსრულებლები იყვნენ. სჯობს, მათ საკუთარ სინდისში ჩაიხედონ, მაგრამ როცა ეს არ გააჩნიათ, როგორ ჩაიხედავენ?! უფრო სიღრმეებში არ ჩავალ იმიტომ, რომ ბატონმა ბიძინამ თქვა, იქნებ როგორმე დაბალ ეშელონებში მყოფი ხალხის რეაბილიტირება მაინც შევძლოთ და მათ ამნისტია გამოვუცხადოთო. რაც შეეხება მათი დათხოვნის კონკრეტულ მოტივს: 21-ე წელია, რაც ისინი სამივე ასაკში, ნაკრების მთავარი მწვრთნელები არიან. 21 წელია ჭიდაობის ფედერაციას ნოვაცია, სიახლე არ შეხებია. შედეგებს იქედან გამომდინარე ვიღებდით, რომ ჭიდილის მოწოდება გენში გვაქვს, თორემ ხარისხობრივად და რაოდენობრივად გამარჯვებების გაზრდა გაჩერებული იყო, პირიქით დეგრადაცია, მომავალი თაობის დაქაქსულობა მიმდინარეობდა. შეიძლება წყალი გქონდეს, მაგრამ თუ სწორი მიმართულებით არ მიმართავ, ზიანის მეტს არაფერს მოიტანს. ამიტომ ცვლილებები აუცილებელი იყო, სახელმწიფო რესურსს სწორად მიმართვა სჭირდება, რაც აქამდე არ ხდებოდა. თუ ამ ცვლილებების შედეგად უკეთეს შედეგს მივიღებთ, ვფიქრობ, ჩემი გადაწყვეტილება გამართლებული იქნება. ჯერ ერთი, ამ ადამიანებს, თავისი ცხოვრებიდან გამომდინარე უფლება არ აქვთ რაიმეზე პრეტენზია ჰქონდეთ — როცა ბინძურ ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებ, უკვე თანამონაწილე ხდები. ამით იმის თქმა როდი მინდა, თითქოს ისინი ამ შეცდომების გამო გავუშვი. არა, ასე არაა. უფლებამოსილება სხვებს იმიტომ ჩავაბარე, რომ ამ დარგის განვითარებისთვის აუცილებელია ნოვაცია. მწვრთნელებად ოლიმპიური, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონები დავაყენე, ეს ყველა მხრიდან — პარლამენტიდან, სამინისტროდან, საზოგადოებიდან, ოლიმპიური კომიტეტიდან და ჩვენი საბჭოდან, მოწონებულია. მე თაობები გავაერთიანე, რომელთა შორის ხიდჩატეხილობა იყო. ლევან თედიაშვილი, რომელიც უგულვებელყოფილი იყო, საპატიო პრეზიდენტად ავირჩიე. ასევე რომან რურუა, სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელად დავნიშნე. ჩემპიონთა კლუბის თავმჯდომარეა გურამ საღარაძე და მასთან ერთადაა მიხეილ სალაძე. ადამიანების კოჰორტა, რომელთაც ქართული სპორტის ისტორია შექმნეს, გავაერთიანე. თუ ვინმეს კითხვები აქვს,

**თქვენი გაზეთის მეშვეობით ყველას ვუპასუხებ. მინდა თქვენს რედაქციას ძალიან დიდი მადლობა ვუთხრა. ამდენი წლის განმავლობაში, როცა რეპრესიები, რეჟიმი სუფევდა, საზოგადოებამდე ჩვენი სატკივარი სწორედ თქვენი მეშვეობით მიგვქონდა.**

დღესაც ჩემს მიმართ გაჩენილ შეკითხვებს თქვენი მეშვეობით პასუხს ვცემ. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ლუკა კურტანიძე მხოლოდდამხოლოდ ქართველი ერის დაკვეთით მოქმედებს, ვემსახურები საქართველოს, ქართველ ერს. შსს-ს პოლიციის აკადემიაში პოლიციელების გადამზადებაში ზუსტად იმ რაკურსით ვიღებ მონაწილეობას, რასაც მათი სპორტული ფუნქციონალური მდგომარეობის გაუმჯობესება ჰქვია. საზოგადოებამ ისეთი პოლიციელი უნდა მიიღოს, რომელიც ჭეშმარიტად დაიცავს თითოეულ მოქალაქეს. ბატონი ბიძინა მეუბნება — ლუკა, შენ სადაც იქნები, იქ ადამიანებს ადამიანურობას აგრძნობინებო. ბევრი პოლიციელი, ვინც მანამდე მუშაობდა, ალბათ 26 მაისის მონაწილე თუ არა, შემყურე მაინც არის. მზად ვარ მათ ის ადამიანური ურთიერთობა ვაგრძნობინო, რაც დაგვაახლოვებს. თქვენ კარგად უწყით, რა პიროვნული ტრაგედიებიც გადავიტანე, მაგრამ მზად ვარ ეს წყენა, უდიდესი ტკივილი გვერდზე გადავდო. ის პოლიციელი, რომელიც ჩემთან გადამზადებას გაივლის, პოლიციის აკადემიიდან სხვანაირი გავა. ჩვენი მოვალეობაა საზოგადოებას ისეთი პოლიციელი დავუბრუნოთ, რომელიც მის ნდობას დაიმსახურებს. ჩვენი პრიორიტეტია პოლიციამ საზოგადოების ნდობა დაიბრუნოს.




**— რადგან პოლიციის აკადემია ახსენეთ, ტელევიზიით უგულავას გაკეთებულ განცხადებაზეც გკითხავთ, მან ახსნა-განმარტება მოითხოვა, რა ნიშნით დანიშნეს კურტანიძე პოლიციის აკადემიის რექტორადო?**

— პირველ რიგში, ბატონ გიგის მოვუწოდებ რექტორი და პრორექტორი ერთმანეთისგან გაარჩიოს, აკადემიის რექტორი ბატონი ნუკრი გელაშვილი გახლავთ, რომელიც გუნდური პრინციპით მოქმედებს. ჩვენ ერთი მეგობრული ოჯახი ვართ. უგულავას მოვუწოდებ ჯერ გაიგოს რა კუთხით, რა კრიტერიუმებით ვარ დანიშნული და სანამ რამეს იტყვის კარგად გაიცნოს ჩემი ცხოვრება, რა გზა გამოვიარე და შემდეგ დასვას კითხვები. მინდა შეფასებებში მაქსიმალურად კორექტული ვიყო. მოჭიდავეებს ასეთი წესი გვაქვს — როდესაც მოწინააღმდეგეს წავაქცევთ, შემდეგ მას ხელს ვუწვდით და ფეხზე ვაყენებთ, მაქსიმალურად ვუმსუბუქებთ მარცხის ტკივილს. ასე, რომ გიგი უგულავამ ჯერ თვითონ გვითხრას დღემდე როგორ მოვიდა. მე საიდანაც დავიწყე ჩემი ქვეყნისთვის ბრძოლა, ეს მთელმა ერმა იცის. კაცი სვისტოკით რომ დაიწყებს ბრძოლას, ის ხომ კმარელი იყო, ამის შემდეგ რაზე უნდა მელაპარაკოს. ორმეტრიანი კაცი სვისტოკს აჭყვიტინებდა. ასე, რომ ჯერ თავის განვლილ ცხოვრებას გადახედოს. სანამ კითხვას დასვამ, მოწინააღმდეგის ცხოვრება კარგად უნდა შეისწავლო და გაერკვე გაქვს თუ არა ასეთი კითხვის დასმის უფლება. მას, ამის უფლება, არ აქვს. თქვენი გაზეთის მეშვეობით ვამბობ — უგულავას დებატებზე ვიწვევ, თუ უნდა „რუსთავი2“-ის ან ნებისმიერი ტელევიზიის ეთერში დავსხდეთ და საზოგადოებას ყველა კითხვაზე პასუხი გავცეთ, დამისვას კითხვები და იცოდეს, რომ მასთან მეც ბევრი კითხვა მაქვს — თუნდაც, როგორ აპირებს იგი საზოგადოებასთან თანაარსებობას იმ აგრესიით და რიტორიკით, რითიც მოღვაწეობას აგრძელებს. ასე, ის მშვიდად ცხოვრებას ვერ გააგრძელებს, ამას დიდი მოთმინებით ვეუბნები. მას მოუწევს ჩემს კითხვებზე პასუხის გაცემაც. კატა-თაგვობანა რომ არ ვითამაშოთ, კეთილი ინებოს და პირდაპირ ეთერში დამიჯდეს, ნებისმიერ თემაზე სასაუბროდ მზად ვარ. ყველას დავანახებ ვინ არის იგი — სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი გაბინძურებული ნარჩენი. ასეთი ხალხისგან ლუკა კურტანიძე წიხლს ვერ მიიღებს.

**აქვე, ერთსაც გეტყვით, ივანიშვილის ყოველ სიტყვას სიცოცხლის ფასად დავიცავ. ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს ასეთი ჯანმრთელი, ძლიერი დიდსულოვანი ლიდერი ჰყავს. ყოველგვარი მლიქვნელობის გარეშე გეუბნებით, ეს ადამიანი ძალიან მიყვარს. ამ ადამიანს სიცოცხლის ფასად დავიცავ.**

ივანიშვილმა დღეს სხვა რეალობა მოგვცა, მის ირგვლივ მთლიანად საქართველოა. როცა საზოგადოებასთან თქვენი გაზეთის მეშვეობით ვსაუბრობ, გულწრფელი ვარ და მთელი გულით, სულით ვიხარჯები, რასაც თქვენც გრძნობთ და გრძნობს საზოგადოებაც.

**თამარ შველიძე**

# თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ!

უდიდესი სიხარულით ვასრულებ „საქართველოს ხალხთა ასამბლეის“ დამფუძნებელთა დავალებას და მომავლის იმედით გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს, ახალ წელს, აღსაყდრების 35 და დაბადების 80 წლისთავს.

ჩვენ — ასამბლეა, ათასობით ადამიანი ვართ: ქართველები, აფხაზები, ოსები, ბერძნები, რუსები, უკრაინელები, იეზიდები, ქურთები, სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, რომლებმაც ნებით, თუ იძულებით დავტოვეთ საქართველო,მაგრამ ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ საქართველოთი, საქართველოსა და ქართველი ხალხის სიყვარულით.

თქვენს მიერ ხალხისადმი ყველა გზავნილი ეპისტოლეების სახით, სულიერ საზრდოს წარმოადგენს მრავალი წლის განმავლობაში ყველა ჩვენთაგანისთვის. ჩვენთვის თქვენ განსაკუთრებული იმედი ხართ. ვინ ვინ და ჩვენ მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხე — კუნჭულში აღმოჩენილებმა დავინახეთ თქვენი ავტორიტეტი, უდიდესი განწყობა,რომელიც თქვენს მიმართ მთელს მსოფლიოშია.ჩვენ ეს განსაკუთრებულად გვეამაყება, რადგან „საქართველოს ხალხთა ასამბლეა“ თქვენი ლოცვა- ქურთხევით შეიქმნა და თქვენი დიდი მხარდაჭერით განაგრძობს საქმიანობას.



ჩვენ განსაკუთრებით ველოდებით თქვენს ვიზიტს მოსკოვში, სადაც თქვენ დიდი საერთაშორისო პრემია გადმოგეცემათ.ჩვენ ვემზადებით თქვენთან შესახვედრად, რადგან გვინდა წარმოგიდგინოთ ჩვენი სამომავლო გეგმები, რომელთაც, ჩვენი აზრით, დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია საქართველოსათვის. ჩვენ ამ გეგმების განხილვას და დამტკიცებას ვაპირებთ საქართველოს ხალხთა ასამბლეის მეორე ყრილობაზე, რომელიც გვინდა ჩავატაროთ თბილისში მიმდინარე წლის მაისში.

ღმერთი განსაცდელს უწყობს ჩვენს ქვეყანას და ხალხს, მაგრამ განსაცდელი ბოროტება კი არა სიკეთეა, თუ ჩვენ ვხედავთ და ვაანალიზებთ ყოველივე ამის მიზეზს. ფაქტია ისიც, ღმერთმა ყველაზე მძიმე ჟამს, განსაცდელის ჟამს თქვენი თავი მოუვლინა საქართველოს. ჩვენ ვლოცულობთ თქვენთვის.

მეამაყება, რომ ამ დღეებში ქალაქ ვლადიკავკაზში უამრავ ქართველსა და ოსს შევხვდი და ბევრ მათგანთან ერთად ვილოცეთ თქვენთვის.... ეს 4 იანვარს, თქვენი დაბადების 80 წლისთავის დღეს შედგა. მეამაყება და ყველა ოსი ამაყობს იმით, რომ თქვენ თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება დაიბადეთ ვლადიკავკაზში,მოინათლეთ ვლადიკავკაზის ქართულ ეკლესიაში, რომ თქვენს სახელთან არის დაკავშირებული ვლადიკავკაზის ცენტრში მდებარე ქართული სკოლა, რომელსაც როგორც სანთოების სახლს ისე უვლიან ვლადიკავკაზელები.

კიდევ ერთხელ გიდასტურებთ დიდ პატივისცემას „საქართველოს ხალხთა ასამბლეის“ სახელით და მადლობას გწირავთ თქვენი სათნეობისათვის, რამაც გადაარჩინა საქართველო, გადაგვარჩინა ჩვენ, გადაარჩინა ჩემი ოჯახი და გადაარჩინა ჩვენში საქართველო. ეჭვი არ გვეპარება, მომავალი ამას დაადასტურებს, რომ თქვენ გადაარჩინეთ საქართველო!

დღეგრძელი იყავით მომავლის საქართველოსათვის!

მონა ღვთისა, „საქართველოს ხალხთა ასამბლეის“ პრეზიდენტი
**გოჩა ძასოხოვი**
2013 წლის 7 იანვარი
(ქრისტეშობა)

# saakaSvilis reJimi Tu tirania iyo, maSin mTel msoflios unda vauwyoT, rom tiraniasTan TanamSromlobas gvTxoven

***საქართველოში დღეს არსებულ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით „საერთო გაზეთს“ სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე ესაუბრა.***

- უპირველეს ყოვლისა, „საერთო გაზეთის“ მკითხველებს შობა-ახალი წელი მინდა მივულოცო. თქვენი გაზეთი ჩემთვის განსაკუთრებულია, რადგან არსობრივად ეძიებს პრობლემატიკას. დღეს პოლიტიკურ სპექტრში, მედიაში, აკადემიურ წრეებში არ მიდის დისკუსია იმასთან დაკავშირებით, როგორი ქვეყანა გვინდა ავაშენოთ, რა განსხვავებაა იმ ქვეყანას, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ და იმ დეკლარაციებს შორის, რომლითაც თითქოს ჩვენი ხელისუფლებები ამ ქვეყანას აშენებენ, რა არსობრივი განსხვავებაა დღევანდელ დღესა და თუნდაც საბჭოთა პერიოდს შორის. რახან ეს დისკუსია არ მიდის, საზოგადოებას უჭირს გაერკვეს ასეთ ემოციურ, სოციალური პრობლემებით დატვირთულ ფონზე, სად არის ძაღლის თავი დამარხული. პრობლემა ისაა, რომ ჩვენ ვერ მოვახერხეთ შეჯერება ძირითად პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით, ვერ შევაფასეთ რა იყო ბოლშევიზმი, რა ნაწილი იყო საბჭოთა სისტემაში ისეთი, რომელიც რეფორმირებას უნდა დაქვემდებარებოდა და რა ნაწილი იყო ისეთი, რომელიც რეფორმირებას არ ემორჩილებოდა და უნდა ჩამოგვეცილებინა.

სამწუხაროდ არც იმაზე მიდის დისკუსია, რას ნიშნავს თავისუფლება და მას რა დონის პასუხისმგებლობა მოყვება. ბევრ ადამიანს იმიტომ უჩნდება ნოსტალგია კომუნისტების პერიოდისადმი, რომ მაშინ სრულიად თავისუფალი იყო პასუხისმგებლობისგან, არანაირი სახელმწიფოებრივი დატვირთვა არ ჰქონდა, მისი ამოცანა მხოლოდ ყოფითი პრობლემების მოგვარება იყო და მიაჩნდა, რომ ამისთვის აუცილებელი იყო საბჭოთა პასპორტი და რა თქმა უნდა კომპარტიის მანდატი. ღმერთი არა თუ არ გვწამდა, არამედ ვაღიარებდით, რომ ის საერთოდ არ არსებობს, რომ არათუ არ გვინდა საქართველოს დამოუკიდებლობა, არამედ ის ბედნიერია დაპყრობილ მდგომარეობაში. იმასაც ვაღიარებდით, რომ კომპარტიის წევრი თუ იყავი, დეგენერატიც რომ ყოფილიყავი, ხელისუფლებაში მოსვლის შესაძლებლობა გქონდა. ერთი სიტყვით, ატროფირებული გვქონდა ეროვნული, რელიგიური და პიროვნული ღირსებების მომენტები, სანაცვლოდ გარანტირებული გვქონდა, რომ ჩვენი შვილები უპრობლემოდ ივლიდნენ სკოლაში, მეტნაკლებად დაცული ვიყავით ავტომატიანი კრიმინალებისგან და ა.შ. ამიტომ,

**როდესაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ფსიქოლოგიურად მზად არ აღმოვჩნდით იმ პასუხისმგებლობისთვის, რომ ეს უკვე ჩვენი ქვეყანაა, ჩვენ საიდანღაც მოსული პარტიული დადგენილებები კი არ უნდა აღვასრულოთ, არამედ ჩვენ თვითონ უნდა შევქმნათ ის პროგრამები, რომლითაც ჩვენი ქვეყანა უკეთესი გახდება.**

ჩვენ ფსიქოლოგიური მდგრადობა, პასუხისმგებლობა, პოლიტიკური ცოდნა და ელემენტარული პოლიტიკური კულტურა არ გვეყო, რომ ასეთი სახელმწიფოს მშენებლობა დაგვეწყო. ამიტომ მოწინააღმდეგემ იოლად გვათამაშა ემოციის ფონზე, ითამაშა ჩვენს პატივმოყვარეობაზე, არაჯანსაღ ამბიციაზე და აღმოვჩნდით ასეთ მდგომარეობაში. დღეს კვლავ გადარჩენისთვის ვიბრძვით, ვერ შევთანხმდით რა კრიტერიუმებით ვზომავთ თუნდაც პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებს, მორალურ და ეთიკურ ნორმებს.

დამოუკიდებლობა მარტო ქართველი ფეხბურთელების მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას არ ნიშნავს. საქართველოს დამოუკიდებლობა იმას ნიშნავს, რომ ქართველი ერი, საქართველოს მოსახლეობაა ამ მიწის პატრონი, ჩვენ კი ეს უფლება სხვას დავუთმეთ, ადამიანების მცირე ჯგუფს, რომელიც



გვათამაშებს. ყველაფერი სწორად უნდა შევაფასოთ, როგორც შევაფასებთ, მაშინვე სწორი გზით წავალთ. ამიტომაც არ გვაძლევენ შეფასების საშუალებას და ცდილობენ ეგზალტაციის მდგომარეობაში გვამყოფონ.

**- ვინ არ გვაძლევს შეფასების საშუალებას?**

- ამ შემთხვევაში ძირითადად ის ძალა, რომელსაც ვცდილობდით გამოვქცეოდით, რუსეთის სპეცსამსახურები მაქვს მხედველობაში. მათ იმდენი გავლენა კი შერჩათ ქართულ სივრცეში, რომ ამ მდგომარეობაში გვამყოფონ, მათ ბრალს არც ვდებ, ეს ბუნებრივია, რადგან მათი სახელმწიფოებრივი ინტერესია და რუსეთის ინტერესებს იცავენ. ამაში დამნაშავეები ჩვენ ვართ. ვინ გვიშლიდა ხელს თუ არა ჩვენი თავი, რომ შეგვეფასებინა ბოლშევიზმი, შევარდნაძის მმართველობის პერიოდი. დღეს ვინ გვიშლის ხელს შევაფასოთ რა იყო სააკაშვილის რეჟიმი და მმართველობის ფორმა? ეს მმართველობა ცუდი სწორედ იმიტომ იყო, რომ სააკაშვილს პრაქტიკულად ბოლშევიკური მმართველობა ჰქონდა დამყარებული.

1 ოქტომბრის მერე გაჩნდა შანსი და შესაძლებლობა, რომ დავანგრიოთ ეს სისტემა და სწორი გზით სიარული დავიწყოთ, პასუხი მოვთხოვოთ მხოლოდ კრიმინალის ჩამდენ ადამიანს, მაგრამ დანარჩენების მიმართ შეფასება დავდოთ და ვუთხრათ, რომ ისინი არ იყვნენ მართლები და უნდა გამოსწორდნენ. უმნიშვნელოვანესია ის საკითხიც, რომ არასწორი მიტევება, დანაშაულის საფუძველი ხდება.

**- ახალმა ხელისუფლებამ იმის შიშით, აქაოდა პოლიტიკური ნიშნით დევნა არ დაგვაბრალონო უნდა დატოვოს ის ხალხი თანამდებობებზე, ვინც სააკაშვილის რეჟიმს ემსახურებოდა?**

- ბოლშევიკური სისტემის დანგრევა თუ გვინდა, უარი უნდა ვთქვათ ამ ხალხის მომსახურეობაზე. არ მავიწყდება ერთ-ერთი რაიონის საკრებულოს ნაციონალი წევრის ამაყი განცხადება, რომელიც მან 10 თუ 12 ოქტომბერს გააკეთა, ჩვენ ყოველთვის ხალხის გვერდით ვიყავით და ახლაც ხალხის გვერდით უნდა ვიყოთ, ამიტომაც „ქართულ ოცნებაში“ გადავდივარო. ეს განცხადება რა თქმა უნდა, მოიწონა კოალიციის ხალხმა. გამოდის, მხოლოდ უმრავლესობაშია ხალხი? ამ ადამიანმა ფაქტობრივად ბოლშევიკური ცნობიერება გამოხატა, რომ მისთვის მხოლოდ უმრავლესობაა ხალხი. რა მნიშვნელობა აქვს ის ნაცმოძრაობის რიგებიდან აღიქვამს სხვა აზრის მქონე ადამიანებს მტრად თუ „ქართული ოცნებიდან“? აი, ეს უნდა დავამარცხოთ, უარი უნდა ვთქვათ ამ ხალხის მომსახურეობაზე.

ჩვენ დღეს გვიხარია, პარლამენტში ნაცმოძრაობიდან რამდენიმე დეპუტატი გადმოვიდა უმრავლესობაში ან საკრებულოს წევრები რომ გადმოვიდნენ „ქართული ოცნების“ მხარეს. ამ წამიერ ცდუნებებს უნდა ვძლიოთ. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში უფრო იოლია ძველი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ ამით ინგრევა უმთავრესი პრინციპი, რომ პარლამენტში იდეური თვალსაზრისით თანხვედრილი ადამიანების ერთობა უნდა იყოს უმრავლესობით წარმოდგენილი და არა ის ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებასთან სიახლოვის გამო,



ნებისმიერ კანონპროექტს მისცემენ ხმას. ეს ერთჯერადი გაიოლება უფრო გვირთულებს მომავალში ცხოვრებას. ასე გადაბარგდა კომუნისტების უმრავლესობა გამსახურდიას მთავრობაში, გამსახურდიას ხალხი შევარდნაძესთან, შევარდნაძის მთავრობა ხომ საერთოდ სააკაშვილის მეთაურობით მოვიდა ხელისუფლებაში. ახლაც იგივე პროცესია. ტექნოლოგიურად თითქოს სწორად ვიქცევით, ამოცანად ვსახავთ ნაცმოძრაობის სრულ განადგურებას, მაგრამ არ არის ეს სწორი, ჩვენი ამოცანა საქართველოს მშენებლობა უნდა იყოს. არა უშავს, დღეს თუ არ გვყავს პარლამენტში 2/3, ხვალ და ზეგ გვეყოლება, სამაგიეროდ სამართლიანობა აღსდგება. ახალგაზრდებს აღარ მიეცემათ იმის სტიმული, რომ ნაცმოძრაობისნაირ ორგანიზაციაში შევიდნენ, აკეთონ ფული, დაარბიონ აქციები, ყველაფერი იკადრონ, მთავარია, მყარად დადგნენ ფეხზე და მერე აუცილებლად იქნება მათზე მოთხოვნილება.

**აქ მეორე მომენტია, თუ ისევ ის ხალხი უნდა იყოს პარლამენტსა და საკრებულოებში, მაშინ ის პატიოსანი ადამიანები, რომლებიც ცხრა წლის განმავლობაში არ თანამშრომლობდნენ ნაცმოძრაობასთან, საკუთარი ოჯახების დაგლახაკების მიუხედავად, არ აიღეს მათგან ფული, არ არბევდნენ სხვას, სულელებად გამოგვყავს. როგორ შეიძლება ეს ხალხი არ დავაფასოთ? იწყება საუბარი რაღაც შერიგებაზე, ჩინოვნიკების ამნისტირებაზე... იმ ადამიანებს, რომლებიც ცხრა წელი ქუჩაში იდგნენ, არბევდნენ, აწამებდნენ, რას ვეუბნებით, შენ დატკბი იმით, რომ მე კარგად ვარო?**

აუცილებელია, სახელმწიფოში სამართლიანობის პრინციპის დანერგვა. ჩვენ ნაცმოძრაობაში მყოფი ადამიანებს არაფერს ვერჩით, უბრალოდ, იმას ვამბობთ, რომ იმ ხალხს, ვინც ნაცმოძრაობის ლუკმაზე უარი თქვა, შესაბამისი დაფასება უნდა ჰქონდეთ, მატერიალური თუ არა, მორალური მაინც, სამოქალაქო სივრცეში იყვნენ წარმოჩენილი. ტელევიზიით ისევ ის ხალხი ჩანს, რომლებიც მანამდე ჩანდნენ და არა ის ადამიანები, რომლებიც სააკაშვილის ბინძურ ქმედებებში არ მონაწილეობდნენ.

**- ამ ყბადაღებულ კოაბიტაციაზე რას ფიქრობთ, რომლისკენაც ასე აქტიურად მოგვიწოდებს დასავლეთი?**

- ჩვენ ვერ ვანსხვავებთ არსობრივად ამ დეფინიციების ხმარების კონტექსტებს ერთმანეთისგან. თანამშრომლობა და თანაცხოვრება აუცილებელია, რომ სხვადასხვა პოლიტიკურმა სუბიექტებმა თანაცხოვრება შევძლოთ, მაგრამ აქ დგება უმთავრესი საკითხი – რა იყო სააკაშვილის რეჟიმი. თუ ეს იყო ტირანია, მაშინ ეს უნდა დავამტკიცოთ და მთელ მსოფლიოს ვაუწყოთ, რომ ტირანიასთან თანამშრომლობას გვთხოვენ. თუ ამას ვერ დავამტკიცებთ, მაშინ უნდა შევასრულოთ ცივილიზებული სამყაროს მოთხოვნა და ვითანამშრომლოთ. ჩვენ ნახევარი ზომებით ვცხოვრობთ, ინტერვიუში და სიტყვით გამოსვლისას ვამბობთ, რომ სააკაშვილის რეჟიმი იყო ტირანია, თუმცა დოკუმენტურ მასალას არ ვქმნით. დღეს ქვეყნის უმთავრესი პრობლემა ხელისუფლებასა და ხალხს შორის გაწყვეტილი კავშირის აღდგენა და იმ სისტემის დანგრევაა, როდესაც თუნდაც გამარჯვებული მცირე ჯგუფი ან ერთი პიროვნება იღებდა გადაწყვეტილებებს, გადაწყვეტილებების მიღების ფორმატი უნდა გაიზარდოს.

**თუ ვაღიარებთ ნაცმოძრაობას ოპოზიციად, გამოდის სააკაშვილს მართლა აუშენებია დემოკრატია, დემოკრატიული არჩევნები ჩაუტარებია და წავიდა ოპოზიციაში. იქნებ ვინმემ ამიხსნას, რას ნიშნავს ნაცმოძრაობა ოპოზიციაშია. ე.ი. ტაში უნდა დავუკრათ ნაცმოძრაობას, რომ მან დემოკრატიული სახელმწიფო ააშენა, წააგო არჩევნები, ახლა ოპოზიციაშია და ჩვენ ამას ვეთანხმებით?**

აი, აქ არის პრობლემა. თუკი ჩვენ როლანდ ახალაია ვაღიარეთ როგორც კანონიერი დეპუტატი, მაშინ მისი უფლებების დარღვევა არ უნდა მოხდეს. უმცირესობას ეკუთვნის საგამოძიებო კომიტეტი და უნდა მისცე, მაშინ ნუღარ ახსენებ, რომ ის დანაშაულებრივი რეჟიმის წარმომადგენელია. თუ დანაშაულებრივი რეჟიმის წარმომადგენელია, რა უნდა პარლამენტში?

**- რა უნდა გაეკეთებინა „ქართულ ოცნებას“ ამ პრობლემის წინაშე რომ არ დავმდგარიყავით?**

- არჩევნებამდე უნდა შეგვეფასებინა სააკაშვილის რეჟიმი, ან დღეს უნდა შევაფასოთ. ავირჩიოთ პრინციპი, არა აღრეული რაღაც კონგლომერატი, არამედ ერთიანი პრინციპი სახელმწიფო აღმშენებლობის საფუძვლისა და რაც შეიძლება ფართო კონსესუსით იქნას გადაწყვეტილება მიღებული. ხშირად ვსაუბრობთ ჩართულობაზე, ეს ჩართულობა მაქსიმალური უნდა იყოს. ჩემთვის სრულიად გაუგებარია სად შეიძლება ამა თუ იმ ხედვების მიტანა, ამიტომ უნდა შეიქმნას შესაბამისი ფორმატი (ერთი ან რამდენიმე), სადაც შესაძლებელი გახდება დარგის პროფესიონალებმა თავისი ხედვები წარადგინონ. როდესაც მიცხადებენ, საქართველოში ეკონომისტების, სოფლის მეურნეო-

12 gv.



# mixeil saakaSvili cixeSi unda ijdes!

*გვესაუბრება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე*
***დავით თარხან-მოურავი***

**— ბატონო დავით, თქვენი თავმჯდომარეობით ახალი პარტია — „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ შეიქმნა. რა მიზნები, ამოცანები აქვს მას, რამ განაპირობა მისი ამ მოცემულობაში დაფუძნება და რა გეგმები გაქვთ?**

— თავდაპირველად გეტყვით, რომ ჩვენი პარტიის შექმნამ ძველი ხელისუფლება შეაწუხა იმიტომ, რომ ამ დღეებში „ნაციონალებმა“ სასწრაფო წესით მოძრაობა „საქართველოს პატრიოტები“ შექმნეს. სტილი ალბათ გეცნობათ. პირველი ნაბიჯი, რაც მე, ირმა ინაშვილმა და სოსო მანჯავიძემ გადავდგით საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანა იყო, 20 იანვარს პრეზიდენტზე უფლებამოსილების შეჩერების მოთხოვნით. ძველმა ხელისუფლებამ კი შექმნა მოძრაობა „საქართველოს პატრიოტები“, რომელიც პირიქით, სააკაშვილის შესანარჩუნებლად ხელმოწერებს აგროვებს. ჩვენთვის ეს საშიში არაა იმიტომ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“დღეს ყრილობაზე 500 ადამიანსაც კი ვერ აგროვებს და გარწმუნებთ, ეს ფსევდო-პატრიოტებიც ვერ შეძლებენ ამას. რაც შეეხება კონკრეტულად ჩვენი პარტიის შექმნის მოტივებს, მიგვაჩნია, რომ პოლიტიკურ ველზე პატრიოტული ძალების ნაკლოვანებაა. მოგახსენებთ რას ვგულისხმობ: პატრიოტიზმი ეს არის ფიქრი, აზროვნება, მეტყველება, საუბარი და რაც მთავარია, ეროვნული სულისკვეთების შესაბამისად მოქმედება. სხვა განმარტებებიც არსებობს, მაგრამ ჩვენ პატრიოტიზმში სწორედ ამას ვგულისხმობთ. ქართველები პატრიოტები ვართ, მაგრამ ეროვნული სულისკვეთებით მოქმედი პოლიტიკური პარტიები ძალზედ ცოტაა. ეს ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური რეალობის ტრაგედიაა. დღეს საქართველოში უამრავი პარტიაა, რომელიც საკუთარ თავს პრო-ამერიკულს უწოდებს, ანუ ამერიკის მომხრეა. პოლონეთში პრო-ამერიკული ნიშნავს პარტიას, რომელიც ვაშინგტონში ვარშავის ინტერესებს იცავს. დააკვირდით რას ვამბობ, ვარშავაში კი არ იცავს ვაშინგტონის ინტერესებს, არამედ პირიქით. თუ ვაშინგტონს ვარშავაში რაიმეს გაკეთება სურს, ეს პარტია მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს, თუ ეს ვარშავის ინტერესების წინააღმდეგი არ იქნება. ასევე, პოლონეთში არის პრო-რუსული პარტია, რომელიც მოსკოვში ვარშავის ინტერესებს იცავს. ჩვენთან სრულიად საპირისპირო სიტუაციაა: აქ არსებული პრო-ამერიკული პარტიები მხოლოდ იმით არიან დაკავებულნი, რომ ვაშინგტონის ინტერესებს თბილისში იცავენ. თბილისის ინტერესებს ვაშინგტონში არა მარტო არ იცავენ, არამედ მის ინტერესებზე საერთოდ არ ფიქრობენ. ერთადერთი, რაც ამერიკას სურს აქ სწორედ იმას აკეთებენ. ამ ტრაგედიის მაგალითია ის, რაც ისრაელში მოხდა. აშშ-მ ისრაელს მხარი დაუჭირა. მოგეხსენებათ, რომ პალესტინა ისრაელის ფარგლებში ისეთივე ავტონომიაა, როგორიც აფხაზეთი საქართველოს ფარგლებში. გაეროში გაიტანეს საკითხი, რომ პალესტინას დამკვირვებლის სტატუსი მიეღო. წარმოიდგინეთ, აფხაზეთი გაეროში, როგორც დამკვირვებელი ისე, რომ გაჩნდეს. აქედან დამოუკიდებლობამდე უკვე ერთი ნაბიჯია. ცხადია, ისრაელი ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, მაგრამ კენჭისყრა ჩატარდა, აშშ-მ, როგორც პარტნიორს ისრაელს ღიად დაუჭირა მხარი, მაგრამ გაირკვა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა, ჰილარი კლინტონმა ძალიან ბევრ ქვეყანას, მათ შორის საქართველოს, ზურგს უკან უთხრა მხარი პალესტინასთვის დაეჭირა და ჩვენც სწორედ ასე მოვიქეცით. რას ნიშნავს ეს? — გადავდგით ნაბიჯი, რომელიც ჩვენი ინტერესების საწინააღმდეგოა. ეს მაშინ, როცა გვაქვს ორი კონფლიქტური ტერიტორია, რომლებიც დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან. ხვალ, რომ ისრაელმა აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობას დაუჭიროს მხარი, რას ვშვებით მერე?! საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ წავედით იმიტომ, რომ ამერიკამ ასე გვითხრა და იგივე უთხრა მინიმუმ 30 ქვეყანას, რასაც ისრაელი იკვლევს. აი, ესაა საქართველოში პრო-ამერიკული პარტიების პოლიტიკა, რისი წინააღმდეგნიც ვართ. ასევე გვყავს პრო-რუსული პარტიები, რომლებიც მოსკოვის ინტერესებს თბილისში იცავენ. ამიტომაა პატრიოტული პარტიების ნაკლებობა, ანუ პარტიებისა, რომლებიც თბილისში ქართულ ინტერესებს, ვაშინგტონში, მოსკოვში თბილისის ინტერესებს დაიცავენ და ა.შ. საზოგადოება ამ დანაკლისს გრძნობს და ამიტომაც ჩავთვალეთ შეგვექმნა პარტია, რომელიც ეროვნული სულისკვეთების იქნება, ჩამოყალიბდება, როგორც ძლიერი პოლიტიკური ძალა, არჩევნების გზით აღმოჩნდება პარლამენტშიც, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეებზეც და მთავარი ამოცანა და პრიორიტეტი, სხვებისგან განსხვავებით, ყველგან ქართული ინტერესების გატარება იქნება. ვაშინგტონში ლობისტები მხოლოდ სააკაშვილზე მუშაობდნენ, ისინი საქართველოსთვის არასოდეს იღწვოდნენ. უარესი ვითარებაა რუსეთში. დააკვირდით ერთ რამეს, ბოლო ოცი წელია ყოველწლიურად გამოდის ჟურნალი — რუსეთის ყველაზე გავლენიანი 50 ადამიანი და მათ შორის ხუთი ქართველი მაინც ყოველთვისაა. რუსეთში 150 მილიონი მაცხოვრებელია. ამ სიაში არ მოხვედრილა არცერთი აფხაზი, სომეხი, ოსი. ხუთი ყველაზე გავლენიანი ადამიანი რუსეთში გვყავს და ვერცერთ დონეზე ჩვენი ინტერესები ვერ დავიცავით, არადა ეს შეძლო ოსმაც, სომეხმაც. ეს იმიტომ, რომ არავითარი პოლიტიკა



არ გაგვაჩნია და არც არასდროს გვქონია. ჩვენი პოზიციაა გვქონდეს ეს პოლიტიკა, ამ ქართველებს უნდა შევხვდეთ და ისინი საქართველოს ინტერესების დასაცავად, საბრძოლველად მოვმართოთ, ვიცი, ამაზე სიამოვნებით დაგვთანხმდებიან. მათ სააკაშვილი რუსეთის აგენტებს ეძახდა, ამ დროს თვითონაა აგენტი. თუ ამ რიტორიკას თავს დავანებებთ და ამ ადამიანებს პატივისცემით დაველაპარაკებით, მკაფიოდ განვუსაზღვრავთ ამოცანას, გარწმუნებთ, ქვეყნის საქმე წინ წავა. ასევე ბევრი გავლენიანი ქართველი ცხოვრობს პარიზში, ბერლინში, ბრიუსელში. ამ ქვეყნებს რუსეთზე უზარმაზარი გავლენა აქვთ. ასევე ვაშინგტონშიც. ჩვენი პარტია ამ კუთხით იმუშავებს, თუმცა კარგი იქნება პარლამენტში მოვხვდეთ, რათა სტატუსი გვქონდეს.

**— თქვენი პარტიის სახელწოდებაშივე დევს უკვე ვალდებულება, სხვა დანიშნულებისა თუ მიზნისა. თქვენ არ ხართ ლეიბორისტული ან სხვა რომელიმე პარტია, არამედ „პატრიოტთა ალიანსი“. კონკრეტულად, როდიდან დაიწყებთ ქართული ინტერესებისთვის ბრძოლას და რა იქნება პირველი ნაბიჯები?**

— იუსტიციის სამინისტროს ჩვენი პარტია ჯერ რეგისტრაციაში არ გაუტარებია და ამას ველოდებით.

**— მაგრამ უკვე ხომ დაფუძნდით, ეროვნული ინტერესების დაცვაზე ზრუნვას რეგისტრაციაში გატარება რად უნდა?**

— თებერვლიდან ყველა დიდ ქალაქში განყოფილებებს გავხსნით. ასევე გვეყოლება მუშა წარმომადგენლობები, როგორც ბრიუსელში, პარიზში, ბერლინში, ისე ვაშინგტონში და ცხადია მოსკოვშიც, რომში, იერუსალიმში. აქტიურ მუშაობას შევუდგებით. რა თქმა უნდა, შეხვედრებსაც გავმართავთ, მაგრამ ერთი რამ უნდა გვესმოდეს, ძალიან ძნელია მუშაობა, როცა ხელისუფლებაში არანაირად არ ხარ წარმოდგენილი. ძნელია მოსკოვში გავლენიან ქართველს ელაპარაკო, ამისათვის მინიმუმ დეპუტატი მაინც უნდა იყო. უნდა გვესმოდეს, რომ არსებობს რაღაც გზა, რომელიც უნდა გავიაროთ

**— ბოლო პერიოდია არ წყდება საუბრები ხელისუფლების მხრიდან საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ, რომლის მიხედვითაც სააკაშვილს ერთპიროვნულად პრემიერის ან მთავრობის გადაყენება ახალი არჩევნების დასრულებამდე აღარ შეუძლია. სააკაშვილი ამას, ალბათ, დღესვე გააკეთებდა, მაგრამ მას პარლამენტში უმრავლესობა არ ჰყავს. რას ფიქრობთ ამაზე?**

— კონსტიტუცია, რომელიც ამჟამად გვაქვს სააკაშვილმა მიიღო და მან საკუთარ თავს მოარგო. ვიცით, რომ იგი წასვლას არსად აპირებდა და საკუთარ წრეში ხელისუფლებაში 30 წელი დარჩენაზეც საუბრობდა. ეს კონსტიტუცია არაა მთლად ლოგიკური, ცვლილებებს საჭიროებს. პრობლემა სააკაშვილის მიერ მთავრობის დათხოვნის უფლებამოსილებაში როდია, არამედ მთავარი სხვა რამაა: მან ისეთი მუხლი შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც შეუძლია მთავრობის დათხოვნა, შემდეგ დროებითი მთავრობის შექმნა, რომელიც გაურკვეველი ვადით იმუშავებს. აი, სადაა პრობლემა. სააკაშვილს ესმის, რომ არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში „ნაციონალური მოძრაობა“ საერთოდ ვეღარ მოხვდება პარლამენტში და ეს არ სურს. ამ კონსტიტუციაში ურთიერთშეკავების, ბალანსის მექანიზმები არ დევს. ჩვენთან უცნაური ვითარებაა, არც საპარლამენტო რესპუბლიკა ვართ, არც საპარლამენტო-საპრეზიდენტო, არამედ, სააკაშვილის რესპუბლიკა. ამ ბალანსის შექმნას ცდილობს ბიძინა ივანიშვილი. კონსტიტუციაში ცვლილების შეტანით იგი სააკაშვილს უფლებას აძლევს ხვალვე დაშალოს პარლამენტი, მაგრამ ახალი არჩევნების დასრულებამდე ერთპიროვნულად მთავრობის, პრემიერის გადაყენების უფლება ერთმევა.

**— არჩევნები, როგორც ვახსენეთ, სააკაშვილს არ აწყობს, მაგრამ მას შეუძლია პოლიტიკური კრიზისის შექმნა, რის შედეგადაც უხელისუფლებობას მივიღებთ. რა საფრთხეებია მოსალოდნელი ამ შემთხვევაში?**

— დიახ, შეუძლია და სწორედ ამის გამოსწორებას აპირებს ახალი მთავრობა, სააკაშვილს უზრდის უფლებებს, ეუბნება, თუ გინდა პარლამენტი ხვალვე დაშალეო, მაგრამ მთავრობის მოხსნის და დროებითის მარადიულად დანიშვნის უფლება ერთმევა. ეს ლოგიკური სვლაა. პრემიერს ჰყავს უმრავლესობა, მათ შორის „ნაც.მოძრაობის“ რიგებიდანაც, რომელთაც ესმით, რომ „ნაც. მოძრაობა“ უკვე გუშინდელი დღეა. ამ ცვლილებებს დადებითად ვუყურებ.

ჯერ ეს დრაკონი — მიხეილ სააკაშვილი და მისი რეჯიმი დამარცხებული არაა. ამიტომ დღევანდელი რეალობაასეთია — ეს რეჟიმი საბოლოოდ დამარცხდეს, ჩამოსცილდეს ხელისუფლებას და ჩვენს ქვეყანას და ხალხს თავი დაანებოს. ახალ ხელისუფლებას ბრძოლა ჯერ ამის წინააღმდეგ უწევს. მე უფრო რადიკალური შეხედულებები მაქვს, რაც არასოდეს დამიმალავს.

**— რაში მდგომარეობს თქვენი რადიკალიზმი?**

— მე ვამბობ, რომ მიხეილ სააკაშვილი ციხეში უნდა იჯდეს. იგი დამნაშავეა და უბრალოდ კი არა, სასტიკად უნდა დაისაჯოს. ასევე, სასტიკად უნდა დაისაჯოს ივანე მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი და სხვანი, ანუ ის ხალხი, ვინც ბოროტების შემოქმედნი იყვნენ. ასევე, მეორე ეშელონი, მეორე ფენა, ანუ ის ხალხი, ვინც ამ ბოროტების აქტიური განმახორციელებელი იყო. ასევე, სასტიკად უნდა დაისაჯოს ყველა ის ადამიანი, ვინც ციხეებში პატიმრებს აწამებდა, ვინც ბიზნესმენებს ატერორებდა. ისმის კითხვა — უნდა დაისაჯოს თუ არა ის ხალხი, ვინც დავალება შეასრულა, საპროცესო შეთანხმება შეადგინა? თუ მკაცრად ვისაუბრებთ, წესით, ისინიც უნდა დაისაჯონ, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ თავად რეჟიმი იმდენად ბოროტი იყო, მან ამაში ყველა სახელმწიფო მოხელე ჩააბა. 50 ათას კაცს ხომ არ დავსჯით? ეს ის ზღვარია, რომელსაც არ უნდა გადავაბიჯოთ, ეს ხალხი უნდა ვამხილოთ, მაგრამ არ დავსაჯოთ. ვამხილოთ იმიტომ, რომ მათი ცუდი საქმიანობა საჯარო გავხადოთ, მათაც და საზოგადოებამაც უნდა იცოდნენ, თუ რა ცუდი საქმე გაუკეთეს ქვეყანას. ბრძანებას, რომ გაძლევენ, არაა აუცილებელი იგი შეასრულო, თუ ეს ქვეყნის ინტერესს ეწინააღმდეგება. ჯობია ცოლ-შვილმა იშიმშილოს და ბოროტებაში არ იმონაწილეო. ამავდროულად მათ უნდა მიუტევოთ. მაგრამ ბოროტების შემოქმედნი და აქტიური განმახორციელებელნი, ყველანი საჯაროდ უნდა დაისაჯონ, ეს აუცილებელია საზოგადოების გაჯანსაღებისთვის.

**— დასავლეთიდან ხელისუფლებაზე ზეწოლა გასაგებია, მაგრამ პოლიტიკურ გაერთიანებებს ხომ არავინ ავალდებულებს სააკაშვილთან კოაბიტაციას, მაშინ რატომაა ასეთი სიჩუმე?**

— სამწუხაროდ, არსებობენ პარტიები და ადამიანები, მათ შო-

12 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

11 gv.

რის კოალიციაში შემავალნიც, რომლებიც ე.წ. კოჰაბიტაციას თანაუგრძნობს კიდეც. რით აიხსნება ეს? — ამ პარტიებს საზოგადოებაში რეალური მხარდაჭერა არ აქვთ, ზოგის რეიტინგი ნახევარ პროცენტზე ნაკლებია. მათ სჭირდებათ მექანიზმები, მეთოდები და გზები, რათა პოლიტიკაში თავი დაიმკვიდრონ. მათთვის კოჰაბიტაცია მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ამით შეუძლიათ ვიღაცას თავისი საჭიროება დაანახონ. თუ მათ დაიჭერენ და აღარ იქნებიან, მაშინ აღარც კოჰაბიტაცია იქნება და აღარც მისი საჭიროება. ეს არის ხალხი და პარტიები, რომლებიც საკუთარ თავს მუდმივად ეძებენ. მაგალითად, დღეს ყველა გამწარებული ლაპარაკობს პოლიტ.პატიმრებზე. „წინააღმდეგობის მოძრაობა“ პოლიტ.პატიმრების გამო შეიქმნა, მაშინ ამაზე ჩვენს მეტი არავინ ლაპარაკობდა. ჩვენ ვიბრძოდით მათი უფლებების დასაცავად და თავად ჩვენს წინააღმდეგ გაავებული ბრძოლა იყო. „საია“ ითხოვდა პოლიტ.პატიმრად ხან 5 კაცი გვეცნო, ხან 15 და ხან 35. აქაც ჩვენ ვიბრძოლეთ. ახლა ყველა ცდილობს საზოგადოებას დაანახოს, რომ პოლიტ.პატიმრების საქმეში წვლილი შეიტანეს. რეალურად არავითარი წვლილი არ შეუტანიათ, ჩვენ ორი წელი რომ ვიბრძოდით, ისინი სადღაც ჩუმად ისხდნენ. ახლა, ციხის კადრების ჩვენებით გადატყდა სიტუაცია და ყველას უნდა გმირი გახდეს. ახლა ყველა საკუთარ წვლილზე საუბრობს, ყველას უბრძოლია ჩემს გარდა თურმე. ეს არის ერის დაავადება. დაავადებულნი ვართ შურით, სიძულვილით, იმის მითვისებით, რაც არ გაგვიკეთებია, რისგანაც უნდა გავთავისუფლდეთ. ერთად უნდა ვიზრუნოთ გამოჯანმრთელებაზე. ცუდები ვართ და კარგები უნდა გავხდეთ. ეს ცალკე ეროვნული დაავადებაა და ჩვენმა პარტიამ ეს საკითხიც პროპაგანდის მასშტაბში უნდა აიყვანოს. ჩვენ კარგი ადამიანების პარტიას ვქმნით, რომელმაც იმისთვის უნდა ილვაწოს, რომ კარგი ადამიანების სახელმწიფოდ გარდავიქმნათ, არა შურიანების, არა ღვარძლიანების და ა.შ., ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეროვნული ამოცანაა.

**— რადგან სარჩელი შეიტანეთ, ბუნებრივია, რომ თქვენ სააკაშვილის უფლებამოსილების ვადის გასვლად 20 იანვარს მიიჩნევთ. თუმცა რას იტყვით ამ დისკუსიებზე, ხელმოწერებზე, ეს ფუჭი დროის კარგვა ხომ არაა?**

— ერთადერთი რეალური კონსტიტუციური მოქმედება სარჩელის შეტანა იყო, რაც გავაკეთეთ. კარგია, რომ ვიღაც ხელმოწერებს აგროვებს, მაგრამ ეს იურიდიულ ფორმას ვერ მიიღებს. პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის 5-დან 20 იანვრამდე ვადებზე შეიძლება ვიკამათოთ, არა უმეტეს. მესმის, რომ სასამართლომ ეს სარჩელი 20 იანვრამდე შეიძლება არ განიხილოს, მაგრამ პრინციპული საკითხია განიხილოს და დააკმაყოფილოს თუნდაც თებერვალში ან მარტში, ეს მაინც დიდი გამარჯვება იქნება.



# mixeil saakaSvili cixeSi unda ijdes!



**კონსტიტუციაში არ წერია, რომ პრეზიდენტი 5 წელი და 10 თვე უნდა იყოს. გასაგებია, რომ სააკაშვილმა 100 მილიონი გადაიხადა და მისი ლობისტები მთავრობას პირდაპირ ეხვეწებიან ოქტომბრამდე დარჩესო. ჩვენ ამას უნდა მოვერიოთ. ნახეთ რა ცუდი მაგალითი გვაქვს სახეზე — კაცმა 5 მილიარდი მოიპარა, საუბარი მაქვს სააკაშვილის რეჟიმზე, პლუს 45 ათასი კაცი ციხეში ჩასვა, ასობით ახალგაზრდა მოკლა, ასობით პატიმარი აწამა და გააუპატიურა, ახლა აშშ-ში თუ ბრიუსელში ლობისტებში 100 მილიონი გადაიხადა და თურმე ეს ყველაფერი უნდა ვაპატიოთ. ამას ჩვენი შვილები ვერ გაიგებენ.**

არ შეიძლება ჩვენს შვილებს ასეთი შთაბეჭდილება დარჩეთ, რომ შეიძლება 5 მილიარდი მოიპარო, ერი გააუბედურო და მერე მოპარულის სამი პროცენტი სადღაც გადაიხადო და ყველაფერი გეპატიოს, თანაც მშვიდად, წყნარად საქართველოში ბოგინი გააგრძელო. ამის დაშვება არ შეიძლება, ეს ხალხი სასტიკად უნდა დაისაჯოს.

**— თუ სასამართლო სარჩელს არ დააკმაყოფილებს, გიფიქრიათ რა გზით განაგრძობთ ბრძოლას?**

— არ ვიცი, ამ წუთას ვერ გეტყვით, ამაზე ფიქრი ნაადრევია. ნებისმიერ შემთხვევაში ერთი პარალელური ნაბიჯი უკვე გვაქვს — ჩამოვაყალიბოთ კონკრეტული საზოგადოებრივი მოთხოვნები — რა, როგორ და ვინ? თუ ეს ამოქმედდება, ყველაფერი დაკმაყოფილდება. უკიდურეს შემთხვევაში სააკაშვილი ოქტომბრის ბოლომდე იქნება და მერე წავა. თუ იგი ოქტომბრამდე ვერ მოვიცილეთ, იმის საშუალება მაინც არ უნდა მივცეთ, რომ ყველაფერი გააფუჭოს. რაც მთავარია, უნდა ვიბრძოლოთ. როცა პატიმრებზე ფიქრი დავიწყეთ, მაშინაც ბევრი პოლიტიკოსი მოდიოდა და გვეუბნებოდა — ეს მკვდარი თემაა, ვერაფერს მიაღწევთ და სახელსაც გაიფუჭებთო. მაგრამ ჩვენ ვიბრძოლეთ და ასე უნდა მოვიქცეთ ახლაც. ჩვენში საზოგადოებასაც ვგულისხმობ.

**— როგორ ფიქრობთ, რისთვის სჭირდება სააკაშვილს ის 10 თვე, ხომ არ ფიქრობს, რომ ივანიშვილი ამ პერიოდში შეცდომებს დაუშვებს და დაბრუნდება. ფულის და სხვა ბერკეტების საქმეში ჩართვის რესურსიც ხომ აქვს?**

— დიახ, დიახ, სწორედ მაგისთვის სჭირდება, ოღონდ ეს ილუზიაა. უნდა გითხრათ, რომ სააკაშვილი არის ადამიანი, რომელიც ილუზიებში ცხოვრობს. მაგალითად, მას ჰქონდა ილუზია, რომ მიხეილ ალმაშენებელია. მას ძალიან სერიოზულად უნდოდა მეფე გამხდარიყო. ამჟამად აქვს ილუზია, რომ ამ 10 თვეში ახალი ხელისუფლება თავს შეირცხვენს, ვერ გადაჭრის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ საკითხებს, ცხოვრება გართულდება, ხალხს ახალი ხელისუფლება შესძულდება და ჰგონია, რომ ხალხი მას მიუბრუნდება. ეს აბსოლუტური აბსურდი, სააკაშვილის მორიგი ილუზიაა. უნდა გითხრათ, რომ არსებობს სხვა პოლიტიკური ძალებიც, მაგალითად ჩვენ. ისეც, რომ მოხდეს და ხალხს ახალი ხელისუფლებიდან აღარავინ მოეწონოს, სააკაშვილს მაინც არ მიუბრუნდება, არამედ ახალი ვინმე მოეწონება, მაგალითად ჩვენ. სააკაშვილი აღარასოდეს აღარავის მოეწონება. ქვეყანაც რომ დაინგრეს ძველი მიხეილ სააკაშვილი ხალხს აღარ მოეწონება .ამიტომ ეს 10 თვე სააკაშვილს ვერ უშველის, იგი ველარასოდეს მოვა ხელისუფლებაში.ასე, რომ ეს მორიგი ილუზიებია, რაც ვერავითარი შედეგით ვერ დამთავრდება ერთის გარდა — ამ 10 თვეში იგი კიდევ ბევრ რამეს გააფუჭებს და დაღვრის ჩვენს სისხლს. ამას უნდა შევებრძოლოთ.

**თამარ შველიძე**

10 gv.

ბის სპეციალისტების დეფიციტიაო, ეს არ არის სიმართლე. შეიძლება რომელიმე პარტიაშია პროფესიონალი სპეციალისტების დეფიციტი. ასეთი განცხადებებით ჩვენ შეურაცხყოფას ვაყენებთ იმ ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი პროფესიონალური ღირსების გამო, უარი თქვეს ნაცმოძრაობასთან თანამშრომლობაზე. ვიმეორებ, უნდა შეიქმნას ისეთი ფორმატი, სადაც მოხდება აზრების პროფესიონალური განხილვა. ავიღოთ თუნდაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, არის სხვადასხვა აზრი და მიმდინარეობა, მაგრამ არ ვიცი სად შეიძლება ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა ჩვენი მოსაზრება მივიტანოთ, ვიმსჯელოთ და ვიკამათოთ ამ თემასთან დაკავშირებით. რატომ გაურბიან კამათს? მე ზურაბ აბაშიძეს დიდ პატივს ვცემ, საკმაოდ მაღალი დონის დიპლომატად მიმაჩნია, მაგრამ ჩვენ დღეს ზოგადადაც არ გვაქვს წარმოდგენა მისი ასე ვთქვათ, კონტაქტები კარასინთან რა პრინციპებზეა დაფუძნებული. ჯერ ქართველები შევთანხმდეთ ერთმანეთში რაღაც პრინციპებზე, რა უნდა ვუთხრათ კარასინს.

# saakaSvilis reJimi Tu tirania iyo, maSin mTeli msoflios unda vauwyoT, rom tiraniasTan TanamSromlobas gvTxoven

**- სააკაშვილს 20 იანვარს პრეზიდენტობის ვადა ეწურება, მაგრამ აშკარაა იგი გადაგომას არ აპირებს. ნაცმოძრაობა კონსტიტუციას იშველიებს, საპრეზიდენტო არჩევნები ოქტომბერში უნდა ჩატარდესო. საპრეზიდენტო ვადის გაგრძელებაც კონსტიტუციის დარღვევაა. სააკაშვილის შემოდგომამდე დატოვება პრობლემებს არ შეუქმნის ჩვენს ქვეყანას?**

- პრობლემებს თავის დროზე უნდა მოგვარება სანამ დამძიმებულა და გამძაფრებულა. ხსენებული საკონსტიტუციო ცვლილებები 2010 წელს განხორციელდა, მაგრამ სამწუხაროდ პოლიტიკური სპექტრი მაშინ სააკაშვილის დამხობის თემით იყო გართული. მხოლოდ „სახალხო პარტია“ და კიდევ რამდენიმე პოლიტიკოსი, მათ შორის დავით უსუფაშვილი ვამბობდით, რომ საქართველოს ძალზე მძიმედ დააწვებოდა ეს ცვლილებები და ყურადღება გავამახვილოთ ამ პროცესზეო, მაგრამ ცოტა არ იყოს დამცინავად გვიყურებდნენ, რა დროს კონსტიტუციის მუხლების რკვევაა, გვაცალეთ სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა, ნუ გვიშლით ხელსო. საზოგადოების დიდი ნაწილი ელოდა (ეს ხდებოდა აგვისტო-ოქტომბერში), რომ 4 ნოემბერს „ეროვნული ფორუმი“ მილიონ კაცს გამოიყვანდა ქუჩაში და ხელისუფლებას დაამხობდა, თუ ფორუმელები ვერ გაკეთდებდნენ ამას, ნოემბრის შუა რიცხვებში ქართული პარტია“ ყრილობას ატარებდა და ის განახორციელებდა, თუ მათაც არაფერი გამოუვიდოდათ, „სახალხო კრება“ 25 ნოემბერს საბოლოოდ დაასრულებდა სააკაშვილს. ყველა შეპირება ჩაიშალა, იმ ეიფორიიდან ისეთ ნიჰილიზმში ჩააგდო ხალხი არასწორად გათვლილმა ქმედებებმა, რომ შეიძლება დღესაც ვერ გამოვსულვართ ამ მდგომარეობიდან. გავიდა ხანი და სწორედ ახლა დავდექით ამ ცვლილებებით გამოწვეული პრობლემის წინაშე.



დღეს გვინდა თუ არ გვინდა, ან უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, რომ სააკაშვილი ვაიძულოთ გადადგეს კონსტიტუციის ასე ვთქვათ, ნორმის საწინააღმდეგოდ და დაინიშნოს ახალი არჩევნები (ოღონდ მარტო საპრეზიდენტო კი არა, საპარლამენტოც, რადგან ეს უკვე რევოლუციაა), ან უნდა შევეგუოთ სააკაშვილის პრეზიდენტობას ოქტომბრამდე. თავის დროზე არასწორად გადადგმულმა ნაბიჯებმა ორი უკიდურესობა დაგვიტოვა. თუ დღეს ხალხს ქუჩაში გამოიყვან და რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად წარმართავ, ეს აბობოქრებული მასა, მოქმედი ხელისუფლების მდგომარეობასაც დააყენებს ეჭვქვეშ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რევოლუციით მოხდა სააკაშვილის წასვლა და არა კოალიციის საპარლამენტო გამარჯვებით. მეორეს მხრივ, სააკაშვილს ოქტომბრამდე რა აიტანს, მაგრამ ჩვენ შუალედური გადაწყვეტილების მიღება შეგვიძლია — იგნორირება გავუკეთოთ სააკაშვილს, დავიწყოთ სახელმწიფოს მშენებლობა და სააკაშვილს არ მივცეთ რაიმეს გაფუჭების საშუალება. მთავარია, დროზე გადავდგათ ეს ნაბიჯები.

**- სასამართლო ისევ სააკაშვილის გავლენის ქვეშაა და ალბათ ამიტომაც ვერ ხერხდება ნაცხელისუფლების დანაშაულში ეჭვმიტანილი წევრების დასჯა.**

- ეს უფრო არასწორი მიდგომის ბრალია. ვანო მერაბიშვილის ბიძა კი არა ნებისმიერი ადამიანი, რომელიც პროკურატურის მოთხოვნით საბუღალტრო ფორმებში დაშვებული შეცდომების გამო წარსდგება სასამართლოში, რა თქმა უნდა გათავისუფლებული უნდა იქნეს. ამ ადამიანს უამრავი ხალხი ჰყავს გამწარებული, ხე-ტყეს უკანონო ჩეხვის, ადამიანების დაშინების ფაქტების გამო დაიბარე, ამ საკითხებთან დაკავშირებით ხომ უამრავი განცხადებაა პროკურატურაში შესული? ამით იმის თქმა მინდა, რომ არ არის მყარი საქმეები. ვანო მერაბიშვილს პასპორტზე კი ნუ იბარებ, ქუჩებში უდანაშაულო ხალხის ჩახოცვის და სხვა სერიოზული უკანონობის გამო დაიბარე და მაშინ ველარ გაუშვებს მოსამართლე. დღეს არანაირ პრობლემა არ წარმოადგენს მერაბიშვილისა თუ სხვების სერიოზული მასალებით სასამართლოში მიყვანა, მაგრამ რატომღაც ასე არ ხდება. ბაჩო ახალაიაც ჯერჯერობით ჯარისკაცის ცემის ფაქტზე ზის, ესეც დიდი დანაშაულია, მაგრამ მას უამრავ უფრო მძიმე დანაშაულში სდებენ ბრალს. ჯერჯერობით მე ვერ ვხედავ ახალი ხელისუფლების სურვილს, რომ მკაცრად აგებინოს პასუხი ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

**მანანა სუხიშვილი**



# CoxataurSi sasikeTo cvlilebebis dRe dadga...

**გვესაუბრება ჩოხატაურის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი თემურ ჭკუასელი**

**— ბატონო თემურ, ძალაუფლების გადაბარების პროცესი ნაციონალებისთვის, როგორც მოსალოდნელი იყო, მტკივნეულად მიმდინარეობს, თუმცა ჩოხატაურის რაიონი გამონაკლისია, სადაც ხელისუფლების ცვლა კონსტრუქციულად განხორციელდა. რამ განაპირობა ეს?**

— საქმე ისა, რომ ჩემს მიერ წარდგენილი გამგებლობის კანდიდატი რაიონში გამორჩეული ახალგაზრდა გახლავთ. ეს ადამიანი მთელი წინასაარჩენო პერიოდის განმვლობაში დღე და ღამე იბრძოდა იმისთვის, რომ „ოცნებას" გაემარჯვა ჩოხატაურში — ხვდებოდა ხალხს, ატარებდა აქტიურ აგიტაციას...

გამგებლობა რომ შევთავაზეთ, მოსაფიქრებლად ერთი კვირა ითხოვა, მერე მოქმედების ისეთი გეგმა მომიტანა, პირდაპირ გავოცდი. ახალი გამგებელი პატიოსანი, წესიერი კაცია, რაიონი უყვარს და ოპონენტებმაც საკრიტიკო ვერაფერი მოუძებნეს.

კი, დიდი ამბებია რაიონებში, მაგრამ, გარკვეულწილად, თქვენი მონა-მორჩილის დამსახურებაა წესრიგი რომ არის ჯერჯერობით რაიონში...

**— ყოფილ გამგებელს არ შეხვედრიხართ, როგორც ცნობილია, მან საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა თანამდებობა.**

— ყოფილ გამგებელს მე თვითონ ვუთხარი: ნუ აჩქარდებით, დაამთავრეთ სამუშაო წელი და მერე წაბრძანდით-მეთქი. ზუსტად 25 დეკემბერს დაწერა განცხადება და გადადგა.

წასვლის წინა დღეებში დავრეკე რაიონში და ვთხოვე მეგობრებს — ქალბატონ გამგებელს, სანამ წავა, ჩემი სახელით, 5 ცალი წითელი ვარდი მიართვით-მეთქი. ძალიან გახარებია ვარდები საჩუქრად...

რაც შეეხება ჩემი, როგორც დეპუტატის საქმიანობას, 24 საათი ვმუშაობ. დაუნახავი ხალხი არაა გურულები და წარმოიდგინეთ, ჩემთან მოდიან ადამიანები, რომლებიც ბედნიერი არიან იმით, რაც დღეს ჩოხატაურში ხდება. ფაქტობრივად, არჩევნების შემდეგ პირველად იცვლება ცხოვრება.

ძველი თანამდებობის პირებმა უმნიშვნელო წინააღმდეგობა კი გასწიეს, მაგრამ ველარ გაგვიძალიანდნენ. ხალხი ჩვენ გვიჭერს მხარს. ჭკუასელმა პალტო რომ დაკიდოს, იმ პალტოს გავუწევთ ანგარიშს, არ გვინდა ნაციონალებიო, ამბობენ თურმე...

ამას წინათ მითხრეს, საკრებულოს თავმჯდომარეს ანტონ ხუნდაძეს სურს თქვენთან შეხვედრაო. ესაა კაცი, ვინც არჩევნების დღეს, ოქტომბერში, სქელი „კურტკით" იდგა საარჩევნო უბანთან და ყალბი ბიულეტენებით ჰქონდა გამოტენილი ტანსაცმელი...

არ ვაპირებთ ასეთი ადამიანები დავიყენოთ გვერდით, ამიტომ სრულიად შესაცვლელია ყველაფერი. სოფლის საკრებულოებში ახალი კადრები უნდა მოვიდნენ, წესიერი, პატრიოტი ხალხით უნდა დაკომპლექტდეს მმართველი სტრუქტურები.

**— ამას გარდა ახალს რას გეგმავთ რაიონის საკეთილდღეოდ? მოგეხსენებათ, მხოლოდ კადრების შეცვლა არაა საკმარისი.**

— უზარმაზარი პასუხისმგებლობა მაქვს ჩემი რაიონის მიმართ და მუდმივად იმის ფიქრში ვარ, რა სარგებელი მოვუტანო რაიონს.

ჩოხატაური არის ერთადერთი რაიონი, სადაც 2003 წლიდან არც ერთი ახალი მშენებლობა არ განხორციელებულა. ერთადერთი, რაც გაკეთდა — პოლიციის შენობა შეღებეს და ერთ სოფელში მთლიანად დანგრეული სკოლა აღადგინეს.

მე კარგა ხანია შედგენილი მაქვს რაიონის განვითარების პრიორიტეტული გეგმა. ეს უკვე გავაცანი მთავრობას.

პირველი რიგის ამოცანად რაიონში გზების კეთილმოწყობა მიმაჩნია, უკვე ვიცი, საიდან უნდა დაიწყოს მუშაობა. მოსაგვარებელია წყალმომარაგების პრობლემაც, აღსადგენია კულტურის სახლები რაიონში და სოფლებში, საჭიროა, რაც შეიძლება მალე მოხდეს მოსახლეობის სრული გაზიფიკაცია. მივაღწიეთ იმასაც, რომ ძალიან მალე აღდგება სოფელ გორაბერეჟოულში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რომელსაც ძველი, უნიკალური ტრადიციები აქვს.

რამდენიმე დღის წინ შევხვდი ერთ-ერთი ფრანგული ფირმის წარმომადგენლებს. საოცარი ნოვაციები გაგვაცნეს. მოსალოდნელია, ჩოხატაურში დავაფუძნოთ მარცვლეულის მოყვანის და გადამუშავების გრანდიოზული საწარმო და კიდევ, რაც ყველაზე საინტერესოდ და მომგებიანად მეჩვენება, რძის გადამამუშავებელი ქარხანაა. ამ ქარხნის აშენება ერთ რაიონში უნდოდათ, მაგრამ ჩემი ძალისხმევით, მოვახერხეთ ჩოხატაურში დაეფუძნებინათ იგი, ქარხანა მთელი დასავლეთ საქართველოდან მიიღებს რძეს და აწარმოებს რძის პროდუქტებს ადგილობრივი და უცხოური ბაზრისთვის.

სრულდება ბატონი ბიძინა ივანიშვილის დაპირებაც — აგიშენებთ რაიონში ნებისმიერ საწარმოსო. ჩვენ გადავწყვიტეთ, ხილის გადამამუშავებელი ქარხანა აღვადგინოთ. ადგილიც და შენობაც უკვე შერჩეული გვაქვს.

ერთი ნოუ-ჰაუც მაქვს — კარალიოკის ჩირი. იგი შესაბამისად შეიფუთება და საზღვარგარეთ გაიგზავნება. ასეთ დელიკატესს საზღვარგარეთის ბევრი ქვეყანა არც კი იცნობს, კარალიოკის ჩირი იქ თითქმის არავის დაუგემოვნებია. ვაპირებთ ჩაის აღორძინებასაც.

**— ბატონო თემურ, იცით თუ არა, რომ რაიონის ცენტრალური საავადმყოფო კატასტროფულად მძიმე მდგომარეობაშია? საჭიროებს გადაუდებელ რემონტს, ახალ აღჭურვილობას, მედპერსონალი თვეების განმავლობაში ვერ იღებს კუთვნილ ხელფასებს, არადა მოგეხსნენებათ, ეს საავადმყოფო ყოველთვის გამოირჩეოდა რეგიონში შესანიშნავი სპეციალისტებით, აქ ტარდებოდა რთული ქირურგიული ოპერაციები, დღესაც, მიუხედავად დაუჯერებელი სიტუაციისა, მედიკოსები ამ საავადმყოფოში პაციენტებს რაიონის ყველა სოფლიდან ღებულობენ და საოცარ პირობებში კვლავ უტარებენ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას...**

**მედპერსონალი რამდენიმეჯერ გაიფიცა, მაგრამ ამაოდ. ვინ უნდა მიხედოს ამ პრობლემას?**

— გეთანხმებით, იქ ძალიან მძიმე ვითარებაა. მე ვარ საქმის კურსში და ვიცი, რაც ხდება რაიონული საავადმყოფოს გარშემო. ორიოდე დღეში ვესტუმრები რაიონს და აუცილებლად ვაპირებ მათ მონახულებასაც. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ამ საკითხის მოგვარება დროის საკითხია.

საავადმყოფოს პრობლემებზე მე უკვე ვესაუბრე ბატონ დიმიტრი ხუნდაძეს და ვგეგმავთ ერთად შევისწავლოთ ეს საკითხი.

პრობლემა ისაა, რომ საავადმყოფო ეკუთვნის ფირმა „ადითს" და თუ სურს მას, რომ ჩაერთოს სახელმწიფო ჯანდაცვის სრულიად ლიბერალურ პროგრამაში, ობიექტი უნდა მოაწესრიგოს...

რაიონში არის ერთი ადამიანი, მკურნალი-ფიტოთერაპევტი, რომელსაც აგებული აქვს რაიონის ცენტრში შესანიშნავი კლინიკა, რომელიც მხოლოდ სამედიცინო ინვენტარს საჭიროებს. ვფიქრობთ, ამ ობიექტზე გავაკეთოთ ჯერჯერობით ორიენტაცია.

მაგრამ ეს იქნება კერძო კლინიკა.

სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულება უნდა აშენდეს, იგი საერთოდ უფასოდ მოემსახურება პაციენტებს, ისე, როგორც საჩხერეშია.

**— არსებულ რაიონულ საავადმყოფოს რა ბედი ეწევა?**

— ეს საავადმყოფო კერძო მფლობელის ხელშია და როგორც თვითონ გადაწყვეტს, ისე იქნება.

წინა ხელისუფლებამ სადაზღვევო კომპანიებს აშენებინა 20 და 15-ადგილიანი საავადმყოფოები, რითაც ისინი, ფაქტობრივად, აიძულეს, ეს გაეკეთებინათ. დღეს სადაზღვევო კომპანიები ცდილობენ გაყიდონ აშენებული ობიექტები. შეიძლება, უკეთეს შემთხვევაში, სახელმწიფომ გამოისყიდოს ეს ობიექტები.

**— ბატონო თემურ, თუ იცით, რაიონში რამდენი გაჭირვებული ცხოვრობს და თუ მიულოცეთ მათ ახალი წელი?**

— კალანდას ჩოხატაურში შევხვდები. ვაპირებ, პირველი, რასაც გავაკეთებ, გაჭირვებულ ოჯახებს ვესტუმრები. სოფელ წიფნარში ცხოვრობს 34 წლის ქალბატონი, რომელსაც 9 შვილი ჰყავს. ზუსტად ვიცი, ამ ოჯახში მივალ. დავალება მიცემული მაქვს და დამახვედრებენ სიას იმ ოჯახებისა, ვისაც უჭირთ ყველაზე მეტად. განსაზღვრული მაქვს, თითოეულ მათგანს 20 კგ კარტოფილი, ზეთი, შაქარი, ერთი ტომარა ფქვილი და ტკბილეული დავურიგო.

თუმცა ვიცი, ერთჯერადი დახმარებებით ფონს ვერ გავალთ. ცხოვრების პირობები უნდა გავუუმჯობესოთ ხალხს. ვაპირებთ, 2013 წლიდან, როგორც პრემიერმაც ბრძანა, სერიოზულად დაეტყოს საქართველოს და თუ ჩოხატაურის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში ჩემი წვლილიც იქნება, ჩემს ცხოვრებისეული მისიის დიდ ნაწილს შესრულებულად ჩავთვლი.

**ირანდა კალანდაძე**



პოლიციის შენობა

## ენერგეტიკის სამინისტრო მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მიწოდების ხარისხის მონიტორინგს იწყებს

**საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მიწოდების ხარისხის მონიტორინგს იწყებს და ქსელში დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ, საზოგადოებას ინფორმაციას მედიისა და სოციალური ქსელის საშუალებით წინასწარ მიაწვდის.**



2012 წელს წინა წლებთან შედარებით, ელექტროგამანაწილებელ ქსელში სისტემური გამორთვები მნიშვნელოვნად შემცირდა. კერძოდ, თბილისში შარშან გათიშვების 1761 ფაქტი დაფიქსირდა, 2011 წელს - 1965 ფაქტი, ხოლო 2010 წელს - 2291 ფაქტი.

რაც შეეხება რეგიონებს, 2012 წელს 1157 შემთხვევა (საშუალოდ თვეში) დაფიქსირდა, 2011 წელს - 1357 შემთხვევა (საშუალოდ თვეში), ხოლო 2010 წელს - 1439 შემთხვევა (საშუალოდ თვეში).

როგორც სამინისტრო აცხადებს, ელექტროგამანაწილებელ ქსელში სისტემური გამორთვები ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია, რადგან ამ დროს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ხორციელდება. გარდა ამისა, ზამთრის პერიოდში და ხშირად, უამინდობისას ავარიული გათიშვებიც ფიქსირდება, თუმცა კომპანიების ტექნიკური პერსონალი შესაბამის სამუშაოებს 24-საათიან რეჟიმში აწარმოებს, რათა დროულად უზრუნველყოს სისტემის გამართული მუშაობა და მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მიმდინარე თვის მონაცემებით, თბილისისა და რეგონების ელექტროენერგიის გამორთვის რაოდენობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მაქსიმალურ ყურადღებას მიაქცევს, რათა ელექტროგამანაწილებელ ქსელში გათიშვების კლების ტენდენცია შენარჩუნდეს.

**„მედიანიუსი"**



# ღ ი ა  წ ე რ ი ლ ი

## საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ადამიანებს ისტორიის გადასაფასებლად ყოველთვის დიდი დრო სჭირდებათ. ნაციონალური თავისებურებების მიუხედავად, ეს თვისება ჩვენთვისაც იმანენტურია. ქართველი ერი მხოლოდ დროის გადასახედიდან ინარჩუნებს ისტორიულ მოვლენათა ობიექტური დახარისხების უნარს მიუხედავად იმისა, რომ არაერთგზის გათელილ, მოტყუებულ და შაგრენის ტყავივით დამცრობილ ჩვენს ქვეყანას აქვს პერიოდები თვლემის და გამოღვიძების, ზნეობრივი დაცემისა და სულიერი აღორძინების. აქვს პერიოდები იმ საბედისწერო მიჯნასთან მიახლოების, როცა პოლიტიკურ ლიდერთა ისტორიული პასუხისმგებლობა განსაკუთრებულ მისიას იძენს. თქვენ თქვენს თავზე აიღეთ ეს პასუხისმგებლობა. მძიმეა ეს ტვირთი, მაგრამ საპატიო, რადგან ამ მორიგი ,,გამოღვიძების' პერიოდში ხალხი იმ გულწრფელობით უნდა გაგენდოთ, რომლის ლეგიტიმური უფლება თქვენგან ერთ-ერთ მთავარ დაპირებად მიიღო.

**ვიტოვებ უფლებას, იმ ადამიანების სახელით მოგმართოთ, ვინც 20 წელიწადია სამშობლოშივე უსამშობლობის უცნაური განცდით აგრძელებს სიცოცხლეს. ვისაც, შეიძლება გულუბრყვილოდ, მაგრამ მაინც სჯერა, რომ სწორი სახელმწიფოებრივი მიდგომის პირობებში მაინც შესაძლებელია ენგურის ხიდზე აფხაზებსა და ქართველებს შორის აღმართული მძულვარების კედლის რღვევა. ვინც 1993 წლის საბედისწერო 27 სექტემბერს ბრძოლა წააგო მშობლიური ქალაქისათვის და, იქიდან მოყოლებული, 20 წელიწადია ყოველდღიურად, ნაბიჯ-ნაბიჯ კარგავს აფხაზეთს.**

აფხაზეთიდან დევნილები მივეჩვიეთ ქრონიკული მოლაპარაკებებისა და დაპირებების უშედეგობას. მივეჩვიეთ იმას, რომ აფხაზეთისთვის გამეტებული ყოველი პოლიტიკური ფრაზა საოცრად ჰგავს ერთმანეთს. რომ ყოველ ჩვენს დღეს რეფრენად გასდევს ,,წყევლა-კრულვიანი“ საკითხი, რომელიც საბოლოოდ დევნილთა ,,გასახლებისა“ თუ ,,განსახლების“ პრობლემასთან იყრის თავს. ჩვენ შევეჩვიეთ იმას, რომ აქტუალურ თემად მიიჩნევა დევნილთა ინტეგრირების საკითხი, რომლის ქვეტექსტში მაცდურად იმალება ყოველდღიური საფიქრალიდან აფხაზეთის მონატრების გამოდევნა. სოხუმელობის, გაგრელობის, გალელობის, ოჩამჩირლობის ,,სენისაგან“ თავის დაღწევა. ენგურს გამოღმა საქართველო თავის ოცნებებში ყოველდღიურად, უკანმოუხედავად გარბის ამ მიწიერი სამოთხიდან.

**ჩვენ გავექეცით აფხაზეთს** მაშინ, როცა 2004 წელს პარლამენტიდან გამოვაძევეთ აფხაზეთის დეპუტაცია, ხოლო აფხაზეთის უმაღლესი საბჭო იმიტირებული საკანონმდებლო ორგანოს რეჟიმში გადავიყვანეთ. ნურავინ შენატრის მათ ბედს- ისინი წლებია ატარებენ გამოუსავლობის ტრაგიკულ განცდას, მაგრამ მზადყოფნასთან ერთად დღემდე არ კარგავენ დევნილთა პრობლემებთან შეჭიდების სურვილს. ლეგიტიმური ხელისუფლების მიმართ ასეთი უნდობლობისა და იგნორირების სიმბოლიკა იმ დემორალიზაციის სტრატეგიაში იმალება, რომლის შედეგები უკვე თვალსაჩინოა. ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ კანონიერ მემკვიდრეობად აღიარა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების იგნორირებისა და დაკნინების პრაქტიკა. ამ დამოკიდებულების გადახედვის სურვილი კი ჯერჯერობით საგრძნობი არ არის.

**ჩვენ დავშორდით აფხაზეთს** მაშინაც, როცა დაუსრულებელი რეორგანიზაციებისა და სამინისტროებში გუნდური მობრძანების მანკიერი პრაქტიკის წინაშე სამართლებრივად დაუცველი დავტოვეთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სისხლიან ბატალიებს ილბლად გადარჩენილი მეომრები, რადგან პარლამენტმა 2004 წელს დაუფიქრებლად ამოიღო ,,ბიუჯეტის შესახებ კანონიდან'' ფრაქცია ,,აფხაზეთის“ მიერ ინიცირებული ის მუხლები, რომელიც რეორგანიზაციის პროცესში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა და დევნილთა სამსახურში დარჩენის უპირატესობას უზრუნველყოფდა. ამ თვალსაზრისად ისინი დღემდე დაუცველი და განწირული არიან.

**ჩვენ დავშორდით აფხაზეთს** მაშინ, როცა 2007 წელს ვეტო დავადეთ აფხაზეთის ტელევიზიის, მოგვიანებით ჟურნალ-გაზეთების არსებობას და ჩვენი მეხსიერების ეს უმნიშვნელოვანესი ოაზისები გერებივით ჩამოვაცილეთ საბიუჯეტო სახსრებს. როცა აფხაზეთზე ვირტუალური დარდის შესაქმნელად ტელესივრცეში ახალი არხი ,,აფხაზეთის ხმა“ დავაარსეთ და მასში ყველა პირობა შევქმენით ენგურს გაღმა დარჩენილ საქართველოზე ფიქრისაგან გასაქცევად. ენგურს გამოღმა საქართველო აქ ყოველდღიური სიმშვიდით ტკბება ჰოლივუდის კინოპროდუქციის უახლესი შედევრებით, რათა ჩვენი შვილების თაობას არასოდეს გაუჩნდეს აფხაზეთზე ტაბუდადებული კითხვები, არ ჩაუღრმავდეს, თუ რა იმალება ჩვენი ქვეყნისათვის ამ საბედისწერო სიტყვის მიღმა. ამ განწყობის დადასტურებაა ისიც, რომ 2011 წელს ავტორიტეტული რეკომენდაციების მიუხედავად, საზოგადოებრივმა არხმა უსახსრობის საბაბით არ მოისურვა ჩემი საავტორო პროექტის, სატელევიზიო თოქ-შოუს ,,საუბრები აფხაზეთზე' განხორციელება, რომელიც ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენასა და ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებაზე იყო ორიენტირებული. ჩვენ უშედეგოდ, სხვადასხვა ენაზე ვისაუბრეთ არხის ხელმძღვანელობასთან და მაშინ მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ შორია აფხაზეთამდე....

**ჩვენ დავშორდით აფხაზეთს** მაშინ, როცა თბილისის თეატრალური აფიშებიდან ამოვიღეთ მარჯანიშვილის თეატრს სამოწყალოდ შეკედლებული სოხუმის კ. გამსახურდიას სახ. სახელმწიფო თეატრის აფიშა. როცა მისი სცენიდან დაუნდობლად გამოვაძევეთ აფხაზეთის კოლორიტები, სოხუმელების საყვარელი მსახიობები დიმიტრი ჯაიანი, ლილი და ნანა ხურითები, მერაბ ყოლბაია, ლეილა კალანდია. როცა ორად გავხლიჩეთ თეატრი და გურამ ოდიშარიას სცენარისა არ იყოს, კიდევ უფრო შორი გავხადეთ ,,ზღვა, რომელიც შორია''.



აფხაზეთი ხელიდან გვეცლებოდა მაშინაც, როცა მოწვევის მიუხედავად უმაღლესი ხელისუფალი არასოდეს ჩნდებოდა აფხაზეთის მთავრობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე. აფხაზეთის საზოგადოება ამაოდ ელოდა პრეზიდენტს და მთავრობის წევრებს გიორგი შერვაშიძის იუბილეზე, ჟიული შარტავას ხსოვნისადმი, სოხუმის თეატრის 125-ე წლისადმი მიძღვნილ საღამოებზე რუსთაველის თეატრში. მე ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ ხვდა განმუხურში პრეზიდენტის სურათებს 2008 წლის არჩევნების წინ გალის ოკუპირებული ტერიტორიიდან სიცოცხლის რისკის ფასად მასთან შესახვედრად გამოსული მოსახლეობა. ის იქაც არ მოვიდა, ხობთან შეჩერდა და მათთან მისვლა საჭიროდ არ ჩათვალა...

**ჩვენ დავშორდით აფხაზეთს** მაშინ, როცა აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების ისტორიაში პოლიტიკური ცნობიერების მქონე მთავრობის ბოლო თავმჯდომარემ- ირაკლი ალასანიამ 2005-2006 წლებში ქართულ-აფხაზური დიალოგის აღდგენისათვის რეალური, ქმედითი ნაბიჯები გადადგა, მაგრამ ჩვენ აფხაზურ მხარეს სუბორდინაციის ზღუდეები დავახვედრეთ დედაქალაქში.

**ჩვენ დავშორდით აფხაზეთს** მაშინ, როცა დასაშვები გახდა ჟიული შარტავას შემდეგ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ყოფილიყო საეჭვო რეპუტაციის პიროვნება გიორგი ბარამია. 2009 წელს ფიზიკური გადარჩენისათვის ბრძოლაში ქანცმილეული დევნილებისათვის ეს იყო მკაფიო მესიჯი- ჩვენ გაგვწირეს დემორალიზაციისა და უუფლებობისათვის, როცა მიუხედავად პრეზიდენტთან გაგზავნილი 4000 დევნილის ხელმოწერით დადასტურებული თხოვნისა, გადაეხედა თავისი საკადრო გადაწყვეტილებისათვის, თანამდებობა მაინც შეუნარჩუნდა რუსეთში თაღლითობისათვის ძებნილ, აფხაზეთის მოსახლეობაში სკანდალური ისტორიებით ცნობილ ადამიანს, რომელიც დღემდე მოქმედებს იმ კოდექსების შესაბამისად, რომელიც მისი ზნეობისა და ინტელექტის ადამიანებს ხელეწიფებათ. საუბედუროდ, პრეზიდენტმა მაშინ დუმილით გვიპასუხა. არ გვინდა ვიფიქროთ, რომ არაფერი შეიცვლება და სოციალური პრობლემებით დამძიმებულმა აფხაზეთის მოსახლეობამ კვლავ მორჩილად უნდა გადაიტანოს მათ საზოგადოებრივ აზრზე რეაგირების უპერსპექტივობა. იმედია, აფხაზეთის მთავრობა ამჯერად მაინც აღმოჩნდება სანდო რეპუტაციის, საქმეზე ორიენტირებული, ჰუმანური ადამიანის ხელში, რომელსაც არასოდეს დაავიწყდება, რომ ერთი ჩვენთაგანია.

ორი წელი დამჭირდა, რათა წყნეთის ერთ-ერთი ქუჩისათვის, სადაც დევნილები კომპაქტურად არიან ჩასახლებული გიორგი შერვაშიძის სახელი მიმენიჭებინა. არადა, მისი ძეგლი უნდა ამშვენებდეს დედაქალაქს, როგორც სიმბოლო ქართულ-აფხაზური მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობებისა.

**დედაქალაქი კარგა ხანია დატოვა ბანერმა წარწერით ,,გახსოვდეს აფხაზეთი“.**

ცხადია, ჩვენ ვერ დავრჩებით ლოზუნგების ქვეყნად, მაგრამ ზეიმისა და სანახაობების მოწყობის ნიჭიერებასთან ერთად გვჭირდება გლოვის კულტურაც – 27 სექტემბერი ხომ აფხაზეთის დაცემის დღეა. ამ დღეს ქვეყანას არ უნდა უჩნდებოდეს საზეიმო ღონისძიებებისა და ,,ფართების“ გამართვის სურვილი. მწერალს, ჟურნალისტს ელგა ფოლადიშვილს დავესესხები: ,,ჩვენ დაგვავიწყდა მთავარი და უფრო მთავარიც, რომ ჩვენს ქვეყანას ძაძა ჯერაც არ გაუხდია, რომ იმ ბიჭებს უსახელო საფლავებისთვის არ უბრძოლია. იქ ეშერაში, გაგრაში და გუდაუთში ვიღაც მოკვდა ჩვენი გულისთვის და ჩვენ ვალი გვაქვს გადასახდელი- მათი სულების, ღმერთისა და ქვეყნის წინაშე“.

**ბატონო ბიძინა,** დიდია თქვენი ვალდებულება, რომ ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ამ ჭეშმარიტებას შეახსენებთ სრულიად საქართველოს.

ჩვენს სოციალურ სტატუსს ყოველთვის თან ახლავს უამრავი კითხვა, დარდი და ზოგჯერ არსებობისათვის ბრძოლის არცთუ მისაღები ფორმები, მაგრამ აფხაზეთის ქართველობას ღირსება ჯერაც არ დაუკარგავს. ჩვენ ვებრძვით დროს, რათა მეხსიერებიდან არ ამოგვეშალოს უკან დაბრუნების საკრალური ვალდებულება, თუმცა სულიერად ყოველდღიურად უკვდებით აფხაზეთს ხელოვნურად შექმნილი ასეთი ტკივილისა და შეურაცხყოფის გამო. აფხაზეთის ქართველობამ უნდა აღიდგინოს მისი კუთვნილი პოლიტიკური პასუხისმგებლობა, უნდა დაიბრუნოს ამ შეცდომების გამოსწორების იმედი, თუკი აფხაზეთს დაბრუნება კვლავ უწერია და თუკი – თქვენც ამ ოცნების მოზიარე ხართ.



**სალომე კაპანაძე.**
**აფხაზეთიდან დევნილი.**
**პროფესორი.**
**მსოფლიო მშვიდობის ფედერაციის (UPF) მშვიდობის ელჩი.**
**აფხაზეთის განათლებისა და კულტურის ექს-მინისტრი**

# nacionalebma qurduli samyaro Caanacvles



უპირველეს ყოვლისა, თქვენი გაზეთის სარედაქციო შემადგენლობას შობა-ახალწელს ვულოცავ და ქართველ მკითხველთან ერთად გახარებასა და გამრავლებას ვუსურვებ.

სასურველი იქნებოდა ასეთი განწყობა შემენარჩუნებინა განურჩევლად ყველა ქართველის მიმართ, მაგრამ პრეზიდენტი სააკაშვილის საახალწლო „მილოცვა“ და ე. წ. ხუთპუნქტიანი დემაგოგია რომ მოვისმინე, სიმართლე გითხრათ, კიდევ ერთხელ დავდექი ცუდ გუნებაზე და გადავწყვიტე ზოგ-ზოგიერთებს მწარე სიმართლე გავახსენო; სააკაშვილის ბოლოდროინდელი გამოსვლები და რიტორიკა ურცხვი დედაკაცის სიუტუხეს მაგონებს, დედაკაცისა, რომლის უზნეობის შესახებ მთელმა ქვეყანამ იცის — წარამარა ღალატობს ქმარს, ცხოვრების წესად გარყვნილება აურჩევია, მაგრამ მაინც ურცხვად გაიძახის, პატიოსანი ვარო; სულმნათი ნოდარ დუმბაძე ზოგადად ასე ამბობდა: კაცს თუ შუბლის ძარღვი გაუწყდა, წასულია მისი საქმეო; ჰოდა, სააკაშვილს შუბლის ძარღვი კარგა ხანია გაწყვეტილი აქვს და, ამას, მგონი, ყველანი ვხედავთ.

თურმე, ახალი მთავრობა, ყოფილ მინისტრებს უკანონოდ იჭერს — თურმე ნაცმოძრაობის აქტივისტებზე და დემოკრატიის „გამორჩეულ მშენებლებზე“ პირდაპირი პოლიტიკური დევნა აქვს გამოცხადებული, მედიაზე ზეწოლას ახდენს და დემოკრატიულ ინსტიტუტებზე, საკრებულოებსა და გამგეობებზე შტურმს ახორციელებს. ამ ჩვენს მამა აბრამის ბატკანს, — „რუსთავი-2 კუდში რომ დასდევს და ახლაც იღლიაში აქვს ამოდებული — ოპოზიციის ლიდერსა და ამავე დროს — პრეზიდენტს (გაუგონარი ამბავია, პრეზიდენტი ოპოზიციონერი როგორ უნდა იყოს!..) ატირებამდე რომ ამუნათებს მისგან ჯერაც დაიმედებულ და გასულელებულ ელექტორატს და ახალ მთავრობას არადემოკრატიულობაში ადანაშაულებს, როგორც ჩანს, დაავიწყდა როგორი ყაჩაღური ხერხებით დაიწყო 2004 წელს ქვეყნის მართვა და პირველსავე თვეებში რა გზით გახდა ის და მისი უახლოესი გარემოცვა მილიონრები; **სააკაშვილი და მისი „ვარდოსანი“ ხელისუფლება, ფაქტობრივად დანაშაულებრივ გარიგებაში შევიდა შევარდნაძის ყოფილ მთავრობასთან, ხალხის კისრიდან აღებული მილიონები კანონის უხეში გამოყენებით, დაშინებებითა და დატერორებით გაიწილადა;**

იცით ხომ, თქვენგან მაშინ გაყვლეფილი ყოფილი სახელმწიფო მოხელეები ამაზე კრინტს რომ არ დაძრავენ, ხალხმა რომ არ თქვას, ამდენი ფული საიდან მოუქუჩებიათო და, ამით სარგებლობთ? ამიტომაც ხართ მშვიდად?.. მაგრამ ჩვენ ხომ ყველაფერი კარგად გვახსოვს და ლოგიკასაც ხომ ვერსად გავექცევით!.. **შევარდნაძის სიძემ, ჯოხთაბერიძემ, ივაჟკაცა და ფული არ გადაგიხადათ, ცოცხალი თავით არ შეიწერა თქვენგან მაყუთი და 15 მილიონი ბიუჯეტის სასარგებლოდ შემოგწირათ; სააკაშვილო, ხომ ვერ აგვიხსნი, ისეთი რა დააშავა ჯოხთაბერიძემ, საპროცესო გარიგებისთვის უპრეცედენტოდ გაუგონარი თანხა რომ შეატანინეთ?.. მირცხულავა გაგიჯიუტდათ, არ მაქვს ფული და არ შევიწეროო და, ციხეში წლები აყურყუტეთ;** შენ და შენმა გარემოცვამ 2004 წელს თითქმის ყველა ბიზნესმენი, რომელიც ოპოზიციაში ყოფნის დროს არ დაგეხმარათ, უმოწყალოდ გაპარსეთ, არ დატოვეთ შევარდნაძის მთავრობის არც ერთი მოხელე, ვისაც ფული ჰქონდა ნაშოვნი, არ გაგეყვლიფათ; მე ვერ დავაძალებ ვინმეს სიმართლის აღიარებას, მაგრამ როცა ამ წერილს წაიკითხავს ბატონი ჩხარტიშვილი, ლეკიშვილი, სიორიძე და ბევრი სხვანი, ვიცი, დამეთანხმებიან და გულში იტყვიან: ეხ, ჩემო კარგო, შენ კიდევ ბევრი რამ არ იცი, ესენი როგორი ბანდიტური გზით გამდიდრდნენო, მილიარდელები გახდნენო.

**შენ, სააკაშვილო, შენს უახლოეს გარემოცვასთან ერთად, მოსვლიდან რამდენიმე დღეში მილიონები იშოვე ყაჩაღური გზით და ბიუჯეტიც ყაჩაღურად „გაამდიდრე“; ახლა მილიარდერი ხარ, დამდგარხარ და ახალ მთავრობას ურთიერთთანამშრომლობისკენ მოუწოდებ... იქნებ იგივე გზას სთავაზობ, რაც თქვენ 2004 წლიდან აირჩიეთ?.. გინდათ თქვენი დანაშაულებრივი ქმედებანი თქვენთან დანაშაულებრივი გარიგებით დაიფაროს და ახალი მთავრობა კრიმინალური წლების სამართალმემკვიდრე გახდეს?!**

ხშირად გაიგონებ ნაცმოძრაობის მამა-იდეოლოგებისგან, თუ ადრე ვცდებოდით და ისე ვერ ვაკეთებდით, როგორც დემოკრატიულ პრინციპებს შეეფერებოდაო, ახალმა მთავრობამ მსგავსი რამ ხომ არ უნდა გაიმეოროსო; თქვენ კანონის წინაშე პასუხისგებას თქვენ მიერ ჩადენილი დანაშაულის გამეორებას ეძახით?.. დიახ, კანონის წინაშე ყველამ უნდა აგოს პასუხი, კანონი დამნაშავის მიმართ ულმობელი უნდა იყოს, რათა მომავალში ვერავინ გაბედოს თქვენსავით ქართველი ხალხის აბუჩად აგდება, ქუჩაში ახალგაზრდების უმოწყალოდ ხოცვა და თქვენიანად ქცეული სახელმწიფო მოხელეებზე ხელის დაფარება.

პირადად მე და ჩემს ქართველ ხალხს უდავოდ გვაინტერესებს 7 ნოემბრის მოვლენები, რატომ გაუსწორდა ქუჩაში გამოსულ მშვიდობიან მოსახლეობას მხუთავი გაზითა და ტყვიებით „დემოკრატიული“ სააკაშვილის ხელისუფლება?; **რა მოხდა ავადსახსენებელ 26 მაისს და ვინ შეყარა მეტროს თავზე „დენით“ დახოცილი უდანაშაულო ადამიანები?.. რა ვითარებაში გარდაიცვალა პოლიციელი, რომლის მშობელთანაც თვალებში ნაცარშემყრელი ცრემლებითა და დემაგოგიური მისამძიმრებით ქვეყნის პრეზიდენტი საყოველთაო ამნისტიას გმობს და ისედაც დამწუხრებული დედის ჭრილობაზე ცხარე წიწაკასავით „ჭირისუფლობს?..“** 2008 წელი, ქართველი ერის ისტორიაში ყველაზე დამანგრეველი და ამავე დროს სამარცხვინო წელია, ბურუსითაა მოცული სააკაშვილ-კეზერაშვილ-მერაბიშვილის სამხედრო ავანტიურა და ტყვიის გაუსროლლადაა მიტოვებული კოდორის ხეობა, ეს თითოეული ქართველის ტკივილია და გვაინტერესებს ზარზეიმით რატომ ჩაბარდა იქაურობა მოქიშპედ ქცეულ მეზობელს?! კი ბატონო, რუსებმა დაიწყეს ომი — რუსეთი აგრესორია, მაგრამ ქართველ ხალხს აინტერესებს, მოიქცა თუ არა იმჟამინდელი გენერალიტეტი სათანადო სამხედრო პასუხისმგებლობით? რა როლი აქვს მაშინდელ თავდაცვის მინისტრ კეზერაშვილს ოთხდღიან ომში? რატომ მიატოვეს უპატრონოდ და ყვავ-ყორნების საჯიჯგნად დააგდეს ჩვენი დახოცილი მეომრები და რატომ გამორბოდა ზოგიერთი სარდალი ბრძოლის ველიდან კურდღელივით? რა ბრძანებებს გასცემდნენ უგულავა და ძმანი მისნი? რატომ დასეირნობდა სამეგრელოს გუბერნატორი დამპყრობელ რუს გენერალთან ერთად და, რატომ უფეშქეშა კოდორის ხეობა მთავარსარდალმა სააკაშვილმა, ამ „უშიშარმა“ სახელმწიფო მოღვაწემ, რუს აგრესორს? დიახ, ეს ყველაფერი გამოსაძიებელია და ამ ყველაფერს ნათელი უნდა მოეფინოს, ქართველი ხალხი ისტორიულად იმდენს იმსახურებს და იმის ღირსია, სინამდვილე იცოდეს.

დემოკრატიულ ინსტიტუტებზე შეტევა მიდისო, აცხადებს საახალწლო გამოსვლაში სააკაშვილი და ევროპულ-ამერიკული ქვეყნების დემოკრატიაზე აპელირებს, ის ავიწყდება, რომ არჩევნების დღეს თითქმის ყველა რაიონსა თუ ქალაქში სპეცნაზი ჰყავდა დისლოცირებული და ქართველ მოსახლეობას ბოლო წუთამდე ატერორებდა, საქართველოს ღვინონაკლულ ტიკჭორასავით აჭანჭყარებდა, იჭერდა და აპატიმრებდა, იმუქრებოდა და იჭაჭებოდა. **დიახაც, ნაცმოძრაობის საკრებულოებისა და გამგეობების საქმიანობა შესასწავლია, არა ერთი საფუძვლიანი ეჭვი არსებობს მათი უკანონო ქმედებებისა და არჩევნების წინ საბიუჯეტო რესურსის არამიზნობრივად გამოყენებისა, უფრო სწორად, ნაციონალების სასარგებლოდ მიზნობრივად დახარჯვისა; გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ხალხი ადგილებზე სამართლიანობის აღდგენას ითხოვს, ხალხი, რომელმაც ამ „გაზაფხულის“ მოყვანისთვის ცხრა წლიანი ჯოჯოხეთი გამოიარა.**

აჭარის შესახებ დაიწუწუნა ბატონმა სააკაშვილმა, სხვადასხვა პროექტების განხორციელება შეაჩერა ახალმა მთავრობამ და ათასობით ადამიანი უმუშევარი დატოვაო; მისი მთავრობის დროს ხომ დაასაქმა ჩემი აჭარლები?!. ბორდელებით გაავსო ბათუმი და სარფი, თითქმის ყველა შენობის პირველ სართულზე მხოლოდ თურქულ ლაპარაკს თუ გაიგებთ, აჭარელი ვაჟკაცი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, იმდენად გაათამამა და კანონთან თავაშვებული გახადა შეზარხოშებული თურქი, უმეტესი იმათგანი საკუთარ თავს ყველაფრის უფლებას აძლევდა; ჩვეულებრივი მოვლენა იყო აჭარელი ლამაზმანის მიმართ ურცხვად წაღლაბუცება და უდიერი საქციელის ჩადენა; მოკლედ, არ მინდა ამ თემას ბოლომდე ჩავუღრმავდე, თავმოყვარე ბათუმელებმა ისედაც ყველაფერი კარგად იციან და, მტკივნეულ ჭრილობაზე ხელის დაჭერა არ იქნება ჩემგან ლამაზი; ასეთი აჭარა უნდოდა სააკაშვილს და მის ჰარემს!..

**დაბოლოს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს ჰკითხეს სააკაშვილის საახალწლო გამოსვლისა და მისი ხუთპუნქტიანი შეთავაზების შესახებ, რაზედაც მან ჟურნალისტს გულწრფელად უპასუხა: მიმხვდარა ის კაცი თავის დანაშაულს და რაღაც ამნისტიის მაგვარი უნდა მოვიფიქროთ და ვაპატიოთო;** ბატონო ბიძინა, კუზიანს მხოლოდ სამარე თუ გაასწორებს და, მეორეც, არ დაიჯეროთ, რომ ის კაცი მიხვდა დანაშაულს და, არც ის ირწმუნოთ, რომ ის კაცი და ძმანი მისნი, როდესმე დანაშაულს აღიარებენ და ქართველი ხალხის წინაშე პატიებას მოითხოვენ... არ იზამენ ისინი ამას და არც იფიქრებენ რაიმე კარგზე, რადგანაც მათ სულს უკვე ეშმაკი ჰყავს დაპატრონებული და მათ შუბლის ძარღვი კარგა ხანია გაწყვეტილი აქვთ... მჯერა, ჰუმანური ადამიანი ხართ და, უბრალოდ, დამნაშავე სისტემის მესვეურთა მიმართ (ნაციონალური მოძრაობის დანაშაულებრივი სისტემური სქემა უცილობლად უნდა გამოვლინდეს და, ალბად, თავად პარტიას მოუწევს ხალხისა და კანონის წინაშე წარსდგომა) თქვენი შემწყალებლური მიდგომა მენიშნა და თქვენეული „ამნისტიის“ გამოცემის იდეა ნაციონალი კრიმინალებისადმი შემდეგნაირად ჩამომიყალიბდა: **ყველა დამერწმუნება, რომ მათი ქმედებები და ფსიქოლოგია, მიდგომები და ტაქტიკა, არაფრით განსხვავდება „კანონიერი ქურდების“ დაუწერელი ყოფისგან — ჩემი სუბიექტური აზრით, კანონიერი ქურდები ზოგ შემთხვევაში ნაცებზე მეტად ადამიანურები არიან — ჰოდა, სწორედ სააკაშვილის ხელისუფლებამ შეავიწროვა და განდევნა ქართული სინამდვილიდან ეს კრიმინალური ინსტიტუტი და კარგიც ქნა, თუმცა ამ ინსტიტუტის „სახარბიელო,, შემწერი მეთოდები გაითავისა, შეისისლხორცა და მისი პირდაპირი მემკვიდრე გახდა, ყველა კანონიერ ქურდს აუკრძალა სამშობლოში ცხოვრება და აქედან მიაბრძანა...** მოკლედ, ჰუმანური ვითარებისთვის იდეალური ვარიანტი მინდა გავახმიანო, რომელიც, ჩემი აზრით, ზუსტად მოერგება დღევანდელ ევროპულ სამართალსა და ქართველი ხალხის მოთხოვნას: **კარგი იქნება, თუკი ამას საკანონდებლო სახე მიეცემა, რადგან მთლიანად ვეთანხმები თქვენს მოსაზრებას, რომ ახალი მთავრობა ნაციონალებს ისე უნდა მოექცეს, როგორც ეს მათ კი არა, ქართველ ხალხს ეკადრება, ამიტომაც შემომაქვს წინადადება — ნაციონალური მოძრაობის რომელ მოხელესაც არ ექნება ჩადენილი მკვლელობა ან სახელმწიფო დანაშაული, დანარჩენ შემთხვევაში ყველა მათგანს, ვისაც ბრალდება დაუმტკიცდება, გაძევება მიესაჯოს საქართველოდან იმდენივე ხნით, რამდენსაც სასამართლო კანონის გათვალისწინებით შეუფარდებს სასჯელს — ამით ქართული ციხეც თავისუფალი გახდება ამდენი ავანტურისტისაგან, ვითომ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულისაგან და ქვეყანაც...**

მერწმუნეთ, ამაზე დიდი ჰუმანური აქტი მათ მიმართ სხვა რამ შეუძლებელია, ასეთ შემთხვევაში ნაცებიც „მოისვენებენ“ და ქართველი ხალხიც თავისუფლად ამოისუნთქავს!..

**მერაბ შათირიშვილი**
**მწერალი, პუბლიცისტი**

## ლუკაშენკო საქართველოს ეწვევა



ბელორუსის პრეზიდენტი საქართველოს დსთ-ში დაბრუნებასთან დაკავშირებით ამ ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერებთან მოლაპარაკებების გამართვას გეგმავს. როგორც მან დღევანდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, იგი უახლოეს მომავალში საქართველოს ეწვევა. „ვფიქრობ, რომ უახლოეს პერიოდში მექნება შესაძლებლობა ეს საკითხი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან — სააკაშვილთან და ივანიშვილთან ერთად განვიხილო. სააკაშვილმა საქართველოში მიმიწვია და იქ უახლოეს ხანებში გავემგზავრები”, - განაცხადა ლუკაშენკომ და დასძინა, რომ საქართველოს დსთ-სთან ინტეგრაციის სხვადასხვა ფორმატი შეიძლება არსებობდეს. ლუკაშენკოს აზრით, დსთ-სთან ურთიერთობების განახლება საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსს, როგორიც არ უნდა იყოს ის, არ ეწინააღმდეგება. მეტიც ბელორუსის პრეზიდენტის ფიქრობს, რომ ეს თავად ოფიციალური თბილისის ინტერესებშიც შედის.

როგორც ცნობილია, 2013 წელს დსთ-ს თავმჯდომარე ქვეყანა ბელორუსი გახდა. საქართველომ აღნიშნული კავშირი 2008 წელს დატოვა.

## ბანკების ძარცვის ბრალდებით საფრანგეთის პოლიციამ 21 ქართველი დააკავა



საფრანგეთის პოლიციამ დანაშაულებრივი ჯგუფის აყვანისას 21 ქართველი დააკავა. ფრანგული მედიის ცნობით, ქართველები ევროპაში რუსულ მაფიასთან იყვნენ კავშირში. დანაშაულებრივ ჯგუფს ბრალად ედება ასობით საბანკო ბარათის მოპარვა და ანგარიშებიდან თანხის მოხსნა. დაკავების სპეცოპერაცია ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ჩატარდა.

საქართველოს საელჩოს საფრანგეთში სპეცოპერაციისა და ქართველების დაკავების შესახებ ოფიციალური დადასტურება ჯერ არ მიუღია, თუმცა სხვადასხვა წყაროდან ცნობილია, რომ დაკავებულებს ნამდვილად ქართული გვარები აქვთ, მაგრამ მათი უმრავლესობა საქართველოს მოქალაქე აღარ არის.

**„მედიანიუსი“**

# saakaSvili marTlmadideblobis dauZinebeli mteria...



**გვესაუბრება გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა ბასილი მკალავიშვილი**

**— მამაო ბასილ, ეკლესია ვალდებულია ამხილოს სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის მიერ ჩადენილი დანაშაულებანი თუ არა?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

ჩვენთან არს ღმერთი!

დასაწყისში მინდა სრულიად საქართველოს მართლმადიდებლებს შობა-ახალი წელი მივულოცო, მშვიდობა და ერთსულოვნება სუფევდეს საქართველოში.

ღმერთია უზენაესი ძალა, რომელიც განაგებს კაცობრიობას. ეკლესია სულიერად შერწყმულია და პასუხისმგებელია ღმერთთან. ის უნდა იყოს მხილების მახვილი ყველა უკეთურებისა.

მხილებით ადამიანი უნდა გამოსწორდეს, თუ იგივეს გააგრძელებს, განსაკუთრებით ეს ერის ტრადიციებსა და სარწმუნოებას ეხება, მაშინ ის საშინელი ღალატის ჩამდენად ჩაითვლება. ასეთი ადამიანები კი უფლის უმაღლეს სასჯელს — ანათემას იმსახურებენ. ახლა თქვენთვის მომინდვია განსასჯელად, რისი ღირსია აწ უკვე ყოფილი ხელისუფალი.

**— რატომ სდუმდა ეკლესია?**

— იმიტომ, რომ საქართველოს ეკლესიაში ისეთი სასულიერო პირები არიან მოკალათებულნი, რომლებიც წლების მანძილზე არანაკლებ დანაშაულს ჩადიოდნენ, ვიდრე სააკაშვილის ხროვა.

**— კერძოდ?**

— ყოფილი მთავრობის წარმომადგენებს საკუთარი თვალით ჰქონდათ ნანახი სასულიერო პირთა მამათმავლობის, ლოთობის, ნარკომანიის დამადასტურებელი ფოტოები, ეს კი არათუ სასულიერო, არამედ, საერო პირთათვისაც კი მიუტევებელია. ამიტომაც იყო, ეკლესია რაიმეს თქმას თუ დააპირებდა, მაშინვე მერაბიშვილი, თოფურიძე, ბოკერია და უგულავა ჩნდებოდნენ იქ და იმუქრებოდნენ კომპრომატების გამომზეურებით. ამით იმონებდნენ სასულიერო პირებს და რასაც უნდოდათ, იმას აკეთებინებდნენ. ამან გამოიწვია ის, რომ ჩამოიყვანეს მწვალებელი გარეგინი — სომხეთის პატრიარქი და მას მოთხოვნები და ულტიმატუმები დაუკმაყოფილეს, მიიღეს სამარცხვინო გადაწყვეტილება სინოდის კრებაზე, რომელიც წარუშლელ ლაქად დარჩება საქართველოს ისტორიაში.

**— მთელი სინოდი ცოდვილია ამ საქმეში?**

— ღმერთმა დაიფაროს, ყველა ერთნაირი იყოს. 56 სასულიერო პირი მოითხოვდა სინოდის სამარცხვინო გადაწყვეტილების გაუქმებას. მათი რიცხვი ზღვაში წვეთია. საბედნიეროდ, სინოდში არიან ისეთი ეპისკოპოსები, რომლებიც მკაცრად ამხელდნენ სააკაშვილის ძალადობრივ პოლიტიკას. მეუფე იობი, მეუფე იაკობი (იაკობაშვილი), ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ბოლო დროს გამოირჩევა საინტერესო ქადაგებებით და მხილებებით, სწორედ ამის გამო დაიმსახურა ერში დიდი სიყვარული და პატივისცემა. ჩემი აზრით, ისეთი პატრიარქი სჭირდება დღეს საქართველოს, როგორიც მეუფე იობი და მეუფე იაკობია.

**— მამა ბასილ, არ გიცდიათ პატრიარქისთვის იუბილე მიგელოცათ? ერი და ბერი ფილარმონიაში შეიკრიბა ამ დღეებში და გრანდიოზული კონცერტით მიულოცეს მას...**

— სიმართლე გითხრათ, დავიღალე პატრიარქის მხილებით.



# moskoveli beri _ vasianis winaswarmetyveleba saqarTvelos Sesaxeb gazafxulze gacxaddeba?!

ადამიანის ბუნება ასეთია: როცა მიუთითებენ, ის ცდილობს ცოდვა მეორედ არ ჩაიდინოს. ესენი კი პირიქით, უფრო უარესს აკეთებენ.

მე ღვთისმსახური ვარ და დიდი სჯულის კანონი მავალებს კანონის დამრღვევთა მხილებას. იმ დროს, როცა მე ვებრძოდი იეღოველთა სექტას და სხვებსაც, რის გამოც ციხეშიც გამომამწყვდიეს, მაშინაც კი იმის ნაცვლად, რომ მართლმადიდებლობა დაეცვათ და აელაგმათ სექტების თავხედური ქმედებები, კონცერტებზე დადიოდნენ... რომ გავიგებდი ამის შესახებ, საშინელ ტკივილს ვგრძნობდი მათი საქცილის გამო. ხელიდან ეცლებოდათ ყოველივე და თვით კი დამშვიდებულნი იყვნენ. მარხვის მძიმე დღეებში თავად პატრიარქიც კი დასწრებია საზეიმო კონცერტებს...

მე უკვე აღვნიშნე, რომ პატრიარქი სააკაშვილს სახელოვან პრეზიდენტს უწოდებდა, ე.ი. მის მიმართ აშკარა თანადგომას გამოხატავდა. მსგავსი ივანიშვილის მიმართ არ მსმენია. ეს გამოიკვეთა მეტად საინტერესო ფაქტით, როცა პატრიარქს თავის რეზიდენციაში მიწვეული ჰყავდა მსოფლიო პატრიარქი. ბუნებრივია, მიწვეული იყო ბიძინა ივანიშვილიც. რატომღაც იქ აღმოჩნდა დაგვიანებით მისული სააკაშვილიც. თუ სააკაშვილს რაიმე ჭკუა შერჩენია, იქ დაუპატიჟებლად არ უნდა მისულიყო. ე. ი. პატრიარქის მიწვევით მივიდა. ივანიშვილმა ადრე ისურვა წასვლა. ილია II შესთავაზა — გაგაცილებო, ივანიშვილმა კი თავისი სიდინჯით და სიბრძნით უპასუხა: აი, ის გააცილეო და სააკაშვილისკენ მიუთითა. აქ უბრალოდ გაცილებაზე არ ყოფილა საუბარი, არამედ, საერთოდ, პრეზიდენტის პოსტიდან გაცილებაზე. აქ პატრიარქის მხრიდან ორი ბატონის მსახურება ფიქსირდება. ღვთისმსახური კი ერისა და ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს და არა გაუწონასწორებელი პიროვნების ილუზიებს, რომელმაც ყოველგვარი უფლება დაკარგა და რას ეპოტინება, თვითონაც არ იცის.

**— საზოგადოების დიდი ნაწილი სააკაშვილის გადადგომას მოითხოვს, ამ მოთხოვნას ეკლესია უნდა შეუერთდეს?**

— ეკლესია ხალხის, საზოგადოების სულიერი ნავთსაყუდელია და იგი აქტიურად უნდა ეხმიანებოდეს საზოგადოების მოთხოვნებს.

რაც შეეხება სააკაშვილს, მისი ყოვლად მიუღებელი და მოღალატური ქმედებები ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასამარდეს.

დღეს უფრო მკვეთრად იკვეთება ის, რომ სააკაშვილი, მთელი თავისი გარემოცვით, მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტრები არიან და მოსაჩვენებლად, ხალხის თვალის ასახვევად ვითომ მორწმუნეებივით იქცევიან, სინამდვილეში ისინი ძირს უთხრიან მართლმადიდებლობას.

---

## გილოცავთ მამა ბასილ,

ნებისმიერი ისტორია ითვლის წარსულს, აწმყოს და მომავალს და ბედნიერია ადამიანი, რომელიც წარსულს ტკბილად, უფრო სწორად, სუფთა სულით იხსენებს, აწმყოსაც კეთილსინდისიერად ატარებს და მომავალს იმედით შეჰყურებს...

სწორედ თქვენ მიგესადაგებათ ყოველივე ეს, მამაო ბასილ.

გადმოცემით ვიცით, რომ საერო ცხოვრება საზოგადოებისა და ქვეყნის სასარგებლო შრომით განვლეთ, ხოლო რაც შეეხება თქვენ გვერდით ჩვენს ყოფნას, რომელიც არც თუ ისე მცირე, არამედ საკმაო დროს (17 წელიწადს) ითვლის და დაწვრილებით აღვწერთ თქვენ მოღვაწეობას სასულიერო თუ აღმშენებლობით სფეროში, უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელო იქნება ახალგაზრდა თაობისათვის, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ქრისტიანი.

თქვენ ღირსეულად აგრძელებთ წინაპართაა განვლილ გზას ერის ტრადიციებისა და სარწმუნოების დაცვის საქმეში და ღირსეულ ადგილს იმკვიდრებთ იმ მამულიშვილთა გვერდით, რომელთაც სისხლით დაწერეს საქართველოს ისტორია. ამავდროულად, მეტად გასაკვირია, რომ არა ღვთის მადლი, თანადგომა და შემწეობა ყოვლადწმიდა დედისა, შეუძლებელი იქნებოდა ერთ ადამიანს ეწვნია ამდენი გვემა, დევნილობა და ზეწოლა საზღვარგარეთელ ანტიმართლმადიდებელთაგან თუ უგუნურ, ერის მოღალატე ქართველთაგან.

ბევრჯერ სცადეს თქვენი ლიკვიდაცია და ჩამოშორება გზიდან, რომელიც განვლეს ზვარაკად შეწირულმა ჩვენმა წინაპრებმა. მათ საკუთარი სიცოცხლის ფასად მოიტანეს დღემდე ყოველი ქართული, რაც მთავარია, სარწმუნოება. ქართველ მოღალატეთა მიზანი იყო, აქ დასმულიყო დიდი წერტილი სარწმუნოებისა ეროვნულისა, მაგრამ ეს უფალმა არ ინება და თითზე ჩამოსათვლელ ქართველებთან ერთად აგრძელებთ საქართველოს ჭეშმარიტ ისტორიას. იცავთ ოცსაუკუნოვან დავითის, თამარის, ვაჟას, ილიას და სხვათა სარწმუნოებას.

თქვენ მართლაც ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, უერთგულეთ მას. ქრისტეს ეკლიან გზაზე ერთხელაც არ დაგიჩოქიათ, პირიქით, თქვენი შეუპოვარი წინააღმდეგობით ძალასართმევდით საქართველოს მოღალატეებს.

საპყრობილესაც არ შეუშინდით და მისი პირქუში კედლებიდანაც ამხელდით მართლმადიდებლობის მტრებს სააკაშვილის მეთაურობით.

ჩვენ, გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის მრავალრიცხოვან მრევლს, თქვენ გვაძლევთ შრომის, ზნეობის, აღმშენებლობის, ურთიერთსიყვარულის, გულისხმიერების, სარწმუნოების დაცვისთვის თავგანწირვის მაგალითს. თქვენი სიტყვა და საქმე განუშორებელ არს. ეკლესიის ეზო ბაღნარად აქციეთ. ახალგაზრდობა შემოკრებილი გყავთ და მათთან ერთად დაუღალავად შრომობთ. აშენებთ, ამზადებთ ტაძარს წმიდა ათონის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის დასაბრძნებლად. ამიტომ გმფარველობთ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მადლიანი კალთა ყოველგვარი საქმის განხორციელებაში. ამასთანავე უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობთ მშობლიურ სოფელში თქვენივე ხელით აღგენილ ღმრთისმშობლის ეკლესიისადმი. როგორც მადლიერი, ერთგული შვილი, სისტემატიურად მიეახლებით ყოვლადწმიდა დედას და თქვენი ხავერდოვანი ხმით გალობით ქებას და დიდებას ასხამთ.

ამოუწურავია თქვენი დამსახურება ერის წინაშე. საქმემან შენმან გამოგაჩინოსო და სწორედ თქვენი ნამოღვაწარი ხელის გულზე უდევს საქართველოს, თქვენი ხელით აშენებული ეკლესიების სახით.

მოშურნენი სდუმან, ხოლო აღსრულებული საქმენი ლაღადებენ...

მამა ბასილ, გილოცავთ შობა-ახალ 2013 წელს, უდიდესი მამის ბასილი დიდის ხსენების დღეს და თქვენი დაბადების 67-ე წლისთავს. ეს წელი ყოფილიყოს თქვენი ოცნების საქართველოს გაერთიანების, ეკლესიის განწმენდის და მართლმადიდებლობის ზეობის წელი. ვიცით, მხოლოდ ეს მოგანიჭებთ თქვენ უდიდეს სიამოვნებას და შვებით მხოლოდ მაშინ ამოისუნთქებთ...

ჩვენ, თქვენი მრევლი, მამაო ბასილ, როგორც ერთი, ერთსულოვნად გვიგულეთ თქვენს გვერდით, ყოველგვარი ჭირი და ლხინი თქვენთან ერთად გავიზიაროთ. ვიაროთ, ვილვაწოთ თქვენი ბრძნული რჩევების მიხედვით...

**გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის მრევლი**

აქედან გამომდინარე, ეკლესია ვალდებულიც კია შეუერთდეს ხალხის მოთხოვნებს და დადგეს მათ გვერდით სააკაშვილისა და მისი ბანდის ძირფესვიანად აღმოსაფხვრელად.

**— სანამ ინტერვიუს ჩავწერდით, თქვენ მოსკოველი ბერი ახსენეთ, რომელიც თურმე საქართველოში არეულობას წინასწარმეტყველებს. რას გულისხმობს ეს წინასწარმეტყველება?**

— მე გადმომცეს არქიმანდრიტ ბერ ვასიანის წერილი. ის ამბობს, რომ გაზაფხულზე საქართველოში იქნება დიდი არეულობა და დაპირისპირება და ყველაფერმა მშვიდობიანად რომ ჩაიაროს, თამარ მეფის ხსენების დღეს მთელ საქართველოში მშვიდობიანი მსვლელობა უნდა მოეწყოს ხატებითა და ჯვრებით, ამას თვით სახელოვანი მეფის სული მოგიწოდებთო. მე მისგან კვლავ ველი წერილს და ამის შესახებაც თქვენს გაზეთს ექსკლუზიურად მოვახსენებ.

**— მამა გაბრიელს თუ იცნობდით მამა ბასილ. იგი წმინდანად შეირაცხა. როგორ ხდება წმინდანად შერაცხვა, ბერი გაბრიელი არის ნამდვილი წმინდანი?**

— სასულიერო პირი წმინდანად რომ შეირაცხოს, ღვთის წინაშე დიდი დამსახურება უნდა ჰქონდეს, გარდაცვალების შემდეგ კი მისმა სულმა სასწაულები უნდა მოახდინოს და გვაჩვენოს ღმერთის ძალა. ბერი გაბრიელი სიცოცხლეშივე ახდენდა სასწაულებს...

როცა საქართველოში კომუნისტური რეჟიმი მძვინვარებდა და სიმართლის თქმა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, როცა ლენინი ლამის ღმერთად ჰყავდათ გამოცხადებული, მამა გაბრიელმა კომუნისტების პარადზე მთავრობის სასახლიდან ლენინის 10-მეტრიანი პლაკატი ჩამოხსნა, იქვე, მოედანზე დაასხა ბენზინი და დაწვა სახალხოდ. ეს იმ დროს მართლაც დიდი თავგანწირვა იყო. ბერი სიცოცხლეშიც მოურიდებლად ამხელდა ზედაპირულ ღვთისმსახურებს... მისი გარდაცვალების შემდეგ კი მის საფლავზე აღევლინება სასწაულები, იქ მთელი წლის განმავლობაში ყვავის ყვავილები და ყინვა და სიცივე მათ ვერაფერს აკლებს. საფლავზე ანთებულ კანდელს კი სამკურნალო თვისებები აქვს.

მე და ბერი გაბრიელი ვმეგობრობდით. მრავალჯერ გვისაუბრია. სწორედ მან მიწინასწარმეტყველა ყოველივე, რაც გადამხდა სარწმუნოების დაცვისთვის. მაუწყა, რომ ძალიან მძიმე უღელი მედო უფლისგან ბოძებული და გამაფრთხილა, ღირსეულად გეტარებინოს ეს ტვირთიო. ეს იყო ჩემდამი ნათქვამი მისი ბოლო სიტყვები... ასე დავცილდით ერთმანეთს...

იგი უფლის რჩეული იყო.

ღმერთმა დაგლოცოთ.

**ირანდა კალანდაძე**

**მამაო ბასილ,**

**გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს და ანგელოზის ხსნების დღეს. გფარავდეთ წმინდა სამების მადლი, მისი წყალობა არ მოგაკლდეთ იმ ქვა-ღორღიან და მძიმე გზაზე, რასაც ქრისტეს გზა ჰქვია და რომელ გზასაც წარბშეუხრელად და შეუდრეკელად მიუყვებით ათეული წლებია. იცოცხლეთ მრავალჟამიერ!!!**

**ირანდა კალანდაძე**

# ultimatumi

## საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელებისას, თქვენ, ნაცვლად იმისა, რომ გემოქმედათ ქართველი ერისა და სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად, კეთილსინდისიერად აღგესრულებინათ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობა და ყველაფერი გეღონათ საქართველოს კონსტიტუციის, ტერიტორიული მთლიანობისა და ადამიანის უფლებების დასაცავად, თქვენი კონსტიტუციური ფიცის გატეხვით შერყვენით პრეზიდენტის სამსახურის ღირსება და ძირი გამოუთხარეთ მისდამი ხალხის ნდობას, რაც გამოიხატა შემდეგით:

1. თქვენ მოახდინეთ სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაცია და მონოპოლიზაცია, თქვენს ხელში მოაქციეთ განუზომელი ძალაუფლება, დაამყარეთ ავტოკრატიული და ავტორიტარული რეჟიმი, ადამიანის და არა სამართლის მმართველობა; უგულვებელჰყავით საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები, ხელისუფლების გადანაწილება, ხელისუფლების განშტოებათა კონტროლისა და ბალანსის სისტემა, რითაც საფუძველი გამოაცალეთ კონსტიტუციურ-რესპუბლიკურ მმართველობას საქართველოში;

2. თქვენ დაამცირეთ და დააკნინინეთ სასამართლო ხელისუფლება, არარად აქციეთ სასამართლოს დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტიები, რომელთა საფუძველზეც სასამართლო ხელისუფლების განმტკიცებისა და გაძლიერების, და მასთან ერთად, სამართლიანი მართლმსაჯულების დამკვიდრების ტენდენცია შეუქცევადად უნდა განვითარებულიყო. იმის მაგივრად, რომ ყოველივე გეღონათ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, სასამართლო თქვენ აღმასრულებელი ხელისუფლების პირისფარეშად დაიყენეთ; მოსამართლეთა დევნის, დაშინების, ტერორის, მოსყიდვის სხვა ხილული თუ უხილავი მეთოდებით, ისინი გაბატონებული პოლიტიკური ელიტის მაამებელ გადაწყვეტილებათა მორჩილ აღმსრულებლად გადააქციეთ; ჩაკალით მათში დამოუკიდებლობის ყოველგვარი განცდა და მოთხოვნილება, რითაც ნიადაგი გამოაცალეთ საქართველოში სამართლიან მართლმსაჯულებას, სასამართლოსადმი ხალხის ნდობას, აღუკვეთეთ ადამიანებს მართლზომიერი მოლოდინი სამართლის და სამართლიანობის მიღწევისა, გასწირეთ ისინი უკანონობის, დაუცველობისა და უსამართლობისათვის;

3. თქვენ შექმენით ხელისუფლების კორუფციული სისტემა, რომელშიც საზღვარი არ ჰქონდა განუკითხაობასა და ჩინოვნიკების თვითნებობას, სადაც ყველაფერს განსაზღვრავდა მმართველი პარტიის ეგოისტური მისწრაფებანი, ჟინი და ახირება, არათუ საერთო ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესები; სადაც უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მიღებაზე ზეგავლენის მოსახდენად (სულ ერთია, საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ სფეროს შეეხება — ჯანმრთელობის დაცვას, განათლებას, მეცნიერებას, კულტურას და სხვ.) სრულიად ამაო იყო ყოველგვარი ძალისხმევა საზოგადოებრივი აზრისა, სადაც იდევნებოდა ქართული, ეროვნული ცნობიერება და სულიერება, სადაც არასოდეს ხდებოდა ხელისუფლებისაგან განსხვავებული და მით უმეტეს, უმცირესობის აზრის გათვალისწინება, საზოგადოების განსხვავებული ფენების, ინტერესთა ჯგუფების, მათი მოსაზრებების, ინტერესებისა და სამართლიანი მოთხოვნების თანაზომიერი გათვალისწინება, რის გარეშეც შეუძლებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობა, ქვეყანაში მშვიდობის, ჰარმონიისა და თანხმობის დამკვიდრება.

4. თქვენ, თქვენს მიერვე დანერგილი მართვის მანკიერი სისტემით და ფორმებით შებღალეთ ადამიანის ღირსების უფლება, ადამიანთა თანასწორობა, დაამკვიდრეთ ნეპოტიზმი და დისკრიმინაციული გარემო პოლიტიკური შეხედულებების, ასაკობრივი ცენზის და ცხოვრების თითქმის ყველა სხვა სფეროში; საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო სამშობლოსათვის, ჩამოაშორეთ აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას და უმოწყალოდ მოისროლეთ სანაგვეზე, „უსარგებლოებისა და „ჩარეცხილების" მორალურად დამთრგუნველი სტატუსით; ამით წაართვით მათ ღირსეული ცხოვრების უფლება, პროფესიული დასაქმების, წინსვლის, პიროვნების განვითარების შესაძლებლობათა რეალიზაციის, ბედნიერებისაკენ სწრაფვის უფლება და გასაქანი;

5. თქვენ თქვენივე მოქმედებითა თუ უმოქმედობით ფეხქვეშ გათელეთ ადამიანის ძირითადი უფლებები — სიცოცხლის, საკუთრების, თავისუფალი არჩევნების უფლებები, აზრის გამოხატვის თავისუფლება და სხვა. მისდამი დაქვემდებარებული სამსახურები და მის მიერ მართვადი მედიასაშუალებები გამოიყენეთ თქვენივე პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დევნის, შევიწროვებისა და ანგარიშსწორებისათვის, დეზინფორმაციის მეშვეობით საზოგადოების დატერორებისათვის თქვენივე არაგონივრულ და უკანონო ქმედებათა გასამართლებლად. თქვენ შექმენით უკანონობისა და განუკითხაობის ატმოსფერო, სადაც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ხელისუფლების ბოროტად გამოყენებითა თუ ხელისუფლების გადამეტებით, ადამიანის უფლებათა ალმაშფოთებელი დარღვევები, მათ შორის — ადამიანთა მკვლელობა, მათი ფიზიკური, თუ სულიერი დასახიჩრება, უკანონო პატიმრობა, ტუსაღთა ცემა, წამება, თუ უტიფარი მოპყრობა, უდანაშაულობის პრეზუმპციის უტიფარი დარღვევა, მშვიდობიანი მიტინგებისა და მანიფესტაციების დაუზოგავი დარბევა, ადამიანთა წინააღმდეგ გადამეტებული ძალის, ან მისი უსაფუძვლო გამოყენება, საქმეთა გამოუძიებლობა სახელისუფლებო კრიმინალის დასაფარავად, ტელეკომპანიების დარბევა, მედიის საშუალებებზე პოლიტიკური ცენზურა და კონტროლი, საკუთრების თვითნებური ჩამორთმევა, ადამიანთა დაშინება, შანტაჟი, მუქარა, პროვოკაცია და სხვა ათასგვარი დანაშაული, ხრიკი, მზაკვრობა, შენიღბული თუ შეუნიღბავი უკანონობა.

თქვენ სახელთან არის დაკავშირებული საქართველოს უახლესი ისტორიის სამი ყველაზე სამარცხვინო მოვლენა: საკუთარი ხალხის დარბევა 2007 წლის 7 ნოემბერს; საკუთარი ტერიტორიების დაბომბვა 2008 წლის 8 აგვისტოს ომის დროს და საკუთარი ხალხის სისხლიანი დარბევა 2010 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. ყოველივე ამით თქვენ არარად აქციეთ პიროვნების თავისუფლება და ხელშეუხებლობა, კანონი და სამართალი, აბუჩად აიგდეთ საკუთარი ქვეყანა და ხალხი;

6. თქვენ შექმენით სახელმწიფო რეკეტის კორუფციული სისტემა, არაკონკურენტული გარემო, ნიადაგი გამოაცალეთ თავისუფალ მეწარმეობას, გაასხვისეთ ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტები. ყოველივე ამით გამოუსწორებელი ზიანი მიაყენეთ ქვეყნის ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და სიცოცხლისუნარიანობას, დიდი ხნით დააბრკოლეთ მისი აღმავლობა და განვითარება.

7. თქვენ, ხელისუფლებას ხარბად დაწაფებულმა, არაერთგზის, უკანონოდ და არამიზნობრივად გამოიყენეთ სახელმწიფოებრივი სახსრები და მოახმარეთ იგი საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებასა და განმტკიცებას, მმართველი ოლიგარქიის ინტერესებს, გარეგნულ ეფექტებსა და არაჯანსაღ სახელისუფლებო ამბიციებს, ძვირადღირებულ საპრეზიდენტო რეზიდენციებს, პირად კეთილდღეობას, ხელისუფლებით ტკბობასა და განცხრომას და, საკუთარი მაგალითით საქვეყნოდ დაადასტურეთ, რომ „ხელისუფლება რყვნის, ხოლო აბსოლუტური ხელისუფლება აბსოლუტურად რყვნის".

8. თქვენ თქვენივე უპასუხისმგებლო და უგუნური მოქმედებით შეგნებულად აჰყევით რა რუსეთის გარკვეული წრეების პროვოკაციას — საქართველო ჩააბით უაზრო, დამღუპველ ომში, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს დიდძალი ტერიტორიის ოკუპაცია, საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ტექნიკის მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურება, ათასობით ადამიანის სიკვდილი, უსახლკაროდ და უსასოოდ დარჩენა, უზარმაზარი მატერიალური და აუნაზღაურებელი ეკოლოგიური ზიანი.

ყოველივე ამით თქვენ კიდევ უფრო გაართულეთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი მოლაპარაკებებით, პოლიტიკური საშუალებებით აღდგენის პროცესები; საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე საქართველო წარმოაჩინეთ არასერიოზულ და არასაიმედო პარტნიორად, დააბრკოლეთ საქართველოს ინტეგრაცია ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო უსაფრთხოების საერთაშორისო სისტემებში.

ყოველივე ამით, თქვენ, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა შელახეთ პრეზიდენტის სამსახურის სიწმინდე; შებღალეთ პრეზიდენტობა, უღალატეთ თქვენდამი, როგორც პრეზიდენტისადმი გამოხატულ ნდობას, იმოქმედეთ საქართველოს კონსტიტუციის, სამართლის უზენაესობის, სიმართლისა და სამართლიანობის საწინააღმდეგოდ, ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოსათვის აშკარად საზიანოდ.

ყოველივე ზემოთაღნიშნული ეხება თქვენს საქმიანობას 2012 წლის 1 ოქტომბრამდე. სამწუხაროდ, 1 ოქტომბრის შემდგომ თქვენ საბოლოოდ დაჰკარგეთ რეალობის შეგრძნება, დაუპირისპირდით საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობით არჩეულ ხელისუფლებას, თავი გამოაცხადეთ ოპოზიციის ლიდერად, მაშინ, როცა დღემდე, კონსტიტუციის შესაბამისად, ითვლებით ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდლად. თქვენი უკანასკნელი პერიოდის ყველა ქმედება არის ქვეყნის და ხალხის საზიანო და მკაფიოდ ადასტურებს, რომ თქვენ ხართ არაადექვატური და სრულიად უუნარო ქვეყნის მართვაში. ფაქტია ისიც, რომ თქვენივე "საახალწლო მილოცვით" საერთოდ გახვედით საკონსტიტუციო სივრციდან, გაემიჯნეთ ქართველ ხალხს და თავადვე დაადასტურეთ, რომ ამ ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტი აღარ ხართ!

თქვენი ასეთი საქციელისათვის, რომლის მიზანია ბრძოლა სავარძლისათვის და არა ქვეყნისათვის, საქართველოს ხალხი სრულ უნდობლობას გიცხადებთ და მიიჩნევს, რომ თქვენ ვეღარ გამოდგებით თავისუფალი ქართველი ერის მმართველად.

ქართველმა ხალხმა გამოხატა თავისი ურდეკი ნება და არჩევნებით გადაწყვიტა თავისი შემდგომი პოლიტიკური ბედი, რათა ერთხელ და სამუდამოდ, მყარად და საიმედოდ დაამკვიდროს თავისუფლება, თანასწორობა და სამართლიანობა საქართველოში.

თუ თქვენ იგნორირებას გაუკეთებთ ხალხის ნებას, და საქართველოს კონსტიტუციას, არ მიიღებთ ქვეყნისათვის აუცილებელ გადაწყვეტილებას და 2013 წლის 20 იანვარს, თქვენი არჩევიდან ხუთი წლის ვადის გასვლისთანავე არ გადადგებით, მაშინ საქართველოს მოქალაქეები შექმნიან ისეთ მდგომარეობას, რომ თქვენ ვერ მოახერხებთ ხელისუფლების ძალადობრივ მიტაცებას.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, თქვენ — მიხეილ სააკაშვილი, 2013 წლის 21 იანვრიდან საქართველოს პრეზიდენტი აღარ ხართ, რაც სრულ თანხვედრაშია საქართველოს მოქალაქეთა ნებასთან და დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციით და უმრავლესობის ხელმოწერებით.

„გაერთიანების მემორანდუმში" წარმოდგენილი ორგანიზაციების სახელით

**რეზო ჩხეიძე** — არასამთავრობო ორგანიზაცია „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, კინორეჟისორი, მშვიდობის მსოფლიო ელჩი.

**რეზო ამაშუკელი** — საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე"-ს თავმჯდომარე

**მიხეილ ანდღულაძე** — არასამთავრობო ორგანიზაცია „ერთსულოვნება საზოგადოებრივი უფლებებისათვის" თავმჯდომარე

**თეიმურაზ შაშიაშვილი** — პარტია „თეთრები"-ს თავმჯდომარე

**ფერდინანდ ლორთქიფანიძე** — ქართულ-ოსური მისიის" თანათავმჯდომარე

**ელგუჯა ბურდული** — არასამთავრობო ორგანიზაცია „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

**ნანა შარაშიძე** — ასოციაცია „ქალი, ბავშვი და სოციუმი"

**ნუგზარ კახნიაური** — ავღანეთის და სხვა ომების მონაწილეთა კავშირის თავმჯდომარე

**ტიტე ლეფსაია** — საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირი

**ანზორ ბაბუხადია** - ჩოხოსან რაინდთა დასი

**ავთანდილ იოსელიანი** - სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის თანათავმჯდომარე

**იური ვაზაგაშვილი** - სამოქალაქო ერთობის თავმჯდომარე

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #51

# ბრალს ვდებ!

## რატომ მიუსაჯეს 75 წლის ნაპო გაბისონიას 19 წელი?

***გვესაუბრება ჯონი ზარანდია, პოლიციის პოლკოვნიკი, ყოფილი გამომძიებელი.***

– 2005 წლის 11 ნოემბერს სააქციო საზოგადოება „ზუგდიდსოფლტექნიკაში“ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და მისმა საგამოძიებო ნაწილმა სს საქმე აღძრა „ზუგდიდსოფლტექნიკის“ ბუღალტრის ხაზალიას მიმართ. საქმეზე მოიწვიეს **ირემაძე,** ფინანსთა სამინისტროს რევიზორი.

ირემაძემ საწარმოო ბალანსით შექმნა რევიზიის აქტი, შეისწავლა საბუღალტრო დოკუმენტაცია და გამოძიებამ დანიშნა ექსპერტიზა. ჩაატარეს საბუღალტრო ექსპერტიზა და საქმე გაამზადეს სამეგრელო-ზემოსვანეთის რეგიონის პროკურორის **როლანდ ახალაიასათვის** წარსადგენად, რათა შეწყვეტილიყო სს საქმე საფუძვლის უქონლობის გამო.

როლანდ ახალაია დაინტერესებული იყო წარმოების ხელმძღვანელის ნაპო გაბისონიას დაპატიმრებით და რადგან „ზუგდიდსოფლტექნიკაში“ არ აღმოჩნდა დანაშაულებრივი ფაქტები, ახალაიამ თავის მოადგილეს **ნუგზარ მღებრიშვილს,** საგამოძიებო განყოფიების უფროსს **დემნა თოდუას,** მის მოადგილეს **გია ბერიშვილს** და გამომძიებელ **ირაკლი ქორთუას** მისცა ბრძანება პროკურორ **ფელიქს ჯალაღონიასთან** ერთად გაეგრძელებინათ შემოწმება და ეპოვათ დანაშაულებრივი ფაქტები საწარმოში.

მღებრიშვილმა, ცხადია, იცოდა ჩატარებული რევიზიის შესახებ, ამიტომ კანონდაღვევით, სხვა – სატყეო მეურნეობის საქმეზე დაწერა არასწორი შუამდგომლობა საბუთების ამოღებაზე.

მოსამართლე **აკობიამ** შუამდგომლობა დააკმაყოფილა და გასცა ბრძანება საბუღალტრო დოკუმენტაციის ამოღების თაობაზე სს „ზუგდიდსოფლტექნიკიდან“.

2006 წლის 21 სექტემბერს საწარმოს ეკონომისტმა **გაბედავამ** და ბუღალტერმა **ხაზალიამ** საბუღალტრო დოკუმენტაცია პროკურატურას წარუდგინეს.

**ფელიქს ჯალაღონიამ**, რომელიც მარტვილის სატყეო მეურნეობის დირექტორის **კოტიას** საქმეს იძიებდა და უმიზეზოდ ჰყავდა დაჭერილი, სავარაუდოდ, მის მაგივრად დაწერა განცხადება, თითქოს კოტია ამხელდა „ზუგდიდსოფლტექნიკის“ თანამშრომლებს დანაშაულში. ამასობაში კოტიას ჯალაღონიამ პროცესუალური შეთანხმება გაუფორმა, 60 000 ლარის სანაცვლოდ გაათავისუფლა და დაუსაბუთებლად აღძრა ახალი საქმე „ზუგდიდსოფლტექნიკის“ მიმართ.

საქმე სამეგრელო-ზემოსვანეთის პროკურატურაში **დემნა თოდუას** ჩაბარდა.

**– ყველაფერი ეს იცოდა როლანდ ახალიამ?**

– იცოდა კი არა, მისი უშუალო ბრძანებით მოხდა ეს უკანონობა. გამოძიებული მაქვს ყველაფერი...

ამიტომ როლანდ ახალაიას თქვენი მეტად პატივსაცემი გაზეთის საშუალებით მინდა მივმართო: გადადექი და მოსცილდი ზუგდიდს. თუ არ გადადგები, ჩვენ ისევ შევხვდებით.

**– ანუ?**

– მიხვდება, რაზეც ვლაპარაკობ. 6 წელი თვითონ რომ პროკურორი იყო, მე გამოძიების უფროსი ვიყავი და კარგად მიცნობს, ვინც ვარ და რაც ვარ...

მისი ბრძანებით დამიჭირეს, გააგდეს ჩემი შვილი სამსახურიდან და უფრო გაეხსნა ასპარეზი ახალაიას, მუჭში მოიქცია მთელი სამეგრელო.

**როლანდ ახალაიას, ფრიდონ ჯალაღონიას, გია ბერიშვილს, დათო თოდუას, ირაკლი ქორთუას** ვაფრთხილებ: დატოვონ თავიანთი თანამდებობები. მათ კარგად იციან, ვის რა ბრალი მიუძღვის ამ საქმეში. მე მაქვს მტკიცებულებები და ნუ მაიძულებენ, გამოვააშკარავო ყველაფერი. 32 წელიწადი ვიმუშავე გამომძიებლად, მტკიცებიულებების გარეშე არავისთვის დამიდია ბრალი და არც ახლა ვაპირებ.




**– ზემოთ თქვით, ახალაიას ნაპო გაბისონიას დაპატიმრება უნდოდაო. რას ერჩოდა ახალაია ნაპო გაბისონიას?**

– რა მოხდა მათ შორის, ორივემ თვითონ იცის, მაგრამ ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმოს განადგურება რომ უნდოდათ და ჩინელების შემოყვანა, ეს დადასტურებული ფაქტია. ამაში უშლიდათ ხელს ნაპო გაბისონია, რადგან ტყეში მეგრელები და სვანები მუშაობდნენ და უბრალო ტყისმჭრელებიც და მებორნეებიც კმაყოფილი იყვნენ – ოჯახებისთვის სარჩო-საბადებელს შოულობდნენ... გაითვალისწინეთ, რომ ზუგდიდში სხვა არავითარი საწარმო არ ფუნქციონირებდა, მხოლოდ აქ იყო ხალხი დასაქმებული.

ხაიშში იყო კიდევ ერთი ასეთი ტიპის საწარმო, ჭკადუა ხელმძღვანელობდა იმ საწარმოს. ისიც გაანადგურეს და ერთ ხანს ჭკადუაც ციხეში ჰყავდათ გამომწყვდეული.

**ამ საქმით, ანუ ქართველების ჩამოცილებით და სამეგრელო-ზემოსვანეთის ტყეების უცხოელებისთვის, კერძოდ, ჩინელებისთვის გადაცემით, ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან იყვნენ დაინტერესებულნი. კერძოდ, ადეიშვილი და მერაბიშვილი. დავალება შესასრულებლად ახალაიასთვის, ნაციონალების ყურმოჭრილი მონისთვის ჰქონდათ მიცემული.**

ახალაიამ „შესანიშნავად“ შეასრულა ეს დავალება.

**– 75 წლის ნაპო გაბისონიას რატომ მიუსაჯეს 19 წელიწადი. ასე სამაგალითოდ რატომ დასაჯეს?!**

– ნაპო გაუძალიანდა მათ, არ შეეპუა ამ უსამართლობას და ეს არ აპატიეს.

**– განვაგრძოთ. რა მოხდა მერე?**

– ერთი სიტყვით, რევიზია ტარდება. 2007 წლის მარტის თვეა, ჩავდივარ ზუგდიდში და ვხედავ. ჩემს დასაცავ ობიექტში – „ზუგდიდსოფლტექნიკაში“ რატომღაც ინვენტარიზაცია არ ტარდება.

მე ვკითხე გადელიას: სადაა ხაზალია, რატომ არ ატარებთ ინვენტარიზაციას-მეთქი.

ხაზალიამ დოკუმენტაცია გაიტაცა და გაიქცაო, მიპასუხა.

არ დაგავიწყდეთ, შემოწმებას ატარებს შსს საექსპერტო სასამართლოს საბუღალტრო ექსპერტიზისა და ეკონომიკური კვლევის სამმართველო.

დავუძახე ნაპო გაბისონიას და ვუთხარი: აქ რაღაცა ხდება და რადგან საწარმოს ნაშთი 466 კუბმეტრი ფიცრის თანხა აღმოჩნდა, ოფიციალურად გადაიხადე, თორემ შარში აღმოვჩნდებით-მეთქი. თან ახალაიას მივმართეთ: შეგვადგენინეთ საგადასახადო-ქობებრივი დეკლარაცია!..

**– ხაზალია არ მოგიკითხავთ თავის დოკუმენტებიანად?**

– ნაპო გაბისონიამ ჰკითხა და ხაზალიამაც უპასუხა – ყველა დოკუმენტი გამომძიებელ ქორთუას ჩავაბარეო. მაშინ უკვე ჰქონდა გადახდილი გაბისონიას 466 კბმ ფიცრის თანხა.

მიუხედავად ამისა, შექმნეს ფალსიფიცირებული საკონტროლო-გასვლითი საგადასახადო შემოწმების აქტი, სტაცეს ხელი გაბისონიას და შეაგდეს ციხეში – ბიუჯეტის ვალი გაქვს 495 721 ლარიო...

**– ეს როგორ?**

– შემმოწმებლებმა მოილაპარაკეს პროკურორებთან – მღებრიშვილთან, ბერიშვილთან, ჯალაღონიასთან, ქორთუასთან და თოდუასთან, საბუღალტრო დოკუმენტაცია დამალეს და სანაცვლოდ ეკონომისტს ჯამბულ გადელიას დააწერინეს – 2006-07 წლების ხე-ტყის მოძრაობის დოკუმენტი, რადგან თუ დოკუმენტაციას ხაზალიას ხელით არ დამალავდი, წინა რევიზიის აქტს არ გაანადგურებდი, ნაშთი გამოჩნდებოდა და 1041 კბმ-ს ველარ ჩაწერდნენ. ველარ უჩვენებდნენ 466 კბმ ნაშთს, რაც უკვე გადახდილი ჰქონდა გაბისონიას და სახელმწიფო ბიუჯეტში 18 600 ლარი შეტანილი ჰქონდა, მაგრამ ეს გადახდილი თანხა შუალედურ აქტში არსად არ არის ნახსენები...



ასეთი ტიპის დოკუმენტის შედგენის გამო ყველა ზემოთხსენებული მოსამართლე ციხეში უნდა იჯდეს, არადა, ამის გამო მე ვიყავი ტუსაღი 4 წლის განმავლობაში.

**– აბა, როგორ შეადგინეს შუალედური აქტი?**

– მათ სპეციალურად შექმნეს საკონტროლო-გასვლითი საგადასახადო შემოწმების აქტი, სადაც საფუძვლად მიუთითეს არარსებული შსს საექსპერტო სამმართველოს საბუღალტრო ექსპერტიზისა და ეკონომიური კვლევის ექსპერტიზის აქტი... ეს დოკუმენტი ბუნებაში არ არსებობს...

ეს გავასაჩივრეთ ფინანსთა სამინისტროს დავების განმხილველ საბჭოში. ჯერ შემოსავლების სამსახურში **მინდია გადაევთან,** მერე ფინანსთა სამინისტროს დავების განმხილველ საბჭოში დავაყენე საკითხი საკონტროლო-გასვლითი საგადასახადო შემოწმების გაუქმების მოთხოვნით. წარვადგინე შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის ექსპერტიზის აქტიც. დოკუმენტი გაცემული ჰქონდა შსს საექსპერტო სამმართველოს და ხელს აწერდა **ირაკლი კოდუა**.

საქმე ისაა, რომ იმდენად დიდი იყო დაინტერესება **ნიკოლოზ გილაურის** და **კახა ბაინდურაშვილის**, რომ ყველაფერ ამას ყურადღება არ მიაქციეს და დაავალეს შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილეს სირაძეს – ექსპერტიზის აქტი წარმოგვიდგინეთ ამ საკითხებზეო.

სირაძე მიადგა **მეგრი როგავას**: მომიტანეთ ასეთი დოკუმენტი, თორემ რაც მოგივა, შენს თავს დააბრალეო. მაშინ ახალაია დაუკავშირდა ზუგდიდის სასამართლოს თავმჯდომარეს **ნატო აკობიას** და მან შექმნა „საჭირო“ დოკუმენტი. ამ დოკუმენტის საფუძველზე მიესაჯა ნაპო გაბისონიას 19 წელიწადი. მაშინ გაბისონია სამი თვის პატიმარი იყო უკვე.

ეს ყალბი დოკუმენტაციები იუსტიციის სამინისტროს ჩაბარდა. საბჭოს წევრებს – **კუბლაშვილს, ცერცვაძეს, ლალიაშვილს** და სხვებს. ისინი ვალდებულნი იყვნენ სიმართლე გაერკვიათ, დაესაჯათ გამყალბებლები და უდანაშაულო გაბისონია გაეთავისუფლებინათ, მაგრამ იგი დღესაც ციხეში ზის, აკობია კი კვლავაც მოსამართლეა.

**– საჩივარზე რა პასუხი მოგცეს?**

– დავების განმხილველმა საბჭომ არ მოგვაქცია ყურადღება. დღემდე არ მაქვს პასუხი იმაზე, არსებობს თუ არა 2006 წლის წლიური დეკლარაცია. მაგრამ ჩვენ გავასაჩივრეთ მოსამართლე აკობიას გამოძიებული საქმე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. საქმე ძიებაში მოსამართლე **ივანე აფრიდონიძეს** გადაეცა. ის შესანიშნავად მიხვდა, რა უკანონობებიც იყო ჩადენილი, ნაპო გაბისონია რომ უკანონო პატიმარი გახლდათ და დანიშნა კომისიური კომპლექსური სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზა განჩინებით, სანამ საქმეზე გადაწყვეტილებას მიიღებდა. ოთხ დღეში აფრიდონიძე სამსახურიდან დაითხოვეს და მის მაგივრად სხვა (კაპანაძე) დანიშნეს.

მე ალტერნატიული ექსპერტიზა მოვითხოვე და ექსპერტმა ებრალიძემ მოითხოვა საქმის მასალები, კერძოდ, მე-17 ტომის, რომელიც სასწრაფოდ გადავიღეთ. ექსპერტიზა კი კვლავ ძველმა ექსპერტებმა ჩაატარეს ისე, რომ სხდომის ოქმიც არ წაუკითხავთ. ოქმი საქმეს არ ახლდა.

შემდეგ **კაპანაძემ** და მოსამართლე **გურულმა** შექმნეს დოკუმენტი, თითქოს ვიღაცამ მოიპარა მე-17 ტომი. მაგრამ როცა გაიგეს, რომ ჩვენ გვქონდა ქსეროასლები, მაშინვე გამოაჩინეს და ახლა მე-16 დაიკარგაო, თქვეს. კაციშვილმა არ იცის, რა დაიკარგა და რა არა, ისე, რომ საქმე დღესაც დევს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

**– მოსამართლეები საქმეებსაც იპარავდნენ?**

– დიახ. ყალბ დოკუმენტებსაც ქმნიდნენ და იპარავდნენ კიდეც. ეს უნდა იცოდეს ყველამ და პირველ რიგში, ბატონმა **კუბლაშვილმა**.

ერთი სიტყვით, მოსამართლეები, როგორც აწყობდათ, ისე იქცეოდნენ, ვერავინ ხელს ვერ უშლიდათ, ერთადერთი ვიყავი მე, ვისაც გაბისონიას საქმე სტრასბურგში მქონდა გაგზავნილი და სამართლის აღდგენას ვითხოვდი.

იუსტიციის საბჭოს მოვთხოვე ნატო აკობიას მოეცა საქმეში არსებული დოკუმენტები და ა.შ. დანებებას არ ვაპირებდი, რადგან, როგორც მოგახსენეთ, ათეული წლებია ამ სისტემაში ვმუშაობ და ვერ ვეგუები, როცა მოსამართლეები ქმნიან ყალბ დოკუმენტებს, იპარავენ და ანადგურებენ მტკიცებულებებს და ციხეში კი ჯდებიან, ამ შემთხვევაში, მებორნე-ტყისმჭრელები და სხვა პატიოსანი, მშრომელი ხალხი.

**– მაინც ვერ გავიგე, ხაზალია რატომ იყო დაინტერესებული დოკუმენტების გადამალვა-გაყალბებით, ხომ არ აშინებდნენ?**

– რევიზორებმა ნახეს, რომ ბუღალტერ ხაზალიას და ეკონომისტ გადელიას 120 ტონა ჯართი ჰქონდათ თურქეთში გატანილი და საბუთები არ გააჩნდათ. რაც იყო, იმაზე „ზუგდიდსოფლტექნიკის“ ბეჭედი იყო დასმული. მაშინ უთხრეს: დაგიჭერთ, თუ არ მოგვცემთ საქმეს „ზუგდიდსოფლტექნიკის“ დამფუძნებელ გაბისონიაზე და დირექტორ ფაცაციაზეო. ამ მოტივით ალაპარაკეს რევიზორებმა სიყალბეები ხაზალიას და გადელიას.

2005 წელს ფინანსთაა მინისტრის ბრძანება 86-ის საფუძველზე სასაქონლო ზედნადებები უნდა იყოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ყველა წარმოებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მას იურიდიული ძალა არ აქვს.

მე დამაბრალეს, თითქოს ყალბ ზედნადებზე მოვაწერინე ხელი ხაზალიას, მიხლართ-მოხლართეს ეს ამბავი, ვითომ საკანცელარიო მაღაზიაში შეძენილი ზედნადებები გამოვიყენეთ. ვინმე **ჭითანავამ** შექმნა ყალბი მტკიცებულებები და ამის საფუძველზე მე გამომამწყვდიეს საპყრობილეში.

კიდევ ვიმეორებ, უსამართლობას ვერ ვეგუები და ხელი რომ არ შემეშალა ახალაიასთვის, გამომამწყვდიეს ციხეში. ამისთვის დასჭირდათ ამხელა საქმის შეთითხნა, რადგან ზუგდიდში დიდი და პატარა მიცნობს, ყველამ იცის, ნარკომანი არა ვარ და ავაზაკი, იარაღის ტარების უფლებაც მაქვს, ვერც ნარკოტიკს ჩამიდებდნენ, ვერც იარაღს, არადა, უნდა დავეჭირე და შექმნეს საქმე ჩემს წინააღმდეგ, ზედ უპატიოსნესი ადამიანები: გაბისონია და ფაცაციაც მიაყოლეს, ერთი გასროლით ორი კურდღელი დაიჭირეს და კმაყოფილებმა ჩვენს ბედზე ხელები დაიბანეს...

თუ ვინმეს ჩემს სიმართლეში ეჭვი ეპარება, მზად ვარ ნებისმიერ ადგილას, ღია ეთერში დავამტკიცო ჩემი სიმართლე, რადგან შესაბამისი დოკუმენტებიც ხელთა მაქვს და სიმართლის გამოაშკარავება თავისუფლად შემიძლია...

**ირანდა კალანდაძე**

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# ruseTi mezobeli regionebis xelaxal sovetizacias regionuli integraciis sababiT cdilobs

## ობამას საგარეო პოლიტიკური კურსი რუსეთ-ამერიკის ცუდი ურთიერთობის ფონზე

**„უკანასკნელ თვეებში რუსეთისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობა არახელსაყრელად ვითარდება. ეს არის პრეზიდენტ ობამას „გადატვირთვის“ მცდელობის არა მარტო ჩავარდნა, არამედ იგი საფრთხეს უქმნის ამერიკის ახლანდელი პრეზიდენტის მეორე ვადის საგარეო-პოლიტიკურ კურსს“, — წერს The Washington Post-ის მიმომხილველი ან ჟერანი.**



„პრეზიდენტ პუტინს, სირიიდან და ირანიდან ჩრდილოეთ კორეასა და ავღანეთამდე, გააჩნია მომგებიანი „კოზირები“, რომელთა გამოყენებაც შეუძლია ობამას ადმინისტრაციის მიზნების მხარდასაჭერად ან მათ წინააღმდეგ“, — აღნიშნავს სტატიის ავტორი.

ობამას მეტისმეტად სჭირდება რუსეთის დახმარება ჯარებისა და ტექნიკის გამოსაყვანად ავღანეთიდან, რომელსაც ზღვაზე გასასვლელი არ გააჩნია. მას აგრეთვე სურს, რუსეთის არასაჯარო თანხმობა მაინც იმისათვის, რომ სხვადასხვა საერთაშორისო ფრონტზე მომხდარ მოვლენებში არ ჩაერიოს, აღნიშნავს გამოცემა.

თავის მხრივ, პუტინი, როგორც ჩანს, ვერ ხედავს განსაკუთრებულ მიზეზებს, ამერიკას დახმარება გაუწიოს. მიმომხილველი ყურადღებას მიაპყრობს შემდეგ გარემოებას: პუტინის მიმართ რუსეთელთა ნდობის კრედიტმა მას შემდეგ მოიმატა, რაც მან დასავლეთთან კონფრონტაცია დაიწყო.

„რუსეთში ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ მიმართულმა ამერიკულმა კანონმა და საპასუხო რუსულმა კანონმა, რომელიც ამერიკელებს რუსეთელი ბავშვების შვილად აყვანას უკრძალავს, ურთიერთეჭვები კიდევ უფრო გაამძაფრა“, — წერს გამოცემა.

„პუტინისთვის, ისევე როგორც ობამასთვის, მთავარი საკითხია, გაარკვიონ — რა საკითხებზე შეუძლიათ თანამშრომლობა და რაზე ვერ შეთანხმდებიან. ასეთი შესაძლოა იყოს დემოკრატიისა და სირიის საკითხი“, — აღნიშნავს სტივენ სესტანოვიჩი, საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს რუსეთის საკითხების ექსპერტი. მისი ვარაუდით, ამ პუნქტების სია იმაზე ბევრად უფრო მოკლე იქნება, ვიდრე გასულ ოთხ წელიწადში“.

„რუსეთის თვალთახედვით, ობამამ უგულებელყო ამ ქვეყნის შეშფოთება ორი მნიშვნელოვანი საკითხის — ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემისა და ლიბიაში სამხედრო ჩარევის შესახებ“, აღნიშნავს **The Washington Post**.

„ობამას ადმინისტრაციამ იცოდა, რომ პუტინთან მორიგება ძნელი იქნებოდა, მაგრამ ურთიერთობის ასეთი გაუარესება მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა“, — წერს მიმომხილველი და იმოწმებს ოფიციალურ პირთა და ანალიტიკოსთა მოსაზრებებს.

გამოცემაში ჩამოთვლილია რუსეთის ბოლოდროინდელი ნაბიჯები (მაგალითად, კანონი „უცხოელი აგენტების“ შესახებ, **USAID**-ისა და ნანა-ლუგარის პროგრამების შეწყვეტა) და აღნიშნულია ისიც, რომ ზოგჯერ ამერიკის შეერთებული შტატების საპასუხო რეაქცია საკმაოდ მკაცრი იყო.

დასტურად მოყვანილია ამერიკის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონის სიტყვები: „არის მცდელობა იმისა, რომ მოახდინონ რეგიონის სოვეტიზაცია რეგიონალური ინტეგრაციის საბაბით. ჩვენთვის ცნობილია, რა მიზანი ამოძრავებთ და ვცდილობთ, მოვძებნოთ ეფექტიანი ზომები ამ პროცესის შესანელებლად ან შესაჩერებლად“.

კლინტონის ეს გაფრთხილება გაისმა რამდენიმე საათით ადრე, ვიდრე იგი რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელს შეხვდებოდა და სირიის სამოქალაქო ომის შესახებ რთულ მოლაპარაკებებს გამართავდა. სახელმწიფო მდივნის ამ გაფრთხილებამ აშკარად წარმოაჩინა ვაშინგტონის პარადოქსი: რუსეთის მხრიდან შესაძლო გადახრების კრიტიკა და იმავდროულად დახმარების შესახებ თხოვნაც“, — ასე ვარაუდობს ავტორი.

„რუსეთისა და ამერიკის ურთიერთობაში წინსვლა შეინიშნება მხოლოდ ისეთ საკითხებში, როგორებიცაა უსაფრთხოების დარგში საერთო ინტერესები — მაგალითად, შეიარაღების კონტროლი. ობამამ, პუტინის წინამორბედ დიმიტრი მედვედევთან თბილი ურთიერთობების მიუხედავად, ვერ მოახერხა და ვერ გააფართოვა თანამშრომლობის ეს სფეროები“, — ვკითხულობთ გამოცემაში.

„რუსეთელები დასცინოდნენ მედვედევის გულუბრყვილობას იმის გამო, რომ მას ობამას დაპირებებისა სჯეროდა, — აცხადებს მარკ კაცი, ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის სპეციალისტი რუსეთის საკითხებში. — ბევრ რუსს, და განსაკუთრებით — პუტინს მიაჩნია: რაც უნდა მოიმოქმედოს ობამამ, ამერიკელები მაინც გააცურებენ მათ“.

**The Washington Post**

# saqarTvelos xelmZRvaneloba `Rvinis sakiTxis~ uaxloes periodSi mogvarebas gegmavs

## პოლიტიკური გადაწყვეტილება არსებობს, დარჩენილია „ტექნიკური“ პროცედურები

ქართული საწარმოების ხელმძღვანელები მზად არიან, მონაწილეობა მიიღონ მოლაპარაკებებში, რომლებიც რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინისა და მინერალური წყლის დაბრუნებას შეეხება. ამის შესახებ განცხადება გააკეთა რუსეთის მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა, **Ðîñïîòðåáíàäçîð**-ის დირექტორმა გენადი ონიშჩენკომ. მისივე თქმით, მოლაპარაკებები, სავარაუდოდ, იანვრის მესამე დეკადაში მოსკოვში გაიმართება. პრივატული არხებით მისთვის ცნობილი გახდა, რომ ქართული დელეგაცია მოსკოვში ჩასასვლელად მზად



არის. ამის შესხებ ოფიციალური განცხადება ქართულ მხარეს ჯერჯერობით არ გაუკეთებია. წყაროსავე ცნობით, დელეგაციას სახელმწიფო მოხელე უხელმძღვანელებს. „ყოველ შემთხვევაში, დელეგაციის ექვს წევრს შორის სამი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი იქნება“, — დააზუსტა ონიშჩენკომ.

თუ მოლაპარაკებები გაიმართება, განისაზღვრება ურთიერთქმედების სტრატეგიული საკითხები რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის დასაბრუნებლად, დასძენს რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმი.

შეგახსენებთ: 20 დეკემბერს ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ იგი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ჩარჩოების შესაბამისად, შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რომლებიც რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნებას ითვალისწინებს. 21 დეკემბერს კი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ანდრეი დენისოვმა აღნიშნა, რომ რუსეთის ბაზარზე ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაბრუნება პოლიტიკურად უკვე გადაწყვეტილია და „დარჩენილია მხოლოდ ტექნიკური პროცედურები, რომლებსაც სჭირდება გაფორმება როგორც რუსეთის, ისე საქართველოს მხრიდან“.

**Ðîñïîòðåáíàäçîð**-მა ქართული ღვინისა და ქართული მინერალური წყლის „ბორჯომის“ შეტანა რუსეთში 2006 წლის გაზაფხულიდან აკრძალა. ეს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის დაძაბვას მოჰყვა, თუმცა აკრძალვის ოფიციალური ვერსიის თანახმად, ამის მიზეზი ქართული პროდუქციის დაბალი ხარისხი იყო.

**rosbalt.ru**

**საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის შეხვედრა საპატრიარქოში კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის დამსახურებაა. სააკაშვილისა და ივანიშვილის უშუალო შეხვედრის ფაქტი უდავოდ პოზიტიური მოვლენაა — ასე აფასებს სპეციალისტთა უმრავლესობა ძველით ახალი წლის შეხვედრას საპატრიარქოში.**

სოციოლოგიის პროფესორი და ცნობილი ქართველი პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე აცხადებს: „სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის ურთიერთობა იმდენად დაძაბული იყო, რომ თავიანთ გამოსვლებში ეტიკეტის ელემენტარული ნორმების დაცვა უჭირდათ. ძველით ახალი წლის დადგომისას მხარეებს შორის დაძაბულობა პრაქტიკულად არ შეინიშნებოდა, თუმცა სააკაშვილი ოდნავ აღელვებული ჩანდა ივანიშვილის ფონზე, რომელიც ძალზედ მშვიდად გამოიყურებოდა.

# ivaniSvilisa da saakaSvilis Sexvedra sapatriarqoSi



ექსპერტის ვარაუდით, ამ შეხვედრის შედეგად გაქრება ბევრი ფსიქოლოგიური ბარიერი, რაც ხელს შეუწყობს პოლიტიკური ბარიერების გადალახვასაც. პროფესორის აზრით, პოლიტიკური თანამშრომლობის კოორდინაცია, უწინარესად, შეესაბამება მიხეილ სააკაშვილის პარტიის ინტერესებს, რათა მან პოლიტიკაში ადგილი შეინარჩუნოს.

„არაკონსტრუქციულ კრიტიკას გამოუვალ მდგომარეობამდე მივყავართ და იგი არავისთვის არის ხელსაყრელი. მხარეებმა უნდა დაივიწყონ ემოციები და ქვეყნის განვითარების საკეთილდღეოდ მოლაპარაკებების მაგიდას უნდა მიუსხდნენ“, — აღნიშნა პოლიტოლოგმა „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში.

**rosbalt.ru**

**მიმოხილვა მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.**


ამერიკისა და ევროპის დემოკრატიის მამებო!
თქვენი დემოკრატიის შუქურა საქართველოში პატიმრებს აუპატიურებდა და წამებით კლავდა!
სკანდალური კადრები
სკანდალური კადრები











